619
1955

# დროშა

№ 5 მაისი 1955



ეროვნული
ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი. კრემლი. გამარჯვების სალუტი 1955 წლის 9 მაისს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5 (46)

მაისი 1955 წ.

გამოცემის IV წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

გამომცემლობა „კომუნისტი“

თბილისი



1 მაისი!

ნახატი ალ. ბანძელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 10 წლის შემდეგ

**ი. ბეგიაშვილი**



— აითვისეთ მსოფლიო არქიტექტურის ულამაზესი ფორმები, შეისწავლეთ ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები, თქვენ გეხვდებათ წილად კომუნიზმის ეპოქის შენობების აგება, — ეუბნება ირაკლი ციციშვილი თავის სტუდენტებს.

1945 წლის 9 მაისი...

ამ დღეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა ათასი ქვემეხის სალუტით აცნობა მთელს ქვეყანას, მთელს მსოფლიოს, რომ ოთხწლიანი, მძიმე, დაძაბული ომი ჰიტლერულ გერმანიასთან დამთავრდა დიდი საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით.

ჩვენმა სახელოვანმა არმიამ გაანადგურა მტერი და შეასრულა თავისი ისტორიული მისია — გაანთავისუფლა მთელი ევროპა ფაშისტური უღლისაგან.

ამავე დღეს რადიომ გადმოსცა გენერალისიმუს სტალინის დაუვიწყარი სიტყვები:

„ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი დამთავრდა ჩვენი სრული გამარჯვებით. ომის პერიოდი ევროპაში დასრულდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო!“

ხალხმა გაიხარა და კვლავ მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა.

მხოლოდ 10 წელმა განვლო და გადამწვარ მინდვრებზე კვლავ აღორძინდა მგზნებარე სიცოცხლე, ნანგრევებზე აღმოცენდა ლამაზი და მყუდრო სახლები, ქალაქები დამშვენდა მრავალსართულიანი შენობებით, თეატრებით, ბაღებით... წარწერები მარმარილოს ობელისკებზე გვაგონებენ, რომ აქ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ მისი ერთგული შვილები.

აბა გაისეირნეთ კიევის მთავარ ქუჩაზე, ახალი, ლამაზი სახლებით დამშვენებულ კრეშჩატიკზე. განა დაიჯერებთ, რომ ათი წლის წინათ აქ ქვა ქვაზე არ იყო დატოვებული?..

ანდა გაჰედეთ ლენინგრადის პროსპექტების წარმტაც პერსპექტივებს. სად ნახავთ იმ საშინელი დღეების ნაკვალევს, რომლებიც გაატარა ამ უკვდავმა ქალაქმა ფაშისტების ბარბაროსულ ბლოკადაში!

ინახულეთ გმირი ქალაქი სტალინგრადი... რა მშვენიერი სახლებია, რა ლამაზია ეს ქუჩები, მოედნები, შადრევნები!

ვინ იტყვის, რომ აქ 1942 წლის შემოდგომაზე წარმოებდა კაცობრიობის ისტორიაში არნახული ბრძოლები, რომ აქ წყდებოდა ჩვენი ხალხის ბედიღბალი. ბევრის მოწმეა თვითეული გოჯი აქაური მიწისა. რუსებთან მხარიმხარ იბრძოდნენ ყველა მოძმე რესპუბლიკის მეომრები...

## ქართველები ბრძოლის ფრონტზე

სტალინგრადის დამცველთა შორის იყო ახალგაზრდა ქართველი ინჟინერი ირაკლი ციციშვილი. 1941 წლის ივნისში, როდესაც ომი დაიწყო, ციციშვილი აბარებდა უკანასკნელ სადიპლომო გამოცდებს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი წავიდა მოსკოვს.

მაგრამ აქ სწავლა 3 თვეზე მეტი არ დასცალდა. ფაშისტური ჯარები მოსკოვს მოადგნენ. წყდებოდა საყვარელი დედაქალაქის ბედ-იღბალი.

ი. ციციშვილი მოსკოვის მიდამოებში საინჟინრო ჯარის ერთ-ერთ რაზმს მეთაურობს. სულ მალე ციციშვილი ხდება ასეულის მეთაური და უშუალოდ მონაწილეობს მალოიაროსლავეცის, მედინის, ნოვგოროდის, სტარაია რუსას და სხვა ქალაქების განთავისუფლებაში.

1943 წელს, როდესაც ჩვენი ჯარები სტალინგრადთან ხერხემალს უმტვრევდნენ ფაშისტურ მხეცს, ირაკლი ციციშვილიც აქ იყო და როგორც გამოცდილი სამხედრო ინჟინერი ბატალიონს მეთაურობდა.

შეუჩერებელი იერიშით წავიდნენ ჩვენი ჯარები დასავლეთისაკენ. ოქტომბერში უკვე კიევს მიუახლოვდნენ. საჭირო იყო დნეპრის გადალახვა. ფრონტის სარდლობამ კაპიტან ციციშვილის ბატალიონს დააკისრა მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა — სამ დღეში დნეპრზე აეგო მაგარი, დიდი სიმძიმის გამძლე ხიდი.

ციციშვილი მყისვე შეუდგა ბრძანების შესრულებას, შეისწავლა მდინარის ნაპირი, გამონახა ხელსაყრელი ადგილი და დაიწყო პირველი ბოძების ჩაყრა. ეს ამბავი მტერს არ გამოეპარა. ფაშისტებმა დაუშინეს ყუმბარები ამ მშენებლობას ქვემეხებიდან და თვითმფრინავებიდან.

მაგრამ ვერაფერმა შეარყია საბჭოთა მეომრების ნებისყოფა. დღე-ღამე შეუჩერებელი დაბომბვის ქვეშ მუშაობით, მათ პირნათლად შეასრულეს ბრძანება — ვადაზე ადრე ააგეს 600 მეტრამდე სიგრძის ფუნდამენტალური ხიდი.

პირველსავე ღამეს ამ ხიდით დნეპრზე გადავიდა 158 ტანკი, 1337 ქვემეხი, 1594 ავტომანქანა და ჯარისკაცთა დიდძალი რაოდენობა. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი ჩვენს სარდლობას გადამწყვეტი შეტევის ჩატარებაში. ოქტომბრის წლისთავზე უკრაინის მშრომელებს ორმაგი სიხარული ჰქონდათ. 6 ნოემბერს საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს კიევი.

ხიდის აგების დროს გამოჩენილ უმაგალითო ვაჟკაცობისათვის საინჟინრო ჯარების კაპიტანს ირაკლი ციციშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

არა ნაკლებ საინტერესოა მეორე ქართველი გმირის ალექსანდრე გურგენიძის საბრძოლო ბიოგრაფია. როდესაც მთელ ქვეყანას მოედო ცნობა, რომ ფაშისტი ავაზაკები ვერაგულად დაეცნენ ჩვენს სამშობლოს და დაბომბეს მთელი რიგი ქალაქები, ახალგაზრდა სამხედრო მფრინავმა ა. გურგენიძემ გადაწყვიტა ისე დაუფლებოდა თვითმფრინავის ძღოლის ოსტატობას, რომ შეძლებოდა მტრის თავზე მეხივით დაცემა. მას გაახსენდა მოხუცი მამის საყვარელი ანდაზა:

„თუ ქორის მოსპობა გინდა—არწივი უნდა გახდე“-ო.

და აი ალექსანდრე გურგენიძე მიდის სწავლის გასაგრძელებლად სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში, ჩვენი დროის უდიდესი მფრინავის სახელობის ქალაქში — ჩკალოვში.

ლეგენდარული სტალინური შევარდენი ვალერი ჩკალოვი!— აი ვის უნდა მიბაძოს გურგენიძემ...

1943 წელს იგი სათანადო ცოდნით აღჭურვილი მიდის ბრძოლის ველზე.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ჯარის მედგარი შეტევებით მტერი ზედიზედ სტოვებდა ყირიმის ნახევარკუნძულზე დროებით ოკუპირებულ ქალაქებს—ქერჩს, ფეოდოსიას, იალტას და სევასტოპოლს, გურგენიძის ესკადრილია ჰაერიდან მუსრს ავლებდა ფაშისტების საზღვაო ძალებს. თითქმის ყოველდღე ახდენდა გურგენიძე საბრძოლო გაფრენას.

შავ ზღვაზე ბრძოლების პერიოდში ალექსანდრე გურგენიძემ პირადად ჩაძირა ფაშისტების 14 სამხედრო გემი, რისთვისაც იგი წითელი დროშის ორი ორდენითა და სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

განთავისუფლდა საბჭოთა ყირიმი... ბრძოლის სიმძიმე სხვა ფრონტებზე გადადის და გურგენიძის ავიონაწილიც ბალტიის ზღვის ნაპირებისაკენ მიიმართება.

აქაც მამაცი მფრინავი მოსვენებას არ აძლევს მტერს, როგორც მიწაზე, ისე ზღვაზე. გურგენიძე ზუსტი დაბომბვით აცამტვერებს ფაშისტების სამხედრო ტექნიკას ნარვასთან, ვიბორგთან, ტალინთან, რიგასთან, პიარნუსთან...

მტერმა უკვე იცის მისი სახელი და გვარი.

— ყურადღება! ყურადღება!..— გაჰკივიან რადიორეპროდუქტორები გერმანელთა ავიობაზებზე, — იყავით ფრთხილად!.. ჰაერში გურგენიძეა!

სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ — „არიქა, თავს უშველეთო“... და მართლაც იშვიათად თუ გამოვიდოდა ისეთი ყოყოჩა ფაშისტი მფრინავი, რომელიც გაბედავდა საჰაერო ბრძოლაში გურგენიძესთან შებმას. უმეტეს შემთხვევაში ყველანი თავიანთ ბაზებისაკენ გაპარვას ამჯობინებდნენ — რას იზამ, სული ტკბილია!..

ბალტიის ზღვაზე ალექსანდრე გურგენიძემ ჩაძირა გერმანელთა 13 სამხედრო გემი. მთავრობამ დიდად და-



გალინა ჯაში და მისი ქმარი ვახტანგი შეჰხარიან თავის პატარა ილიკოს:
— გაიზარდე, ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი მოქალაქე გახდი!

აფასა მისი მამაცობა და იგი წითელი დროშის კიდევ 2 ორდენით და ნახიმოვის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო სულ მალე გურგენიძის მკერდი დამშვენდა ლენინის ორდენითა და ოქროს ვარსკვლავით.

სამამულო ომის დაწყების პირველ დღესვე გაიწვიეს ჯარში თადარიგის მეთაური—ახალგაზრდა აგრონომი გ ე რ ა ს ი მ ე ბ ა რ ა მ ი ძ ე. პირველსავე თვეებში მას მოუხდა დიდ და დაძაბულ ბრძოლებში მონაწილეობა.

ქერჩის აღების დროს ბარამიძე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ექიმებს „არ დანებდა", უარი თქვა სამკურნალოდ ღრმა ზურგში წასვლაზე. იქვე, საველე ჰოსპიტალში იმკურნალა და ისევ ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

მეორე მძიმე ჭრილობა ბარამიძემ მიიღო მელიტოპოლთან, მაგრამ არც აქ ჩამორჩა თავის მოტორიზებულ ნაწილს.

მელიტოპოლის მცხოვრებლებს ალბათ ახლაც ახსოვთ ის ცხარე ბრძოლები, რომლებიც მიმდინარეობდა მათი ქალაქის განთავისუფლებისათვის. მაშინ მელიტოპოლის ქუჩებში ერთი პირველთაგანი შეიჭრა შავგვრემანი ოფიცერი.

ეს იყო გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი გერასიმე ბარამიძე.

ფაშისტური ურდოების განადგურებაში ბევრმა ქართველმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. ერთი მათგანი — 22 წლის ახალგაზრდა ექიმი გ ა ლ ი ნ ა ჯ ა შ ი, ფრონტზე წავიდა ომის პირველსავე დღეს. სულ მალე იგი საველე ჰოსპიტალის ერთ-ერთი წამყვანი ქირურგი გახდა.

გალინამ ბევრ ჩვენს მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ბევრი დააბრუნა მწყობრში. ხშირად ოპერაციის გაკეთება მას უხდებოდა ღია ცისქვეშ, განუწყვეტელი დაბომბვის პირობებში...

გალინას არ დაავიწყდება ცხარე დღეები ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ მოზდოკთან. მაშინ მათმა ჰოსპიტალმა 20 დღის განმავლობაში მიიღო და საექიმო დახმარება აღმოუჩინა 14.000-ზე მეტ დაჭრილს.

არც დღე, არც ღამე არ უშვებდა ხელიდან ლანცეტს გალინა ჯაში; ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე დღე არ გამოდიოდა საოპერაციო კარავიდან.

ერთხელ — ეს იყო დონის როსტოვთან — ფაშისტური ავიაციის თავდასხმის დროს გალინა ჯაში აკეთებდა რთულ ოპერაციას... ამ დროს მის გვერდით ბომბი აფეთქდა. ჰაერის ტალღამ საოპერაციო ოთახის ფანჯრები ჩაამსხვრია, ალაგ-ალაგ ჭერი ჩამოიქცა, მაგრამ მამაცმა ქალმა ერთი წუთითაც არ შეაჩერა მუშაობა და ოპერაცია ბოლომდე მიიყვანა — სიკვდილს გადაარჩინა კიდევ ერთი საბჭოთა მეომარი.

სახელოვან საბჭოთა არმიასთან ერთად გალინა ჯაშმა გაიარა ბრძოლის დიდი გზა, ჩრდილო კავკასიიდან ბერლინამდე.

დიადი გამარჯვების დღეს სამედიცინო სამსახურის კაპიტანი გალინა ჯაში ავიდა ყუმბარებისაგან დანგრეულ რაიხსტაგის კიბეზე და მის შებოლილ სვეტზე ცარცით დაწერა:

**Была в Берлине**
**9/V-45 г.**
**Галя Джаши**
**из Тбилиси**

იმავე საღამოს გალინამ თავის დღიურში ჩაწერა: „9. V. 45 წ. დილის 10 საათზე მოვედი ბერლინში. ვიყავი რაიხსტაგში,.. ფაშისტური გერმანია დაემხო. ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე შესანიშნავი დღეა. მე ვარ ბერლინში, დანგრეულ რაიხსტაგში, რომელზედაც ფრიალებს წითელი დროშა, რა ბედნიერებაა, რა სიხარულია!"...

...ასე იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში, ასე იცავდნენ საყვარელ საბჭოთა სამშობლოს საქართველოს მამაცი შვილები.

## ქართველები მშვიდობიან ფრონტზე

1955 წლის 9 მაისი...

გამარჯვების დღიდან განვლო 10 წელიწადმა.

ჩვენ გადავწყვიტეთ ვინახულოთ ჩვენი ძველი ნაცნობები — სად არიან, რას აკეთებენ, როგორ წარიმართა მათი ცხოვრება მშვიდობიანობის პერიოდში?

საბჭოთა კავშირის გმირმა ირაკლი ციციშვილმა დემობილიზაციის შემდეგ რამდენიმე თვე ბრძოლებში მიღებული ჭრილობების განკურნებას მოანდომა, რის შემდეგაც კვლავ მეცნიერულ შრომას დაუბრუნდა.

დღეს ციციშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის დოცენტია. იგი ამავე დროს, როგორც უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ისტორიის ინსტიტუტში.

ციციშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია არქიტექტურულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე. გამოაქვეყნა 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მიიღო აქტიური მონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში. ახლა იგი ამთავრებს სადოქტორო დისერტაციას.

გარდა ამისა ირაკლი ციციშვილი ეწევა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია, არის საქართველოს საბჭოთა არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა, რაც შეიძლება მეტი ცოდნის მიღება, — ასეთი მიზანი დაისახა ომიდან დაბრუნებისას საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსანდრე გურგენიძემ.

მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტსკოლა. ამჟამად მუშაობს თეთრი წყაროს რაიკომის მეორე მდივნად. მაგრამ წიგნებს თავს არ ანებებს.

— ხომ გაგიგონიათ — სწავლა სიბერემდისო, — ამბობს გურგენიძე, — ჩემი ოცნებაა შემოდგომიდან შევიდე უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელ კურსებზე.

შემთხვევითი როდია, რომ თეთრი წყაროს რაიონის მშვიდობის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სახელოვანი გმირი გურგენიძე, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა უკანასკნელი ომის მთელი საშინელება.

გასულ თვეს, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანაში ტარდებოდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერა, ალექსანდრე გურგენიძე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ხალხმრავალ მიტინგზე სოფელ ასურეთში.

— ჩვენ არ გვინდა ომი, — თქვა მან, — ჩვენ მთელ ძალას მშვიდობიანობის საქმეს ვახმართ, მაგრამ ნუ იფიქრებენ ომის გამჩაღებლები, რომ ჩვენ სუსტნი ვართ, ან გვეშინოდეს მათი. სამამულო ომის დროს მე გადავსერე ბრძოლის გზები ჩრდილო კავკასიიდან დასავლეთ გერმანიამდე, ბევრი სიძნელე გადავიტანე, მაგრამ მაინც ხმამაღლა ვაცხადებ — თუ ვინმემ გაბედა და დაარღვია ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, მე, ჩვენი პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე კვლავ დავიხურავ სამხედრო ფარნავის მუზარადს და ჩავდგები სამშობლოს დამცველთა რიგებში!..

ასეთივე აზრი გაატარა თავის სიტყვაში გერასიმე ბარამიძემ, რომელიც ჩვენ ვინახულეთ სოფელ მუხრანში, სწორედ იმ დროს, როდესაც ის ხელს აწერდა მიმართვას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ომის დამთავრებისას ბარამიძე დაუბრუნდა თავის მშვიდობიან პროფესიას — აგრონომობას. რამდენიმე წელიწადს კახეთში მუშაობდა თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგედ, 1948 წელს იგი, როგორც გამოცდილი აგრონომი, მიიწვიეს ლექტორად საგურამოში არსებულ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა კადრების მოსამზადებელ სკოლაში.

ექვსი წლის განმავლობაში ბარამიძემ ჩვენს კოლმეურნეობებს მოუმზადა არაერთი ათეული ხელმძღვანელი მუშაკი, ბოლოს კი თვითონაც გადავიდა პრაქტიკულ სამუშაოზე. გასულ წელს იგი ერთხმად აირჩიეს სოფელ მუხრანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

ამავე კოლმეურნეობაში არიან მისი თანამებრძოლები — ვ ა ნ ო ჯ ა ნ ჯ უ ღ ა შ ვ ი ლ ი და ს ა რ გ ი ს ბ ა ი ნ დ უ რ ო ვ ი. ერთი აგრონომად მუშაობს, ხოლო მეორე მოწინავე ბრიგადირია.

— ახლა ჩვენს მეურნეობაში უნდა გამოვიყენოთ შრომის მოწინავე მეთოდები, — ამბობს ბარამიძე, — ამიტომ სიმინდის მთელი ნათესი ფართობი კვადრატულ-ბუდობრივი სისტემით დავთესეთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, ერთისამად გვინდა გავადიდოთ მწვანე საკვების დამზადება, თანაც განზრახული გვაქვს მეწველი საქონლის სადღეღამისო წველაზე გადაყვანა, წელს უნდა დავამყნოთ 100.000 ვაზი. ავაშენოთ ტიპიური სახბორე. შევიძინოთ ჯიშიანი ძროხები, გავაფართოოთ სათბურები და კიდევ სხვა მრავალი... როგორც ხედავთ, დიდი გეგმები გვაქვს დასახული, მაგრამ გვჯერა რომ შევასრულებთ, ასე ვიცით გვარდიელებმა!..

ეს ჩვენც გვჯერა. გვარდიელების სიტყვა — მტკიცე სიტყვაა!

ჩვენი ექიმი ქალი სადღაა?

დემობილიზაციის შემდეგ სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, კომუნისტი გალინა ჯაში, თბილისში დაბრუნდა. იგი მუშაობს ექიმ ტრავმატოლოგად თბილისის ორტოპედიისა და აღსადგენი ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კლინიკაში.

ჩვეულებრივი ენერგიით განაგრძობს გალინა ზრუნვას საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობაზე, მათთვის შრომის უნარიანობის დაბრუნებაზე.

მაგრამ გალინა ჯაში მარტო ექიმობით როდი კმაყოფილდება... იგი უკანასკნელ წლებში წერს მეცნიერულ შრომას „ქუჩის ტრავმატიზმი ქალაქ თბილისში". ეს ერთი თვეა, რაც გალინამ დროებით შესწყვიტა მუშაობა თავის შრომაზე...

რატომ?

მიზეზი ყოვლად საპატიოა — მას ვაჟიშვილი შეეძინა.

— დეე ჩემმა ბიჭკომ, ჩემმა პატარა ილიკომ, — ამბობს გალინა ჯაში, — არ გამოცადოს ის, რაც ჩვენმა თაობამ გადაიტანა განვლილ ომში. დეე მისმა ცხოვრებამ გაიაროს მშვიდობიანობასა და სიხარულში. განა არ ღირდა ამისათვის ბრძოლა?..

· ღირდა, ოღონდაც, ღირდა!

კვლავ, როგორც 10 წლის წინათ, ყოფილი ოფიცერი გ. ბარამიძე აძლევს საბრძოლო დავალებას ყოფილ სერჟანტს ს. ბაინდუროვს და ყოფილ კაპიტანს ი. ჯანჯულაშვილს, მაგრამ ახლა ირგვლივ ქვემეხების გრიალის მაგიერ ტრაქტორების გუგუნი ისმის.

ფოტო
მ. ზ ა რ გ ა რ ი ა ნ ი ს ა





## ყარაიაზის ფერმებში

გარეუბნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად, გარდაბნის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მეძროხეთა მესამე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეძროხე პ. ფეოდოროვი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა თითეული ძროხის წველადობა გეგმასთან შედარებით 40-50 პროცენტით გაზარდოს და თვითეულ ველის წითელ ჯიშის ძროხისაგან საშუალოდ 3.000, ხოლო დანარჩენთაგან 1.500 ლიტრი რძე მიიღოს წელიწადში.

ფერმაში აგებულია სპეციალური სათბური კამერა, საკვები კონცენტრატების შესათბობად. საქონელი მთლიანად უზრუნველყოფილია სილოსითა და სხვა საკვები პროდუქტით. ყარაიაზის სარძეო ფერმა ქ. რუსთავს ამარაგებს რძის პროდუქტებით. ქართველ მეტალურგებს ყოველთვის შეუძლიათ მიიღონ ყარაიაზის ფერმაში ახლად მოწველილი, ნოყიერი რძე.

ფოტოზე: გარდაბნის რაიონის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ახალმოზარდი პირუტყვი. მარჯვნივ: ფერმის მოწინავეები პ. ფეოდოროვი და მწველელი ტ. ბაგდანი.



ფოტო: ვ. ჯეირანოვისა

# კომუნისტური პარტიის მძლავრი იდეური იარაღი

რუსეთის მუშათა კლასის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის მონაწილეობით გაზეთ „პრავდის“ გამოცემა, რომლის პირველი ნომერი 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა. ეს უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. 1914 წელს, „პრავდის“ გამოსვლის მეორე წლისთავზე, გადაწყდა დაწესებულიყო მუშათა პრესის დღე. პარტიის XI ყრილობაზე, 1922 წელს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყოველწლიურად, 5 მაისს ჩატარებულიყო კომუნისტური პრესის დღესასწაული. ამიტომ ეს დღე — 5 მაისი — „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის დღე — გახდა კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციული დღესასწაული, პრესის საბრძოლო დათვალიერების დღე.

ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავდამ“ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციური მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ფართო მასების დარაზმვაში ბოლშევიკების პარტიის გარშემო. მუშები „პრავდას“ თვლიდნენ თავიანთ გაზეთად; გულისხმიერად უსმენდნენ მის ხმას და უსაზღვროდ სჯეროდათ მისი. „პრავდამ“ აღზარდა მტკიცე რევოლუციონერები, — „პრავდისტები“, რომლებიც კომუნისტური პარტიის საიმედო დასაყრდენი იყვნენ სოციალიზმისათვის ბრძოლაში. „პრავდა“ ბოლშევიკური პარტიის ხელში წარმოადგენდა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და მასზე გავლენის მოპოვების მძლავრ საშუალებას. იგი გახდა მშრომელი მასების კოლექტიური ორგანიზატორი, პროპაგანდისტი და აგიტატორი. განსაკუთრებით დიდია „პრავდის“ როლი ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შე́დეგ კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა პრესის როლი.

„პრავდას“ უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის დიადი გეგმის განხორციელებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. სამამულო ომის პერიოდში კომუნისტური პრესა უნერგავდა საბჭოთა ხალხს გამარჯვების რწმენას, მატებდა ძალას ვერაგი მტრის — გერმანიის ფაშიზმის გასანადგურებლად.

სტატიაში „მუშები და „პრავდა“, რომელიც დაწერილია 1912 წელს, ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა იმ დროზე, როცა მთელი რუსეთი დაიფარებოდა ჟურნალებისა და გაზეთების ქსელით. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს ლენინის ეს ოცნება. ჩვენს ქვეყანაში გამოდის 8.000-ზე მეტი გაზეთი (აქედან 4,000-ზე მეტი რაიონული გაზეთი), 1.500-ზე მეტი ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი რამდენიმე ათეულ მილიონს აღემატება. წიგნები, გაზეთები და ჟურნალები ჩვენში იბეჭდება 119 ენაზე, მათ შორის სსრ კავშირის ხალხთა იმ ენებზეც, რომლებსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ. სსრ კავშირში 200-ზე მეტი ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გამომცემლობა არსებობს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბეჭდვითი სიტყვა დიდად განვითარდა საქართველოში. 1913 წელს საქართველოში გამოდიოდა რამდენიმე გაზეთი უმნიშვნელო ტირაჟით. ამჟამად კი საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოდის 9 რესპუბლიკური, 7 საოლქო, 7 საქალაქო და 72 რაიონული გაზეთი და 12 ჟურნალი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 900.000-მდე აღწევს, წლიური ტირაჟი კი 40 მილიონზე მეტს შეადგენს.

საბჭოთა პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე შორსმსროლელი იდეური იარაღია, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. მას მასებში შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრება, პროპაგანდას უწევს საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის იდეებს, რაზმავს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში პრესა არ სარგებლობს მშრომელთა უფართოესი მასების ისეთი სიყვარულით, ნდობითა და მხარდაჭერით, როგორც ჩვენს დიად ქვეყანაში. ეს გასაგებიც არის, რადგან საბჭოთა პრესა, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის პოლიტიკით, სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მასებთან, გამოხატავს მათს სასიცოცხლო ინტერესებს, მისწრაფებებსა და სურვილებს. ჩვენი გაზეთები, ჟურნალები, წიგნის გამომცემლობანი აქტიურად ეხმარებიან პარტიას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტაში.

სრულიად სხვა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში: ყბადაღებული „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება“, რომელსაც გაძლიერებულ პროპაგანდას უწევენ იმპერიალიზმის მეაბჯრეები, სინამდვილეში არის რეაქციული პროპაგანდისტების მიერ გამონაგონი ფიქცია. ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი დახასიათება მისცა ბურჟუაზიული „პრესის თავისუფლებას“. ეს თავისუფლება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მატყუარობაა, ვიდრე საუკეთესო სტამბები და ქაღალდის უდიდესი მარაგი ხელში ჩაგდებული აქვთ კაპიტალისტებს და ვიდრე პრესის

მიმართ რჩება კაპიტალის ძალაუფლება. ბურჟუაზიული და ე. წ. სოციალისტური პრესაც კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში ხელმძღვანელობს პრინციპით: „რაც უფრო უხეშია ტყუილი, მით უფრო დამაჯერებელია იგი“. ბურჟუაზიული პრესა ქადაგებს კაცთმოძულეობას, მკვლელობისა და ძალადობის კულტს, აღვივებს ომის ფსიქოზს, ცდილობს გაამართლოს გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, რომელსაც იმ ქვეყნების მთავრობები ახორციელებენ, ცილს სწამებს საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს.

მაგრამ კაპიტალის ქვეყნებში არის სხვა პრესაც—კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების პრესა — პროგრესული პრესა, რომლის მართალ ხმას თანდათან უფრო მრავალრიცხოვანი მკითხველი უსმენს.

საბჭოთა პრესა უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მასების სოციალისტური შეგნებულობის ამაღლებაში, ადამიანთა შეგნებაში წარსულის ნაშთების დაძლევისათვის ბრძოლაში. პარტია პრესისაგან მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის ღრმად და ყოველმხრივ გაშუქებას. იდეოლოგიური მუშაობის მთელი ფრონტი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მხედველობის არეში უნდა იყოს.

გაზეთების ფურცლებზე ნათლად და შინაარსიანად უნდა შუქდებოდეს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება. რედაქციების ვალია საქმის ცოდნით განაზოგადონ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოწინავე გამოცდილება, ფართოდ გაავრცელონ იგი, გამოამჟღავნონ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახონ მათი აღმოფხვრის გზები.

პრესის ამოცანაა, ღრმად უჩვენოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებშია აღნიშნული, ამ ეტაპზე ყველაზე საარსებო სახალხო სამეურნეო ამოცანა ის არის, რომ მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებით მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას. ამ დიდ საყოველთაო-სახალხო საქმეში საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენმა პრესამ.

ჩვენი რესპუბლიკის გაზეთების პირველი რიგის ამოცანაა სისტემატურად და კვალიფიციურად გააშუქონ სოფლის მეურნეობის საკითხები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, დააყენონ თავიანთ ფურცლებზე კონკრეტული, საჭირბოროტო პრობლემები, უფრო ღრმად ჩაწვდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების, მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა და პრაქტიკაში დანერგვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენმა ჟურნალებმა და გაზეთებმა სისტემატურად უნდა გააშუქონ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავეთა, საუკეთესო კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების მუშაობის გამოცდილება. პრესას დიდი მუშაობის გაწევა ევალება წარმოებაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის.

ვ. ი. ლენინი პრესის მუშაკებს ასწავლიდა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ორგანო ცოცხალი და ცხოველმყოფელი მაშინ იქნება, როცა ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი არალიტერატორი მუშაკი. პრესის ძალა ფართო აქტივზე დაყრდნობაა. საგაზეთო მუშაობაში უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორთა ფართო აქტივის დარაზმვა, მშრომელთა წერილებისადმი ცოცხალი, საქმიანი დამოკიდებულება. გაზეთების ამოცანაა კიდევ უფრო განამტკიცონ და გააფართოონ კავშირი მასებთან, ბეჯითად, მოთმინებით ზარდონ ავტორთა აქტივი, პრესის თანამშრომლობაში ჩააბან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, სპეციალისტები, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა აქტივი.

ჩვენი გაზეთები და ჟურნალები უაღრესად დიდ როლს ასრულებენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაში. პრესის ამოცანაა — აქტიურად დაუჭიროს მხარი ქვემოდან მომავალ კრიტიკას, მტკიცედ გამოამჟღავნოს ნაკლოვანებანი საწარმოთა, კოლმეურნეობათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში, ამხილოს ბიუროკრატები, დაუდევარი მუშაკები, კრიტიკის ჩამხშობნი, ყველა, ვინც ზიანს აყენებს სახელმწიფოს, სახალხო საქმეს.

საბჭოთა პრესა ჭეშმარიტად სახალხო პრესაა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პრესაა. ამხილებს რა იმპერიალიზმის მხეცურ იდეოლოგიას, დაპყრობითი ომების, ხალხთა ძარცვისა და დამონების იდეოლოგიას, საბჭოთა პრესა თანმიმდევრულად იბრძვის დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

მ. ჯინჭველაშვილი



აკაკი გეწაძე

მოთხრობა

მხატვარი ალ. განძელაძე

წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ერთმანეთის მოყვარული ძმები მიდიან მთის ვიწრო ბილიკზე, ვთქვათ, სანადიროდ. უცებ წინ მიმავალს ფეხი აუსხლტა და ღრმა ხევში ჩაიჩეხა. გადარჩა თუ უკვე დალია სული, უფსკრულში ჩაკარგულმა? ფიქრობს შეშფოთებული, გაურკვეველი მოლოდინისაგან გულამღვრეული და ბილიკზე მარტოდ დარჩენილი ძმა.

მეც იმ ცალად დარჩენილ ძმასავით მიძგერს გული და, ალბათ, იმნაირივე გამომეტყველება მაქვს ახლა, როცა ჩვენი სამგზავრო მატარებელი სადგურ ჟუტოვოს უახლოვდება. დილაა. ღია ფანჯარასთან ვდგავარ და წინ ვიხედები. უკან გარბიან კუპრით გაშავებული ბოძები. ბოძებს ფეხდაფეხ მისდევენ რტოებგაქოლგილი ხეები და დამწიფებული ყანები.

აქ ყოველი გოჯი ადგილი ნაცნობია ჩემთვის. მე, ჯარისკაცმა, ეს მიწა თითქმის სულ ფორთხვით გადავმტკავლე. აი აქ, რკინიგზის მარცხნივ, პატარა ბორცვთან ჩვენს ოცეულს სამი დღე-ღამე უტევდა ფაშისტთა მოტო-მექანიზებული პოლკი, მაგრამ უკან ვერ დაგვახევინა. აგერ ჩემი ნასანგრალიც. მისირგვლივ ახლა სიმწიფეში შესული პურის ყანა ღაღანებს. აგერ, აგერ ის ადგილებიც... და უცებ ცრემლმა დამინისლა თვალები, ზედ ბურუსი გადამეფარა. მერე იმ ბურუსიდან ჩემი მეთაურისა და მეგობრის სახე წამოიმართა და წინ დამიდგა. მდუმარემ, რატომღაც პირველად მკაცრად შემომხედა, თვალი თვალში გამიყარა, მერე კი ისე ალალი გულით გამიღიმა, როგორც უყვარდა გაღიმება საქართველოსა და სახლში დაბრუნებაზე საუბრისას. ჩემს წინ დადგა მეგობრის სახე და მასთან ერთად გაცოცხლდნენ განვლილი დღეები.

* * *

ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის ივლისია.

ნაძვის ხეები დინჯად დაჰყურებენ დილის ბინდში ახლად გაღვიძებულ ჯარისკაცთა კარვებს. ისეთი ხშირი ტყეა, ცას ტოტებ შორის დარჩენილ ჭუჭრუტანებიდან თუ დაინახავ. ზაფხულის ნიავი სადღაც ისვენებს. ეს პაწაწინა ტოტებიც კი არ ირხევიან.

მეთაურმა ქვეითი ოცეული სასწრაფოდ დაამწკრივა და პირის დასაბანად წაიყვანა. მე ოდნავი დაშორებით უკან გავყევი მათ. მკერდშიშველი და წელზე პირსახოცშემორტყმული ჯარისკაცები ხმაურით შეესივნენ ტყეში უწყინრად მოღუღურტულე ნაკადულს, ზედ ფეხები გადააფარჩხეს, და წყალი ააშხეფეს.

წუხელ მომიყვანეს ამ პოლკში და, ნაკადულთან პირის დასაბანად მისული, ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებ ყველას.

სად არ იცნობ შენს თანამემამულეს. ჩემი მზერა ხაკის ხალათიანმა, შავთვალა, პირხმელმა და ტანდაბალმა ლეიტენანტმა მიიპყრო. აი იმან, ოცეული ნაკადულთან რომ მოიყვანა და თვით კი ახლად გადაჭრილ ხის მორზე ჩამოჯდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, საიდან ბრძანდებით? — ვეკითხები რუსულად.

იგი ქართულად მიპასუხებს და თან იღიმება:

— ქართველი ვარ, ლეჩხუმიდან. შენ?

— რაჭველი.

შორეულ მხარეში ქართველი რომ ქართველს შეხვდება, თითქოს საქართველო ნახაო, დიდი ხნის შემდეგ, ისე უხარია. მოსკოვის განაპირას, იზმაილოვის დაბურულ ტყეში ორი მებრძოლი ერთმანეთს ღვიძლი ძმებივით შევხვდით.

* * *

გავიდა თვენახევარი.

სტალინგრადში ვართ. ბევრგან სახლების ნაცვლად ჩონჩხად ქცეული კედლებიღა აყუდებულა, ზოგან მხოლოდ ბუხარია დარჩენილი, ზოგანაც — მარტო აგურის გროვა. დაუზიანებელ შენობას კანტიკუნტად თუ მოჰკრავთ თვალს და იმასაც ალალბედად გადარჩენილს. ქალაქი ცეცხლშია გახვეული, ცა — კვამლში.

რა ყოფილა ეს ომი! ორი კვირაა აქ ვიბრძვი და არ ვიცი, როდის მეძინა ან როდის ვიყავი ფხიზლად.

ცამეტ სექტემბერს მოწინააღმდეგემ სასტიკად შემოგვიტია და იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია. ოცეულმა გორკის სახელობის თეატრთან, ყუმბარებისაგან დაგლეჯილ ბაღში დააპირა გამაგრება, მაგრამ ბრძანება მივიღეთ და ადგილი მოვინაცვლეთ, ბაღიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, ყუმბარისაგან ცალკედელჩამონგრეულ სახლში დავიკავეთ პოზიცია.

მოზრდილი ოთახი გვერგო საბარიკადოდ, მაშინვე

იგრძნობდით, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ამ ოთახში ხალხი ცხოვრობდა. ზამბარებიან საწოლებზე უწესრიგოდ ეყარა ლოგინი. საბუფეტო კარადა ვიღაცას გამოეღო და ჭურჭელი უწესრიგოდ მიეყარ-მოეყარა. კუთხეში მიდგმულ პიანინოზე ნაირნაირი ფალას-ფულასი და სურათები ეყარა. მაგიდის ქვეშ იდგა საკერავი მანქანა. ჭერზე ეკიდა ნათურებჩამტვრეული და ნაირფერი მძივებით დამშვენებული ჭაღი. მეორე ოთახში შევიხედე და იქ უარესი დომხალი დამხვდა...

თვალი მოვავლე ამ ოთახებს და გამახსენდა ორიოდე კვირის წინ ნანახი სურათი: გზაზე შემოგვხვდნენ ქალაქიდან ლტოლვილი ქალები, მოხუცები და ბავშვები, ზურგზე ფუთებმოკიდებულნი, დალლილნი და დამტვერილნი. ეგებ იმ ხალხში ერია ამ სახლის გულმოკლული და სახემტირალი პატრონიც.



— ეჰ, რა საშინელია ევაკუაცია. წასულან და ამდენი ქონება კი ასე უპატრონოდ მიუტოვებიათ. მერედა, რამდენი შრომაა მათ შესაძენად დახარჯული?! — თავი გავიქნიე სინანულით.

— სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია, ჩემო ძმაო, — მითხრა ლეიტენანტმა. — დაკარგულ ქონებას ისევ შეიძენს კაცი, დაკარგულ სიცოცხლეს კი ველარასოდეს.

ბავშვივით ცნობისმოყვარე ვარ და ეს ჩვეულება ომმაც ვერ მომაშლევინა. მოწინააღმდეგის შემოტევას ჯერჯერობით არ ველოდით და გულის გადასაყოლებლად პიანინოზე დაყრილ ფოტოსურათებს დავუწყე თვალიერება. ლეიტენანტი ჩემზე არა ნაკლები ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. მან სადღაც აღმოაჩინა დიდი ალბომი, საწოლზე ჩამოჯდა და დაკვირვებით დაიწყო ფურცვლა.

— ბიჭო, მოდი აქ! — მეძახის იგი ცოტა ხნის შემდეგ და თვალებგაბრწყინებული მიჩვენებს ქალიშვილის სურათს. — რას იტყვი, ლამაზია?

— სურათში ყველა ლამაზია, — ვეუბნები მე.

შევატყვე, რატომღაც ეწყინა ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც ამოიღო გულის ჯიბიდან სათუთად შენახული სურათი და ალბომიდან ამოღებულ სურათს გვერდით ამოუყენა:

— ერთი ნახე, დებს არა გვანან?! სწორედ საკვირველია, ქართველისა და რუსის ასე დამგვანება.

— ფოტოაპარატი ისეთი ოსტატია, ხშირად სრულიად განსხვავებულ ადამიანებსაც კი ამგვანებს ერთმანეთს, — შევნიშნე და მისი გულის ჯიბიდან ამოღებულ სურათს დავაკვირდი.

მკერდზე ნაწნავგადმოგდებული, პირმრგვალი და შავთვალწარბა ქალიშვილი პირდაპირ თვალებში შემომაჩერდა და მოკრძალებით გამიღიმა.

— ვინ არის? — შევეკითხე.

— ეს უკვე შენი საქმე არაა, — მომიგო მან და წარმოიდგინეთ, ამ სიტყვების თქმაზედაც კი ლოყები აელეწა, თვალები ნაკვერჩხლებივით გაუღვივდა და თავი დახარა.

თქმა რაღად უნდა, ეს ლამაზი ქალიშვილი მისი საცოლე იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ლეიტენანტმა ველარ მოითმინა და აღიარა:

— შარშან შემოდგომაზე უნდა გვექორწინა, მაგრამ ამ ოხერმა ომმა შეგვიშალა ხელი.

წამით გარინდებული იჯდა და საცოლის სურათს სევდიანად დასცქეროდა, მერე გულის ჯიბეში შეინახა და პიანინოს მიუჯდა.

არ ვიცი რა დაუკრა, რადგან მუსიკაში ერთობ ცუდად ვერკვევი, მაგრამ ის კი ვიგრძენი, რომ ამ მუსიკამ სადღაც შორს წამიყვანა და ნაღველნარევი სიხარული დამიგუბა გულში.

— ჟიუუუ! ჟიუუუ! — ზედიზედ გადაუქროლა ჩვენს სახლს ჭურვებმა და სადღაც ახლოს გრუხუნი გაისმა. მალე მეზობელ სახლში აკაკანდა ტყვიამფრქვევი და პიანინოს საამო აკორდები ომის გულშემაზრზენმა ხმამ ჩაყლაპა. ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, ლეიტენანტმა თავის გულის საგალობელი ვერ დაასრულა ვერც იმ დღეს, ვერც მეორე დღეს და ვერც შემდეგ.

* * *

დღეები და ღამეები, კვირეები და თვეები ზარბაზანთა გრიალსა და დენთის კვამლში, სანგრიდან სანგარში ფორთხვით სიარულში! ბევრი მწუხარება და ბევრი სიხარული! მრავალი უძილო ღამე ლაშქრობისა, მრავალი შეტევა და ბოლოს, ორმოცდასამი წლის ივლისში კურსკის ველის დასავლეთით, სადგურ ჟუტოვოს მისადგომთან მისვლა, აი ასეთი იყო ჩვენი გზა.

მთელი ღამე ვიარეთ, გარიჟრაჟისას კი სანგრებში ჩავდექით. აი, უკვე გათენდა ზაფხულის ჩვეულებრივი დილა, ცა ლამაზია, კეკლუცობს და მზის ამოსვლას ელოდება.

დღეს მოწინააღმდეგე რატომღაც ჩუმადაა, თავის ამქვეყნად არსებობას ერთი უბრალო გასროლითაც არ გვატყობინებს. ირგვლივ დუმილია და სწორედ ესაა შიშისმომგვრელი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთი დუმილი ყოველთვის უცნაური იდუმალებითაა სავსე და ამიტომ თვალს არ ვხუჭავთ, თორემ მთელი ღამის მგზავრობით დაღლილებს წამსვე რული მოგვეკიდება, ძილი კი არ შეიძლება და დროის მოსაკლავად მე და ლეიტენანტი ცხრაჯერ მოთხრობილ ამბებს მეათედ ვუამბობთ ერთმანეთს.

მალე მოწინააღმდეგის არტილერიამ ჯოჯოხეთური ცეცხლი გააჩაღა. დაიწყო სასტიკი ბრძოლა.

სანგარში ვდგავარ. დედამიწა ისე ირყევა, ასე მგონია, ვეებერთელა, დანჯღრეულ მანქანად გადაქცეულა და ოღროჩოღრო, ნაღმებისაგან დახვრეტილ გზა-შარაზე გარბის თავქუდმოგლეჯილი, რომ უკან დადევნებულ სიკვდილს გაექცეს. გარბის და მეც თან მიმაქანებს.

ცა დააბნელეს თვითმფრინავებმა.

ყუმბარების დანაცემზე ტევრებად იზრდება კვამლის სვეტები. ერთმანეთში ირევა ზაფხულის ბული, მტვრის კორიანტელი და დენთის ნისლი. შუადღის ცა ქვარტლით შებღლილ უზარმაზარ ჭერს დაემსგავსა, რომლის შუაგულშიც მზე ჰკიდია, როგორც მოოქროვილი, მაგრამ უკვე გახუნებული ძველებური ფარი.

მარჯვნივაც ბრძოლაა და მარცხნივაც, ხოლო ყველაზე მკაცრი შეხლა, როგორც ეს მე მეჩვენება, გზაჯვარედინზეა, რომელსაც ჩვენი ოცეული იცავს. ფაშისტთა ორი ბატალიონის ჯარისკაცები მოგვესივნენ მშიერი ძაღლებივით და თუმცა შეგვამცირეს, უკან ვერ დაგვახევინეს. ტყვიამფრქვევი დაგვიდუმეს, მაგრამ არც თვით დაადგათ კარგი დღე.

ნაშუადღევს ქვეითმა ფაშისტებმა უკან დაიხიეს და სამაგიეროდ წინ ორი ტანკი გამოუშვეს: „პანტერა“ და „ვეფხვი“.

— ყუმბარები! — ისმის ლეიტენანტის ძახილი და რაკი ხედავს, რომ ამ განკარგულების შემსრულებელი ცოტაღა ჰყავს ოცეულში, წელზე ყუმბარებშემოხირხლული თვით მირბის ტანკებთან პირისპირ შესაბმელად.

მე გვერდით მივყვები, ავტომატმომარჯვებული.

გრუზათმიან, პირხმელ და პატარა ტანის მეთაურს სქლად ადევს ოფლიან სახეზე მტვერი, მაგრამ ვისა სცალია ახლა მის მოსაწმენდად? იგი თვით ასრულებს თავის გაცემულ განკარგულებას და ფოცხვერის სისწრაფით და მოხერხებულობით გარბის წინ. ამ შემთხვევაში სხვაგვარად არც შეუძლია მოქცევა. აი, უკვე შეარჩია რკინიგზის ლიანდაგის მახლობლად ხელსაყრელი ადგილი, ერთი გადმომხედა შავი წარბების ტევრქვეშ, მრისხანე თვალებით, და ჩასანგრდა.

მეც ჩავსანგრდი მისგან მოშორებით, მარჯვნივ.

აი, „პანტერა“ საშინელი და დამცინავი ხარხარით გამოეშურა პირდაპირ მისი სანგრის გასაუთოებლად, მაგრამ ჰაერში გაფრინდა ყუმბარების კონა და ნადირმა უკანასკნელად ჩაიხროტინა.

ცეცხლმოკიდებული ტანკიდან ამოძვრენ სამნი, ალბათ უკან გაქცევა უნდათ. ჩემი თითი ავტომატის სასხლეტს ედება. ერთი ფაშისტი, რომელსაც ტანზე ცეცხლი ეკიდა, ტანკზევე გადმოკიდებული დარჩა. დანარჩენმა ორმა, ყირამალა გადმოვარდნილმა, ბალახში ჩარგო თავი.

ვერ ვხედავ, მაგრამ ჯარისკაცის ალღოთი ვგრძნობ, გვერდზე, მოშორებით, ჩვენს ბიჭებს გააფთრებული ბრძოლა აქვთ გამართული. „ვეფხვმა“ „პანტერას“ ჭიაკოკონა რომ დაინახა, უფრო ატოკდა და აღრინდა. შეუპოვრად წამოშლაგუნდა ნაკადულის გასწვრივ. წინ ქვემეხსა და ტყვიამფრქვევს

ისროდა, უკან — მუხლუხებით დაბდღვნილ მიწას.

მე მხოლოდ ხელის ორი ყუმბარა მაქვს. რა უნდა დავაკლო ამით სქელჯავშნიან ურჩხულს? გინდა თხილის კაკალი მისვრია სალი კლდისათვის და გინდა ეს ყუმბარები ამ ტანკისთვის. არა, ახლა მე სიკვდილის კი არ მეშინია, იმას ვდარდობ, ვაი თუ ქიასავით გავისრისო და ეს ურჯულო კი უვნებელი დარჩეს. უბრალო სიკვდილი აბა რა ბედენაა!

ცდა ბედის მონახევრეაო! ხომ მაინცა ვკვდები და მოდი ერთი, ვცდი, ეგებ გამოვიდეს რამე, ეგებ ქვეშიდან მაინც დააზიანოს ამ ჩემმა ყუმბარებმა ტანკი. ხელყუმბარებს წელზე ვირტყამ და ვემზადები, მაგრამ აქეთ როდი მოდის ეს სატიალე...

ლეიტენანტი, რომელსაც ორივე ხელში ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები ჰქონდა ჩაბღუჯული, სანგრიდან ამოხტა და წინ გაიქცა. ვეღარაფერს ვხედავ, დავყრუვდი კიდეც. ისე იქუხა, მეგონა, ზეცა გასკდა და მიწაზე ჩამოინგრა. რკინის ნაფოტები დაიბნა ცაში: აღარც ტანკია სადმე და აღარც კაცი.

წამით ჩემი თავი ლეიტენანტის ადგილზე წარმოვიდგინე, რატომღაც სიკვდილმა კი არა, ქვეყნიდან უკვალოდ გაქრობამ შემაშინა, სანგრიდან ამოვვარდი გონმოუცემლად და უკან გაქცევა დავაპირე, თითქოს მხოლოდ ასე შეიძლებოდა თავის დახსნა განსაცდელისგან, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ ხელი დამავლო და წინ გამაქანა.

არა. აღარაფერი აღარაა აქ. ყუმბარებმა ტანკი დაანაფოტა და კაცისაგან რაღას დატოვებდა? მოიცა, მოიცა!... ეს რა არის? სისხლის წვეთები, ცაში დაკარგული გმირის სისხლის წვეთები! შეიძლება, სხვა რამეც იპოვოს კაცმა, მაგრამ მე აღარაფერს აღარ ვეძებ.

გახურებულ და დათხრილ მინდორს რკინის პატარა ნიჩბით ვთხრი და ზოგჯერ ხელითაც ვპოტნი. მერე იქვე, მახლობლად, ჭურვისგან ამობრუნებულ გოროხებს ვპოულობ მზამზარეულად, ხარბად ვბღუჯავ და მთელ ამ მიწას წითელი წინწკლებით დაფორეჯებულ ადგილზე ვაყრი უხვად. აი, გაიზარდა ბორცვი და ზედ ჯოხიც დავასვი წარწერით: „აქ მარხია საბჭოთა სამშობლოსათვის გმირულად დაღუპული ლეიტენანტი .... ......“

მე მჯერა, რომ აქა წევს იგი და დღე, ასე სწამდეს ყველას. ჩვენი მეთაური კვამლივით უკვალოდ არ გამქრალა ამ ქვეყნიდან!

— ოცეულო, ისმინე ჩემი ბრძანება! გმირი მეთაურის სახელის სადიდებლად წინ! — დავიძახე უჩვეულო ხმით და მებრძოლები შეტევაზე წავიყვანე.

ამის შემდეგ ჩვენ უკან აღარ დაგვიხევია. ასე ვიარეთ ბერლინამდე.

* * *

იმ დღიდან გავიდა ორი წელი და აი, მიჰქრის მატარებელი კურსკის ველებზე.

წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ერთმანეთის უზომოდ მოყვარული ძმები მიდიან მთის ვიწრო ბილიკზე, ვთქვათ, სანადიროდ. უცებ წინ მიმავალს ფეხი აუსხლტა და ღრმა ხევში ჩაიჩეხა. გადარჩა თუ უკვე დალია სული, უფსკრულში ჩაკარგულმა? ფიქრობს გაურკვეველი მოლოდინისაგან გულამღვრეული და ბილიკზე მარტოდ დარჩენილი ძმა.

მეც იმ ცალად დარჩენილ ძმასავით მიძგერს გული და, ალბათ, იმნაირივე გამომეტყველება მაქვს ახლა, როცა ჩვენი სამგზავრო მატარებელი სადგურ უუტოვოს უახლოვდება.

ეჭვი მიღრღნის გულს. ნუთუ ქარმა წააქცია ჩემი დასმული ჯოხი და ის პატარა ბორცვიც კარგა ხანია გადასწორდა, რომელიც მე სისხლის წვეთებზე დავაშენე?

მატარებელი გაჩერდა.

გზაჯვარედინისკენ მივაბოტებ ჯარისკაცის ჩექმებით და კვლავ ერთი ეჭვი მაწვალებს: ნუთუ აღარაა ის ბორცვი, რომელსაც ჩემი მეგობრის სახელი დავარქვი?

მივაბოტებ ნაცნობ მიწაზე და ვეღარ ვცნობ მას. სადღაა სანგრები. პურის ყანებს დაუფარავს ისინი. ოქროს კაბა აცვია ომგადახდილ ველს.

აი ის გზაჯვარედინიც! გაქცევა მინდა და მუხლები ისე უცნაურად მეკვეთება, როგორც უეცარი ელდისგან იცის ხოლმე.

აი, აი და... მე ვყვირი:

— ცოცხალია! ცოცხალია!

ამ პატარა ბორცვაკს ჩემზე უფრო დიდი გულშემატკივარი, მოამაგე და მზრუნველი გამოსჩენია.

ჩემი ხელით დაყრილი მიწისა და ზედ დასმული ციდა-მტკაველა ჯოხის ნაცვლად ოქროს ასოებით გაბრწყინებული და ვარსკვლავებით უხვად შემოჭედილი ობელისკია აღმართული.



ირგვლივ აჯეჯილებულ ბალახს ნიავი ქოჩორს უვარცხნის, თითქოს ეს ჯეჯილი აქ დაცემული ვაჟკაცის ქოჩორია.

მახლობლად ნაკადული მოედინება ჩუმი გალობით. ალბათ, ნანას ეუბნება სამარადისო ძილით დაძინებულ ვაჟკაცს.

თავს ვეღარ ვიკავებ და საფლავს ვეკონები, როგორც დიდი ხნის უნახავ უფროს ძმას. ვეხვევი და ვუამბობ ჩემს მეთაურს, რომ იგი თან მომყვებოდა ბერლინამდე, მომყვებოდა წელზე ყუმბარებშემორტყმული, ავტომატით ხელში. ასე ვიარეთ ერთად და ერთადვე დავწერეთ ჩვენი სახელები რაიხსტაგის კედელზე. დავწერეთ, რომ ჩვენ ერთად ავიღეთ ფაშისტური ბერლინი და გამარჯვებულნი უკან ვბრუნდებით. მერე რა, რომ ორივეს სახელი ერთი ხელითაა დაწერილი, აბა, ვინ მეტყვის, რომ სიყალბე ჩავიდინე? მე და შენ ხომ ერთად შევედით ბერლინში?

მიხეილ ქვლივიძე

## უშბა

შენ ჩაგეძინა
 და შუქი დაგრჩა
ჩაუქრობელი, საწოლთან, — იქვე,
გაშლილი წიგნი გდია და ფარდებს
ღია ფანჯრებზე ატოკებს ქარი.
გარეთ ღამეა — ვრცელი და წყნარი.
დადუმდა ქუჩა და, მხოლოდ ზოგჯერ,
გვიანი ავტო თუ ჩაიქროლებს,
ან კენტი მგზავრის ნაბიჯი ჩქარი
დაარღვევს დუმილს...

 შენ ახლა გძინავს.
სძინავს შენს ქუჩას, სძინავს ქალაქსაც,
მას დღიურ ზრუნვით დაღლილი თავი
მამადავითის კალთაში უდევს,
და სძინავს ისე, ვით მონადირეს,
მოუსვენარი, ფხიზელი ძილით...
მაღლით კი, ყველას — შენც, შენს ქუჩასაც,
ქალაქს და ქედებს მის გარეშემო,
ქედების იქით — გზებს და სადგურებს,
მინდვრებს და ჭალებს, და ალვის ხეებს,
ლიანდაგების გასწვრივ დარგულებს,
სოფლებს, ქალაქებს, მთელს საქართველოს —
კავკასიონის მკლავებზე მძინარს
დასცქერის ზეცა უზარმაზარი,
ვით ჩემი ზრუნვა. და იგი ხედავს
ყველაფერს, ჩემო, მაგრამ არაფერს
არ იმახსოვრებს და ალბათ მიტომ,
არ იცის რაა—დრო და სიბერე...

შენ ახლა გძინავს.
 შორს შენგან, ძლიერ
შორს, შენი ვიწრო ოთახის იქით,
მაღლა, სულ მაღლა, სვანეთის მთებში,
კავკასიონის მწვერვალთა შორის,
ამაყი უშბაც ძილს მისცემია.
და მის კალთებზე გულშემზარავი
დუმილი სუფევს. შეუბღალავი
და უცოდველი თოვლია ირგვლივ,
და ვარსკვლავები ამ თოვლის შიშით
ახამხამებენ უგულო თვალებს.
თოვლია ყველგან და ნაპრალების
მშიერი ხახა სავსეა თოვლით,
და რომ არ იყოს ეს თოვლი, ალბათ,
ვერ აიტანდნენ სიჩუმეს ქვები
და შეჰბღავლებდნენ ცას ნაპრალები
დუმილის შიშით ზარდაცემულნი!..
თოვლია, თოვლი... და არსაიდან
არ ისმის ხმა ან გამოძახილი...
მაგრამ შეხედე, ვარსკვლავთა შუქზე,
თოვლზე დაყრილი საკენკის მსგავსად,
ჩანს ვიღაც მგზავრის ნაფეხურები.
ვერც ზვავმა შთანთქა და ვერც გრიგალმა
ვერ ამოშალა იმათი კვალი.
ვეებერთელა ღამეულ ცის ქვეშ
ნაფეხურების კვალია მხოლოდ,
როგორც წარწერა ასომთავრული
და მისი არ ჩანს არც დასაწყისი,
არც დასასრული...

შენ ახლა გძინავს. შენს ახლოს, იქვე,
სძინავს შენს ბავშვსაც, პატარა დეას,
შენი სიზმარი არის ნათელი,
ვით სიყვარული შენი მისდამი,
და შენი სული უშბას თოვლივით
არის სპეტაკი და ხელუხლები.
მაგრამ,შეხედე, ვარსკვლავთა შუქზე,
თოვლზე დაყრილი საკენკის მსგავსად,
შენს სულშიც მოჩანს ნაფეხურები
მტკიცე ნაბიჯით გავლილი კაცის.
ვერც ზვავმა შთანთქა და ვერც გრიგალმა
ვერ ამოშალა იმათი კვალი...
სდუმს შენი სულის თეთრი სამეფო,
ნაფეხურების კვალია მხოლოდ,
როგორც წარწერა ასომთავრული
და მისი არ ჩანს არც დასაწყისი,
არც დასასრული...
გვერდით, ოთახში, წევს შენი ქმარი.
 იგი სრულიად არა ჰგავს იმას,
ვინც მწვერვალებზე სიარულს ბედავს.

# ასრულებენ სტუდენტები

გურამ გომართელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზამთარია ლენინის მთაზე.

უნივერსიტეტის კოხტა, ნათელჭაღიან კულტურის სახლში ტევა არ არის... რხევით იხსნება შინდისფერი ფარდა.

— სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი... — აცხადებს კონფერანსიე და მრავალრიცხოვანი აუდიტორია ტაშის გრიალით ფარავს მის სიტყვებს.

შემდეგ კი მიყუჩებულ დარბაზში „დაისის" საამო ჰანგები იღვრება. მას ცვლის ჩაიკოვსკის ღრმა ლირიული მელოდია „სიმღერა უსიტყვოდ", შემდეგ გლინკა, პუჩინი, ბიზე, შუბერტი, არაყიშვილი, ხაჩატურიანი, ჰაჯიბეკოვი, კილაძე, გაბიჩვაძე...

ხუთი კონცერტი ჩაატარეს ქართველმა სტუდენტებმა მოსკოვში და მათი გამოსვლა ყველგან დიდი წარმატებით და გამარჯვებით დამთავრდა. მადლობა მიიღეს უნივერსიტეტელებმა გამოჩენილ კომპოზიტორებისგან, მუსიკათმცოდნეებისგან, მაყურებლებისგან.

...ერთ-ერთი კონცერტის დამთავრების შემდეგ სცენაზე ამოვიდა კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი.

— თქვენმა ორკესტრმა წაშალა ზღვარი თვითმოქმედებასა და პროფესიონალობას შორის, — უთხრა მან სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ალექსანდრე ნასიძეს და მთელ კოლექტივს გამარჯვება მიულოცა.

ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქმა გულთბილად მიიღო უნივერსიტეტის სტუდენტთა შემოქმედება. „იმედია, თქვენი წლევანდელი სტუმრობა შესავალი იქნება ჩვენი შემდგომი მტკიცე და ნაყოფიერი მეგობრობის. ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს!" — ასეთი სიტყვებით გამოაცილეს თბილისელი სტუდენტები მოსკოველმა სტუდენტებმა.

ხუთი წლის წინათ, როდესაც ა. ნასიძემ „ორკესტრთან" პირველი რეპეტიცია ჩაატარა, პულტებს მხოლოდ თორმეტი კაცი უჯდა. ბევრი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვა მოელოდა ახლად ჩამოყალიბებულ ორკესტრს. საჭირო იყო სტუდენტთა მიზიდვა, წახალისება და დაინტერესება. უმრავლესობა პირველად უკრავდა ორკესტრში, მათ სჭირდებოდათ შეჩვევა, ერთ მთლიან კოლექტივად გაერთიანება. ცოტა ხნის შემდეგ კი ერთი სერიოზული წინააღმდეგობა წამოიჭრა ხელმძღვანელის წინაშე: სტუდენტები უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ტოვებდნენ მის კედლებს და რა თქმა უნდა ორკესტრსაც, საჭირო ხდებოდა ახალი წევრების მიღება და მათი თავიდან შეზრდა კოლექტივთან. ეს დაბრკოლებაც დაძლეულ იქნა. გრიგოლ ნიჟარაძე დღიდან ორკესტრის დაარსებისა პირველ ვიოლინოზე უკრავდა. ამას გარდა იგი ეხმარებოდა ხელმძღვანელს ყოველგვარ მუშაობაში. ხშირად სწევდა მის მაგივრობას. მაგრამ გრიგოლმა დაამთავრა უნივერსიტეტი და სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელად წავიდა. რა თქმა უნდა ასეთი წევრის ორკესტრიდან წასვლა სერიოზული დანაკლისი იყო. მაგრამ სექტემბერმა სტუდენტთა ახალ ნაკადთან ერთად არკადი შუგაროვი მოიყვანა ორკესტრში. პირველკურსელი მონდომებით და გატაცებით მოეკიდა საყვარელ საქმეს! შესანიშნავი შემსრულებელი და ორკესტრისათვის გულშემატკივარი აღმოჩნდა და სულ მალე შეიქნა [illegible].

სექტემბერს იმედიანად მოელიან ორკესტრის წევრები. მას ხშირად მოჰყავს ახალი შევსება სიმფონიურ ორკესტრისათვის. ასე იყო გასული წლის სექტემბერშიაც, როდესაც ერთ-ერთ რეპეტიციაზე ნანატრივით გამოცხადდენ გ. ჭუბაბრია, თ. გიგოძე, ე. პაპალაშვილი. მათ ორკესტრში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, წასულთა რიგები შეავსეს და ახლა კი ორკესტრის მიღწევასა თუ სიძნელეს სხვებთან ერთად იზიარებენ. საქმის სიყვარულმა და მონდომებამ თავისი გაიტანა. გაიზარდა ორკესტრის წევრთა რიცხვიც და შესრულების ხარისხიც. დღეს უკვე ორკესტრი ერთ მთლიან კოლექტივს წარმოადგენს.

განვლილი წლების მანძილზე უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი მუდმივად მონაწილეობდა მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. ოლიმპიადის ჟიური მას ყოველთვის აფასებს, როგორც საუკეთესო მხატვრული ღირსების მქონე ანსამბლს. ორკესტრი წარმატებით ასრულებს რუსული, ქართული, დასავლეთ ევროპული კლასიკური მუსიკის, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

მრავალი საინტერესო კონცერტი ჩაუტარებია ორკესტრს თავის არსებობას მანძილზე. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩება სტუდენტთა მახსოვრობაში.

აი თუნდაც ის საღამო... სახელოვან კომპოზიტორს დიმიტრი არაყიშვილს 80 წლის იუბილეზე შეხვედრა გაუმართეს. როგორ ღელავდნენ მაშინ ორკესტრის წევრები! ხუმრობა ხომ არ იყო, ამ საყვარელ კომპოზიტორის თანდასწრებით მისივე ნაწარმოებების შესრულება. თავი ისახელა მაშინ სტუდენტთა ორკესტრმა. წარმატებით იქნა შესრულებული იუბილარის ნაწარმოებები. მხცოვანმა კომპოზიტორმა თავისი სიხარული ველარ დამალა, კულისებში ეწვია სტუდენტებს და ცრემლმორეულმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა მუსიკოსებს.

1954 წლის იანვარში უნივერსიტეტელები მოძმე აზერბაიჯანს ესტუმრნენ, თვითმოქმედების გამოცდილების გასაზიარებლად. თბილისელმა სტუდენტებმა საღამოები გამართეს ბაქოს უნივერსიტეტში, კონსერვატორიაში, ეწვივნენ მუშებს საწარმოებში. აზერბაიჯანის რესპუბლიკურმა გაზეთებმა „ბაკინსკი რაბოჩიმ" და „მოლოდეჟ აზერბაიჯანმა", ფართოდ გააშუქეს ეს გამოსვლები და საუკეთესო შეფასება მისცეს უნივერსიტეტელთა თვითმოქმედებას. „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩამოსვლა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობის ნათელი გამოხატულებაა... თბილისელმა სტუდენტებმა თვალნათლივ წარმოუდგინეს მასპინძლებს თავიანთი შესანიშნავი თვითმოქმედება" — წერდა „მოლოდეჟ აზერბაიჯანა".

განა დასამახსოვრებელი არ იყო ის შეხვედრა, რომელიც სიმფონიურმა ორკესტრმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს პეტრე ამირანაშვილს და რესპუბლიკის სახალხო არტისტს მერი ნაკაშიძეს მოუწყო. მაშინ ამ გამოჩენილ მომღერლებთან ერთად, მშვენივრად შეასრულეს არიები და სიმღერები კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან საუკეთესო ვოკალური მონაცემებით დაჯილდოებულმა სტუდენტებმა: კ. მაღრაძემ, რ. დავრიშაშვილმა, ლ. კვანტალიანმა, დ. მეგრელიშვილმა.

ანდა, უკანასკნელი, მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადა. უნივერსიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა გუნდთან და სოლისტებთან ერთად შესანიშნავად წარმოადგინა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" მესამე მოქმედება.

უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში გაერთიანებული არიან ყველა ფაკულტეტის სტუდენტები და მათი უმრავლესობა წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და მუსიკას. სწავლის ფრიადოსნები ო. აკირტავა, თ. ბათიაშვილი, მ. ელიოზაშვილი, გ. მგელაძე, ა. შუგაროვი, ჯ. მღვდელაძე, რ. მორჩილაძე, ორკესტრის ბირთვს წარმოადგენენ და საუკეთესო შემსრულებლებად ითვლებიან.

...დღის სამი საათია. უნივერსიტეტის ნათელი, ხმაურიანი დერეფნები და აუდიტორიები დროებით მიყუჩებულან. ორი საათის შემდეგ აქაურობას კვლავ გამოაცოცხლებენ უფროსკურსელები. სწორედ ამ დროს ირჩევს სიმფონიური ორკესტრი რეპეტიციისათვის. აი ახლაც, სპეციალურად გამოყოფილ ფართო აუდიტორიაში ორკესტრი მორიგი კონცერტისათვის ემზადება. სტუდენტები რ. ლაღიძის „საჭიდაოს" იმეორებენ. „უხელოდ" უკრავენ სტუდენტები. ოთახის ერთ-ერთ კუთხეში სავარძელში ჩამჯდარა დირიჟორი და გულდასმით უსმენს ორკესტრს. უსმენს და ყოველი ყალბი ნოტი, სუსტად დამუშავებული ადგილი წამსვე ხვდება მის სმენას. უცებ მან ტაშის შემოკვრით შეაჩერა ორკესტრი, სავარძლიდან წამოდგა და ერთ-ერთ სტუდენტს მიუახლოვდა.

— ჩქარობ, ოთარ! უფრო რბილად და დინჯად. მიგდე ყური, — და დირიჟორმა მელოდია წაიღიღინა, — გასაგებია? ასევე შენც, ირინე, — მიმართა მან იქვე მჯდომ წაბლისფერთმიან გოგონას.

შემდეგ თავის პულტზე ავიდა და ხელის ერთი აქნევით ორმოცდაათკაციანი ორკესტრი მხიარულ ჰანგებად აამეტყველა.



ფოტოზე — ზემოთ: დირიჟორი ა. ნასიძე ორკესტრის წევრებთან ერთად არჩევს ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს; ქვემოთ: სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციაზე.

ფოტო ს. მორჩილაძისა

# მეცხვარეობის კასპიისპირეთში



ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ კოკილაშვილი

აქ ვერ შეხვდებით ვერც ცადაზიდულ მთებს, ვერც ბუნების მომხიბლავ პეიზაჟებს.

თქვენს თვალწინ გადაშლილია უსაზღვრო სივრცე, რომელიც თვალის უბრალო გადავლებით, პირველად უკაცრიელ ადგილად მოგეჩვენებათ.

მაგრამ აი შედიხართ ნოღაის ველის შუაგულში და პირველი შთაბეჭდილება თანდათანობით ნელდება. შორს, ჰორიზონტზე, კანტიკუნტად მოჩანს ნაგებობათა და დაზვინულ თივათა სილუეტები. გაივლით ათიოდე კილომეტრს და უკვე იგრძნობთ სიცოცხლეს ამ თვალუწვდენელ ტრამალებში. ხელისგულივით გაშლილ ველზე ღრუბლის თეთრ ქულასავით გადაპენტილა ცხვრის ფარები, მათს გარშემო ტრიალებდნენ საქმით გართული მწყემსები.

ნოღაის ველს, სხვანაირად, შორეულ კასპიისპირეთს უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ იგი ასობით კილომეტრ მანძილზე გასდევს კასპიის ზღვის ნაპირებს. მისი საერთო ფართობი 18 ათას კვადრატულ კილომეტრს აღემატება და გროზნოს ოლქის მთელი ტერიტორიის 55 პროცენტს შეადგენს.

ნოღაის ველის ტერიტორიის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილს ბაჯიგანის ველს უწოდებენ. ის დაახლოებით 700 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული და განკუთვნილია მომთაბარე მეცხვარეობისათვის. მეტწილად აქ ზამთრობენ საქართველოს სსრ, დაღისტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმები.

მარტის პირველ რიცხვებში ჩვენც სწორედ ნოღაის ველის მოზამთრეებს ვესტუმრეთ, რათა გავცნობოდით პირუტყვის გამოზამთრებას, დოლს, ანუ როგორც მწყემსები მას უწოდებენ „მეცხვარეობაში მოსავლის აღებას“ და მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

* * *

პირველად „ჩორნი რინოკში“ ჩავედით. ეს სამი ათას კომლიანი სოფელი ნოღაის ველის მომთაბარე მეცხვარეთა ცენტრია. აქ არის ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველო, მისდამი დაქვემდებარებული მეცხოველეობის სამანქანო სადგური და მეცხვარეთა მომსახურების სხვადასხვა ობიექტები—კლუბი, საავადმყოფო, სასტუმრო, სავაჭრო მაღაზიები.

საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროს დავით ანდღულაძესთან ხანმოკლე საუბრით შევიტყეთ, რომ წელს პირუტყვის გამოზამთრება ნორმალურად მიმდინარეობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცხვარეები თავდადებულად შრომობენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და შედეგსაც კარგს აღწევენ.

ნოღაის ველის საზამთრო საძოვრებზე იმყოფებიან ჩვენი რესპუბლიკის შვიდი რაიონის (დუშეთი, ლენინგორი, ყაზბეგი, თიანეთი, ახმეტა, ჯავა, სტალინირი) კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმები. მათი ცხვრის ფარები ყოველ ზამთარს აქ ატარებენ. თუმცა ზამთარი ხშირად სუსხიანი და მკაცრია, მაგრამ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის აქ მაინც ყველაზე ხელსაყრელი პირობებია. მთავარი ის არის, რომ ცხვარი ადვილად ეგუება აქაურ კლიმატს და ზამთრის პირობებში საკვები ბაზითაც უზრუნველყოფილია.

* * *

დუშეთის რაიონის სოფელ მლაშეს კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა ერთი მრავალთაგანია იმ ფერმებს შორის, რომლებიც ნოღაის ველზე იმყოფებიან.

„კრასნი ბუგორი“ — ასე უწოდებენ ადგილს, სადაც ამ ფერმის 1.240 სული ცხვარი ზამთრობს.

იმ დღეს ძლიერი ქარბუქი ამოვარდა. საღამოვდებოდა, როცა გრძელ თეთრ შენობას მიადგა ჩვენი ავტომანქანა. ფერმის გამგემ ილო არაჩაშვილმა ფანჯრიდან შეგვამჩნია და უმალ გარეთ გამოიჭრა.

— ამ უამინდობაში რამ გაგაბედვინათ აქეთ წამოსვლა? — ურთიერთ მისალმების შემდეგ ღიმილით მოგვმართა ფერმის გამგემ და ოთახში შეგვიპატიჟა.

ფართო ნათელ ოთახში შესვლისთანავე უჩვეულო სითბო ვიგრძენით, მწყემსები ტახტსა და გრძელ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და თბილისიდან რადიოგადაცემას ყურადღებით ისმენდნენ.

— როგორ მდგომარეობაშია ცხვარი, როგორ მიმდინარეობს დოლი? — ამ კითხვით მიმართა ფერმის გამგეს ჩვენმა თანამგზავრმა, პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ბექაურმა.

— ცხვარს რა უჭირს, — დაიწყო ილო არაჩაშვილმა, — ნოყიერი ბალახი არ აკლია და თბილი ბინა. რაც შეეხება დოლს, ჯერჯერობით კმაყოფილი ვართ პირველი შედეგით. 900 დედა ცხვრიდან დღეისათვის 257 დავადოლეთ და ამდენივე ჯანსაღი ნახევრადნაზმატყლიანი ბატკანი მივიღეთ. გვიხარია, რომ ხელოვნურმა დანერგვამ კარგი შედეგი მოგვცა. ნამატს მხოლოდ მეტისს ვღებულობთ. ოთხ-ხუთ დღიანი ბატკნები ისე კუნტრუშობენ, როგორც ერთთვიანები.

— საკვების მხრივ რას იტყვით?

— ნეტავ შარშანაც ასე შევხვედროდით ზამთარს. თითო სულ ცხვარზე 170 კილოგრამი საკვები მოვიმარაგეთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 კილოგრამისა. დამზადებული საკვებიდან ჯერჯერობით არც ერთი კილოგრამი არ დაგვიხარჯავს. მინდორში ბალახი კარგია, საძოვარზე გასული ცხვარი მაძღარი ბრუნდება ფარეხში.

— საყოფაცხოვრებო პირობები როგორიღა გაქვთ?

— საჭმელი არ გვაკლია და ჩაცმა-დახურვა. მადლობელი ვართ პარტიისა და მთავრობისა, ჩვენზე ზრუნვისათვის. საზამთროდ აგვიშენეს ეს ოთხოთახიანი თბილი ბინა, დაგვიდგეს რადიო, ეზოში არტეზიული ჭა გასჭრეს. თქვენ თვითონ ნახეთ, როგორ გადმოსჩქეფს წმინდა წყალი. კარგი აბანოც მოვაწყეთ, ბიჭები კვირაში ერთხელ მაინც ბანაობენ. შარშან კი მიწურებში ვცხოვრობდით, ტალახი და უსუფთაობა ძალიან გვაწუხებდა. ახლა ისე ვცხოვრობთ, როგორც სახლში, ჩვენს ოჯახში, სოფლად.

შემდეგ ფერმის გამგემ მოგვითხრო მოწინავე მწყემსების არშაკ ასაშვილის, ნიკო ჩერქეზიშვილის, ნიკო ჯავახიშვილის და სხვათა შრომითი მამაცობის შესახებ. დოლის წარმატებით მიმდინარეობა და ცხვრის კარგი მდგომარეობა მაგათი ვაჟკაცობით აიხსნებაო. — თქვა დასასრულ ილო არაჩაშვილმა.

* * *

ბაჯიგანში რომ ჩავედით, ჩვენი ყურადღება ახლადაგებულ შენობათა კორპუსებმა მიიპყრო.

— აქ საავადმყოფო და საექიმო პუნქტიაო, — გვითხრეს.

— შარშან არ იყო ეს შენობები. შემოდგომაზე დამთავრდა მათი მშენებლობა — გვიამბო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ამირან შუბლაძემ, — წინათ ძალზე ცუდ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა უნდა ყოფილიყო მიწურში მოწყობილი საექიმო პუნქტი?! ახლა კი მუშაობის ხალისი ერთიორად მოგვემატა. პირველი დახმარების ყველა საჭირო პრეპარატით და ინსტრუმენტით უზრუნველყოფილი ვართ. ცალკე 15 საწოლიანი პალატა მოვაწყეთ მძიმე ავადმყოფებისათვის.

— ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, ქირურგს საიდან იწვევთ?

— საიდან? — გაეღიმა ამირანს, — ავადმყოფს საჭიროებისას პირველ ქირურგიულ დახმარებას ჩვენ თვითონ ვუწევთ. რაიონულ ცენტრს თითქმის 150 კილომეტრით ვართ დაცილებული, ხოლო ჩორნი რინოკს — 100 კილომეტრით. ჩორნი რინოკში მოწყობილია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური საავადმყოფო, ნოღაის ველზე მოზამთრე მწყემსებისათვის. აქ მუშაობს გამოცდილი ქირურგი დავით ციმაკურიძე. თუ ავადმყოფი რთულ ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს, პატივცემულ დავითს გამოვიძახებთ რადიოტელეფონით და ისიც სასწრაფო დახმარების ავტომანქანით გვესტუმრება ხოლმე. ასე, რომ ამ მხრივაც უზრუნველყოფილი ვართ.

ამირან შუბლაძე ახალგაზრდა ექიმია. როგორც კი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, იგი თავისი სურვილით წავიდა საზამთრო საძოვრებზე სამუშაოდ. მერვე წელია, რაც ამირანი თავის მეუღლე ვაქცინატორ თამარ მარგველაშვილთან ერთად თავდადებით ემსახურება მომთაბარე მეცხვარეთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილ საქმეს.

საავადმყოფოსაგან ცოტა მოშორებით პატარა შენობაში მოწყობილია მომთაბარე ვეტპუნქტი, რომელსაც ახალგაზრდა ვეტექიმი ვახტანგ ქორიძე ხელმძღვანელობს. აქვე გავეცანით ამავე პუნქტის ვეტფერშალს სიმონ ალექსანდრესძე კრიჟანოვსკის. რუსულად გამოველაპარაკეთ, მაგრამ კრიჟანოვსკიმ წმინდა ქართულით დაგვიწყო ლაპარაკი:

— ათეულ წელზე მეტია, რაც თიანეთის რაიონის მომთაბარე მეცხვარეობის ფერმებში ვმუშაობ. საზამთრო საძოვრებზე კი 1949 წლიდან ვიმყოფები. ჩვენი რაიონის ათი კოლმეურნეობის ცხვარი ყოველწლიურად აქ ზამთრობს. წელს დოლი კარგად დაიწყო და ნორმალურად მიმდინარეობს. თითქმის ყოველდღე ფერმებში ვტრიალებთ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მიღებული ნამატი მთლიანად შევინარჩუნოთ და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ პარტიისა და მთავრობის დავალების შესრულებაში, ხელი შევუწყოთ მეცხვარეობის შემდგომი მძლავრი განვითარების საქმეს.

მეორე დილას სიმონ კრიჟანოვსკის შევესწარით პარტიის თიანეთის რაიკომის მდივან ამხ. დ. გონჯილაშვილთან საუბარში. რაიკომის მდივანი ღამით ჩამოსულიყო ბაჯიგანში. სიმონი დაწვრილებით უამბობდა გონჯილაშვილს ფერმებში არსებულ მდგომარეობაზე, მიღებული ნამატისა და ცხვრის მოვლა-პატრონობის მდგომარეობაზე.

* * *

სადაც არ მოგვიხდა ყოფნა, ყაზბეგის თუ ლენინგორის, დუშეთის თუ ახმეტის ფერმებში, ყველგან იგრძნობოდა მეცხვარეთა და სპეციალისტთა კმაყოფილება დოლის პირველი შედეგებით.

— მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რაც უნდა გაკეთდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის—გვითხრეს მწყემსებმა, — ყველა პირობა გაგვაჩნია, რათა უახლოეს ორ-სამ წელიწადში დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხვარეობის განვითარებაში და მივაღწიოთ მის ახალ მძლავრ აღმავლობას.

ვუსურვოთ მათ მადლიან მარჯვენას ბარაქა!

ნოღაის ველი. მარტი. 1953 წ.

# დანტე ალიგიერი

## (დაბადებიდან 690 წლის შესრულების გამო)

მეცნიერული კომუნიზმის მამამთავარი კარლ მარქსი „კაპიტალის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „მეცნიერული კრიტიკის ყოველი აზრი სასურველია ჩემთვის. ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი აზრის ცრუმორწმუნეობის მიმართ, რომელსაც მე არასოდეს არაფერს ვუთმობდი, ჩემ დევიზად ახლაც, როგორც უწინ, რჩება დიდებული ფლორენციელის სიტყვები: „იარე შენ შენი გზით და, დაე, ადამიანებმა რაც უნდათ თქვან“.

ეს „დიდებული ფლორენციელი“—დანტე ალიგიერი იყო. დანტე დაიბადა 1265 წელს. მამა ადრე გარდაეცვალა და ის იძულებული გახდა, თავი დაენებებინა სკოლისათვის, სადაც შუასაუკუნეობრივი ლათინური ტექსტების თავისუფალ წერა-კითხვასთან ერთად, ზერელედ ასწავლიდნენ ისტორიას, ელემენტარულ ღვთისმეტყველებას, ლოგიკას, გეოგრაფიას, ასტრონომიასა და ბუნებისმეტყველებას. სკოლაში მიღებულმა ცოდნამ დანტე არ დააკმაყოფილა და დამოუკიდებლად შეუდგა მის გაღრმავებას. შეისწავლა ციცერონი, ოვიდიუსი, ლუკიანი, ჰორაციუსი, იუვენალი, ვირგილიუსი და სხვები.

ლექსების წერა დანტემ ადრე დაიწყო. ეს ადრეული ლექსები სასიყვარულო ლირიკას წარმოადგენს. მისი გატაცების საგანი ბეატრიჩე იყო, რომელიც მან 9 წლისამ შეიყვარა.

ბეატრიჩე ადრე გარდაიცვალა. პოეტი საშინლად დაამწუხრა ამ ამბავმა; თავისი უიღბლო სიყვარულის მწუხარე ისტორია დანტემ აღწერა ავტობიოგრაფიულ წიგნში „ახალი ცხოვრება“, რომელშიაც მოცემულია მიჯნურობის აპოლოგია.

ბეატრიჩეს სიყვარულის საკითხს დანტე ეხება თავისი შემოქმედების გვირგვინში „ღვთაებრივ კომედიაშიც“.

ფრიდრიხ ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი იტალიური გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ფეოდალური შუა საუკუნეების ბოლო და თანამედროვე კაპიტალისტური ხანის დასაწყისი უდიდესი პიროვნებით არის აღნიშნული. ეს არის იტალიელი დანტე, შუა საუკუნეების უკანასკნელი პოეტი და ამასთან ერთად ახალი დროის პირველი პოეტი“.

იტალია მოწინავე ქვეყანა იყო. აქ ყველაზე ადრე წარმოიშვა ფეოდალური ბორკილებისაგან განთავისუფლებული ქალაქები. მეტად ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რაც შესაძლებლობას აძლევდა იტალიას ფართოდ გაეშალა სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, განაპირობა თავისუფალი ქალაქების აყვავება.

ფეოდალური ურთიერთობის რღვევა იტალიაში მეტად მტკივნეულად წარიმართა. აქ ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლები წარმოებდა ორ პარტიას — გველფებსა და გიბელინებს შორის. გიბელინები ესწრაფოდნენ დაქუცმაცებული იტალიის გაერთიანებას გერმანიის იმპერატორის დახმარებით, გველფებს კი გეზი რომის პაპისკენ ჰქონდათ აღებული. პაპიზმსა და იმპერიას შორის წარმოებული საუკუნეობრივი ბრძოლა გადაიქცა იტალიის ქალაქებს შორის გამართული პოლიტიკური ბრძოლის წამყვან, ცენტრალურ საკითხად.

ყველაზე განვითარებული კულტურული ცენტრი ამ ხანებში ფლორენცია იყო და მაშინდელმა პოლიტიკურმა ბრძოლებმაც, ცხადია, აქ მიიღო უმწვავესი ხასიათი. დანტე თავისი დროის არა მარტო უდიდესი პოეტი, არამედ დიდი პოლიტიკური მოღვაწეც იყო. მას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა თავისი თანამემამულეების ბრძოლისათვის. ფლორენციაში ქალაქის მმართველობა ხელიდან ხელში გადადიოდა. გიბელინებსა და გველფებს შორის ბრძოლა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ამ პოლიტიკურმა ბრძოლამ უდიდესი გავლენა მოახდინა დანტეს შემოქმედებაზე.

1302 წელს ფლორენციის მაშინდელმა მმართველებმა, დანტე იძულებული გახადეს გაქცეულიყო და ეხეტიალა ქალაქიდან ქალაქში; განდევნილი პოეტი, რომელმაც იწვნია რამდენად „მწარეა სხვისი პური და მძიმეა სხვისი კიბის საფეხურები“, წერს „ღვთაებრივ კომედიას“ („ღვთაებრივი“ ამ ნაწარმოებს შემდეგში შეარქვეს, თავის დროზე ამ ეპითეტით თვითონ დანტეს იხსენიებდნენ).

სიცილიური ლირიკა, რომელიც პროვანსული ლირიკის გავლენით განვითარდა და რომლის თემას ქალისადმი რაინდის სამსახური შეადგენდა, XIII საუკუნეში, ქალაქის ვითარებაში, სახეს იცვლის; ახლა უკვე უმღერიან ნამდვილ ქალს და სიყვარულიც რეალურადაა გამოხატული. ბოლონიაში ყალიბდება ფილოსოფიური ლირიკა, რომელიც ცნობილია, როგორც „ახალი ტკბილი სტილის“ სკოლა. ამ სკოლის მამამთავარი იყო პოეტი გვიდო გვინიჩელი. კიდევ უფრო განყენებული და წმინდა ფილოსოფიური სახე მისცა ამ ლირიკას დანტეს მეგობარმა გვიდო კავალკანტიმ. მის ლირიკაში თითქმის გაქრა ნამდვილი, რეალური ქალი.



მასთან სიყვარული არა მარტო სიკეთის წყაროდ, არამედ თვით განხორციელებულ სიკეთედაა მიჩნეული. დანტე ამ სკოლის ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მართალია, დანტეც სიყვარულს ფილოსოფიური განსჯის ბურუსში აქცევს, მაგრამ მის პოეზიაში უფრო და უფრო იჭრება რეალისტური ფერები. ნამდვილი, რეალური ქალის სიყვარულია გამოხატული დანტეს „ახალ ცხოვრებაში“ ჩართულ კანცონებში.

„ახალ ცხოვრებაში“ ჩართულია ცნობილი კანცონა, რომელშიც დანტე ემიჯნება ტრუბადურებსა და სიცილიურ ლირიკას და ქმნის სრულიად ახალ პოეტურ ქმნილებას, შესანიშნავს თავისი უშუალობითა და გულწრფელობით. მასში ბეატრიჩე არა მარტო დანტეს, არამედ ყველას, ვისაც კი შეხვდება, აკეთილშობილებს, სულით აღამაღლებს, და განძარცვავს ყოველგვარი ბოროტებისაგან:

„შეუზღუდავი უფლებებით მოსავს მას ღმერთი,
რომ იმის მნახველს, ბოროტების არ შერჩეს
წვეთიც“.

„ახალი ცხოვრება“ შესანიშნავია, როგორც პირველი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში.

1307-8 წლებში განდევნილმა დანტემ, რომელმაც ბეატრიჩეს გარდაცვალების შემდეგ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ჰპოვა თავისი დაჭრილი გულის თავშესაფარი, შექმნა მორალურ-ფილოსოფიური ტრაქტატი „ლხინი“. მართალია მასში დანტე წმინდა შუასაუკუნეობრივი მორალის დამცველად გამოდის, მაგრამ ეს ნაწარმოები იმითაა შესანიშნავი და მნიშვნელოვანი, რომ ის დაწერილია იტალიურ ენაზე და არა ლათინურად: ამით დანტე ცდილობს ნაწარმოები ხალხის ფართო მასებისათვის გასაგები გახადოს. ამგვარად დანტემ საფუძველი ჩაუყარა იტალიურ ლიტერატურულ ენას. იგი სამართლიანად მოითხოვდა ერთიანი ნაციონალური ენის შექმნას. სხვათა შორის, ამავე ტრაქტატში დანტე ერთიანი იტალიის შექმნის აზრს იცავდა.

ტრაქტატში „მონარქიის შესახებ“ (1313 წ.) დანტე იმპერატორის ძალაუფლების დამცველად გამოდის. მისი აზრით აუცილებელია საერთაშორისო მონარქია, როგორც ერთადერთი სამართლიანი ხელისუფლება, რომელიც ჭეშმარიტად შეუწყობს ხელს კაცობრიობის კეთილდღეობასა და აყვავებას. ეს ტრაქტატი მიმართულია პაპიზმის წინააღმდეგ. დანტეს პოლიტიკური შეხედულებანი ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით. მისი პროგრესული იდეა იტალიის ეროვნული გაერთიანების შესახებ არქაულ სამოსელშია მოქცეული.

დანტეს ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს „ღვთაებრივი კომედია“. ამ შესანიშნავ პოემაში ყველაზე უფრო გამოკვეთილად მოჩანს დანტე ალიგიერი, როგორც „შუა საუკუნეების უკანასკნელი და ახალი დროის პირველი პოეტი“.

ეს პოემა სამი ნაწილისაგან შედგება: „ჯოჯოხეთი“, „სალხინებელი“, „სამოთხე“. თვითეული ნაწილი 33 ქებას შეიცავს.

იმქვეყნიური სამჯავროს ჩვენება დანტეს იმისათვის სჭირდება, რომ ადამიანების ამქვეყნიურ ალვირახსნილობასა და ათასგვარ მანკიერებას ალვირი ამოსდოს. დანტე კი არ უარყოფს, კი არ გმობს საქაო ცხოვრებას, პირიქით, მისი გამოსწორებისათვის იბრძვის. სწორედ ამიტომაა, რომ დანტე ჯოჯოხეთში მოაქცევს არა მარტო გარდაცვლილთა სულებს, არამედ ცოცხალ ადამიანებსაც. დანტე მასალებს იღებს იტალიის სინამდვილისაგან; ამიტომაც ატარებს მისი პოემა რეალისტურ ხასიათს. პოეტი საიქიო ცხოვრების გულცივ აღმწერლად როდი გვევლინება, ის ყოველი სურათის დანახვაზე გამოთქვამს თავის შეხედულებას, ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ პარტიისა თუ პიროვნებისადმი.

თავისი ინტერესით მიწიერი ცხოვრებისა და ადამიანისადმი, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ეხმაურება რენესანსს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დანტეს მიერ დახატულ ყოველ სიტუაციას უსათუოდ გააჩნია პოლიტიკური ხასიათი. დანტეს ალეგორიები ერთის მხრივ მორალურ-რელიგიური, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკური ხასიათის მატარებლები არიან.

დანტეს გენიალური ქმნილება დაწერილია ხალხისათვის გასაგები იტალიური ენით. ამიტომაც დიდად აფასებენ მას მისი თანამემამულეები. მე-XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს იტალიაში იტალიის ერთიანობისათვის მებრძოლნი თავიანთ შორეულ მედროშედ მიიჩნევდნენ დანტეს, სამშობლოდან განდევნილ პოეტს, რომელიც მთელი თავისი არსებით იბრძოდა იტალიის გაერთიანებისათვის.

დანტეს ძვირფასი მემკვიდრეობა თარგმნილია თითქმის ყველა კულტურულ ენაზე. ქართულად თარგმნილია „ღვთაებრივი კომედია“ (მთარგმნელები: კ. გამსახურდია და კ. ჭიჭინაძე).

დანტეს მდიდარი შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის უძვირფასესი განძია.

**ელგუჯა მაღრაძე**

---

ფრიდრიხ შილერი

# ლ ე ქ ს ე ბ ი

## 1. იმედი

ფიქრობს, ოცნებობს დაუმცხრალი ადამიანი,
უკეთეს დღეებს მთელის მარად:
მის წინ მიზანი — სანუკვარი, ოქროსფრთიანი
მიფრინავს უცხო ფრინველის დარად.
მუდამ წინ მიჰქრის დაუღლელი სიცოცხლის
ეტლიც,
კაცი კი ფიქრობს უკეთესზე სულ განუწყვეტლივ!

იმედი ქვეყნად გზას უნათებს ადამიანებს,
ის ბავშვებს ხიბლავს და აჯადოვებს,
ბრწყინვალე შუქით ჭაბუკის გულს ადარიანებს
და მოხუცებსაც იგი არ ტოვებს;
თუნდაც დაღლილნი გადავვფაროს სამარით შავით,
ჩვენს სამარეზეც მომავალის იმედი ჰყვავის.

ო, ეს არაა გიჟის თავში წარმოშობილი
აუხდენელი ზრახვა, ცთუნება,
უკეთესისთვის ქვეყანაზე ვართ ჩვენ შობილი! —
გული სულ ამას გვედუდუნება.
და მასში, რასაც შინაგანი ხმა გვამცნობს ასე,
არ მოტყუვდება ჩვენი სული, იმედით სავსე.

## 2. ამალია

ვით ანგელოზი, ვალჰალის მკვიდრი,
ყრმა მშვენიერი იყო ყველაზე,
როგორც მაისის მზე ბრწყინავს ზღვიდან,
მისი თვალებიც ლურჯად ელავდნენ.

მეგობრის კოცნა მავსებდა შვებით!
ვით ორი ალი, მსწრაფლ ანთებული,
და ორი ჰანგი, ციური გზნებით
ტკბილ ჰარმონიად შეერთებული, —

ერთად დნებოდნენ ჩვენი სულები,
ლაწვნი, ბაგენი იწვოდნენ, თრთოდნენ,
მიჯნურთა ხილვით მოხიბლულები,
ცაც, დედამიწაც ჩვენს ირგვლივ ჰქროდნენ.

ის აღარ არის და სავსე წყენით
ამაოდ ვუხმობ მეგობრის მოსვლას!
ის აღარ არის და წუთნი ლხენის
წარუტაცნია ამაო ოხვრას.

გერმანულიდან თარგმნა
**ვ. ბეწუკელმა**

ზ. გოგოლაშვილი. — გამარჯვების დროშა
აღმართვა რაიხსტაგზე 1945 წლის 9 მაისს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბოლნისი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მოწინავე მწველელი ზ. ბერძენაძე. ფოტო კ. კრიმსკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავი. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო. ფოტო კ. კრიმსკისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფოტო ე. იგნატოვიჩისა.

# ვაჟიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

იური ნაგიბინი

მხატვრები
გ. გულისაშვილი და ვ. ტოროტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დღეში არ დაუხარჯავს კანიშჩევს იმდენი დრო ჩაცმაზე, არც ისეთი გულმოდგინება გამოუჩენია, როგორც იმ საღამოს, როცა თავისი თორმეტი წლის ვაჟიშვილის გასაცნობად მიდიოდა.

ვაჟიშვილს იგი ათ წელზე მეტია რაც დაშორდა; მაშინ ბავშვი ერთი ნამცეცა, მელოტი და მოხუცივით დანაოჭებული არსება იყო. შეიძლება ითქვას, რომ კანიშჩევი არც იცნობდა თავის შვილს.

— კაცს ეგონება სატრფიალო პაემანზე მიდისო, — ღიმილით თქვა ელენე დმიტრევნამ, კანიშჩევის ცოლმა, როცა შენიშნა, რომ ქმარი სარკეში მეოთხედ იზომებდა ყელსახვევს.

— მაინც ასეა, — მიუგო კანიშჩევმა და სახე დაელრიჯა, რადგან საკინძით ხორცი მოიჭეჭყა ყელთან. — მინდა, თავი მოვაწონო.

„საინტერესოა როგორი თვალით შემხედავს? — ფიქრობდა კანიშჩევი და ახალი, უჩვეულო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა საკუთარ თავს სარკეში. — მაღალი ვარ, თავი გმირულად მიჭირავს, ეს კი ბიჭებს ყოველთვის მოაწონთ. ვაი თუ შებერებული ვეჩვენო! არ მეგონა, თუ ამდენი ჭაღარა მქონდა გამორეული!

თვალებიც თითქოს პატარა მაქვს. ნუთუ, რაც ხანში შევდივართ თვალებიც გვიპატარავდება?“

— წლები თვალებს აპატარავებს? — წარმოთქვა მან ხმამაღლა.

— ყოველ შემთხვევაში არა ოცდათოთხმეტი წელი! — სიცილით უპასუხა ელენემ.

კანიშჩევმა ფანჯარაში გაიხედა. ბინდბუნდი იდგა. ჰაერს გამჭვირვალე იისფერი გადაჰკრავდა. ასეთი შუქი მხოლოდ მშრალი შემოდგომისას იცის ხოლმე. ყველაფერი ოდნავ მოჩვენებითი გგონია: ფეხით მიმავალნიც, მანქანებიც და ხეებიც.

— დროა წავიდე, — თქვა მან. — ტორტი ხომ იყიდე?

— რა თქმა უნდა! გინდა, გაგაცილებ?

კანიშჩევმა მადლიერი თვალებით შეხედა ცოლს და მეორე ოთახში გავიდა. იქ ბადიან საწოლში ეძინა მისი ექვსი თვის გოგონას. კანიშჩევი დაიხარა და ფრთხილად შეახო ტუჩები ბალღის შუბლს.

როცა ბავშვის ოთახიდან გამოდიოდა, ცოლის მადლიერი შეხედვა დაიჭირა. მხოლოდ ახლა მიხვდა თავის უნებლიე მოძრაობის აზრს: მის გულში ორივე ბავშვს ექნება ადგილი.

ისინი ქუჩაში გამოვიდნენ. დაღამდა. აინთო ფარნები და ქალაქმა დაჰკარგა თავისი ბუნდოვანი მოხაზულობა. ახლა ყველაფერი გარკვევით ჩანდა, როგორც გრავიურაზე. ცალკე სინათლე, ცალკე სიბნელე. ფარნების მოთეთრო შუქზე მათი მოგრძო, მკვეთრად გამოხატული ჩრდილები ისე მჭიდროდ გაწვა ქვაფენილზე, თითქოს ერთმანეთს შეზრდიანო.

— დახე, რა შეხმატკბილებულად მიდიან ჩვენი ჩრდილები, — თქვა ელენემ. კანიშჩევი გააკვირვა მათი ფიქრების თანხვედრამ.

ისინი ხელიხელგაყრილი მიდიოდნენ და ელენე გრძნობდა მისი იდაყვის სითბოს, თუმცა პალტო ეცვა. კანიშჩევი ხომ იქვე იყო მის გვერდით, მაგრამ ქალის უტყუარი ალღოთი ელენე მიხვდა, რომ ქმარი ახლა უსასრულოდ შორს არის მისგან, სადღაც იქით ამ ქუჩისა და ამ საღამოს მიღმა, იმ უცნაურ და დაუჯერებელ სამყაროში, სადაც ელენე, მასთან ერთად, ჯერ არ ყოფილა...

პირველ ცოლთან, თავისი ვაჟის დედასთან ერთად სწავლობდა კანიშჩევი კავშირგაბმულობის ტექნიკუმში. ის დიდად განირჩეოდა სხვა ქალიშვილებისაგან: ჩუმი, გულჩათხრობილი, თითქოს დაბეჩავებული, გრძელი ფერმკრთალი სახითა და ნახევრად დახრილი თვალებით ის როგორღაც ვერ ეთვისებოდა გარშემო მყოფთ, ყოველთვის განზე იდგა, განცალკევებით.

მეოთხე კურსზე ამ თვისებებმა, რომლებიც ადრე თითქმის დაცინვას იწვევდა, უცბად უცნაური მიმზიდველობის ძალა მოიპოვა.

ახლა მის სიჩუმეში კანიშჩევი სიღრმეს ხედავდა, გულჩახვეულობა სერიოზულ და მორცხვ ხასიათს პირდებოდა, გრძელი ფერმკრთალი სახე კი საიდუმლოებით აღივსო. ისინი დაახლოვდნენ. პირველი ქალისადმი მადლიერებამ და სინაზემ აღავსო კანიშჩევის მთელი არსება. მალე ქალი კანიშჩევს გამოუტყდა, რომ სახლში ჩვენი ამბავი გაიგესო.

— მამა მომკლავს! — თქვა ქალმა და ტირილი წასკდა.

იმ დღესვე მოაწერეს ხელი და კანიშჩევი მათ სახლში გადავიდა. მთელ მის ქონებას ერთი საბანი და რამდენიმე წიგნი შეადგენდა. კანიშჩევმა ბავშვობაში დაკარგა მშობლები და შეჩვეული იყო ჯერ შორეულ ნათესავებში, ხოლო შემდეგ საერთო საცხოვრებელში ხეტიალს. კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება თითქოს ორპირ ქარში გაატარა, უეცრად თბილ და მყუდრო სამოთახიან ბინაში აღმოჩნდა, გარშემორტყმული ურიცხვი ნივთებით, რომელთა პატრონადაც რამდენადმე მასაც შეეძლო ჩაეთვალა თავი. რა ვუყოთ, რომ ეს ნივთები ზიზღსა გვრიდა კანიშჩევის თანდაყოლილ გემოვნებას: დათვის საფერფლე, სამელნე ვერცხლის მასიური თავით, ვაზები, სპილოები, კედელზე თეფშები და ფერად შუშის ჭიქებში ნაჭრის ყვავილები. ფუთიანი სავარძლები და ვარდისფერი შუქფარი. სამაგიეროდ რა კარგი იყო საღამოობით სავარძელში ჩაჯდომა და შუქფარას გვირგვინიდან გადმოღვრილ ვარდისფერ შუქზე წიგნების კითხვა!

მართალია, მას არა მარტო გემოვნების, არამედ სხვა უფრო მეტად სერიოზულის დათმობაც მოუხდა. სახლს განაგებდა ოლღას მამა, თერძი, რომელიც სახლში მუშაობდა, თანაც უპატენტოდ, რაშიც ჩქარა დარწმუნდა კანიშჩევი. მსუქანი, პატარა ჭრელთვალა მოხუცი, დესპოტი და ხუშტურიანი კაცი იყო.

თავისი ცოლი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, წყნარი ქალი, მან პირადულობის სრულ დაკარგვამდე მიიყვანა. აჩრდილივით უფერული და ჩუმი ქალი განუწყვეტლივ ფუსფუსებდა სახლში, ალაგებდა, იატაკს რეცხავდა, ხარშავდა, ხრაკავდა, უთოები მოჰქონდა ქმრისათვის. კანიშჩევს ხეირიანად არც კი გაეგონა მისი ხმა.

სამუშაო დღეებში სიმამრი დაუღალავად მუშაობდა, ბებერი ცხენის ჩაყვითლებული კბილებით ბრაზიანად კვნეტდა ძაფს; კვირაობით და საზეიმო დღეებში კი არაყსა სვამდა, თავისმომაბეზრებელ მოსაუბრედ იქცეოდა ხოლმე. განსაკუთრებით უყვარდა ოჯახისათვის მომავალი უბედურების წინასწარმეტყველება.

ყოველივე ეს არასასიამოვნო და გულის გამაწვრილებელი იყო კანიშჩევისათვის, იგი მზად იყო ამ ფასად გამოესყიდა ის სიხარული, რასაც ოჯახის წევრობა, ქმრობა და შესაძლოა მამობა ანიჭებდა. მაგრამ გულს უმაგრებდა მომავლის რწმენა. აი დაამთავრებენ ტექნიკუმს, დაიწყებენ მუშაობას, გამოეყოფიან მოხუცებს.

ასე ცხოვრობდა ის ოჯახში ომის დაწყებამდე. ტექნიკუმის დიპლომის მიღებიდან სამი დღის შემდეგ კანიშჩევი ფრონტზე წავიდა, მეკავშირე ოცეულის მეთაურად, უმცროსი ლეიტენანტის წოდებით. ორმოცდაორი წლის შუა თვეებში დაბრუნდა ჰოსპიტალიდან, როგორც ომისთვის გამოუსადეგარი. ექიმებმა დაადგინეს: პროცესი ფილტვებში.

სიმამრის სახლში შეხუთულად და ხარბად ცხოვრობდნენ. მოხუცი წინანდებურად ბევრს მუშაობდა, კლიენტებს ახლა უფრო მეტად აძრობდა ტყავს, ოჯახი კი სასაქმებელ ზეთზე გამომცხვარი ლავაშებითა და კვერცხის ფხვნილით იკვებებოდა. სამაგიეროდ გამუდმებით რაღაცას ყიდულობდნენ: ნაჭრებს, ბეწვეულს, ყოველნაირ ავეჯს და პიანინოსაც კი. კანიშჩევი ხმას არ იღებდა: ცოლი ორსულად იყო, და თუ ოჯახის სხვა წევრები როგორღაც იკვებებოდნენ, მისთვის ყოველთვის იყო კარაქიც, კვერცხიც, რძეც და ხორციც. მას კი ყოველივე ამის მოტანა არ შეეძლო ცოლისთვის: ის მონტიორად მუშაობდა სახლმმართველობაში.

იქნებ იმის გამო, რომ ასე ცუდად და დარცხვენილად გრძნობდა თავს ოჯახში, ან იმის გამო, რომ ცოტა იომა, ან იქნებ ავადმყოფობის გამოც, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა შეურყია, კანიშჩევი ისეთმა ამბებმა გაიტაცა, რომელთაც ყოველდღიურობასთან არაფერი ჰქონდათ საერთო.

ოდესღაც ის სიამოვნებით და ბევრსაც ხატავდა, სკოლის სამხატვრო წრეში მეცადინეობდა, და ახლაც ოჯახისაგან ფარულად სამხატვრო სასწავლებელთან არსებულ კურსებზე შევიდა. კანიშჩევს თავბრუს არ ასხამდა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მაგრამ მან ძლიერ და თავდავიწყებით შეიყვარა მხატვრობა, რომელმაც სხვა მშვენიერი, სასიხარულო სამყარო გადაუშალა, სავსებით განსხვავებული იმისგან, რაც თითქოს ხელის ერთი მოსმით შექმნა მის გარშემო მკერავმა სიმამრმა. კანიშჩევი უკანასკნელი გროშებით ყიდულობდა დიდი ოსტატების ნაწარმოებთა რეპროდუქციებს, სულმოუთქმელად კითხულობდა წიგნებს ხელოვნების შესახებ. უბრალო და წმინდა ალტაცებას მოჰყვა გაგება, რომელიც შემდეგ იქცა სურვილად — კიდევ უფრო მეტი გაეგო და სცოდნოდა. კურსების დამთავრების შემდეგ მან სამხატვრო სასწავლებელში შესვლა გადაწყვიტა. და მისგან მხატვარი თუ გამოვა, იგი მისთვის ყველაზე მეტად საყვარელ სამყაროში იცხოვრებს.



ბავშვის დაბადებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. იშვა ბიჭუნა — მშვენიერი, ჯანმრთელი, მამასავით შავთვალა. ამის შემდეგ ორი თვეც არ იქნებოდა გასული, რომ სიმამრმა განუცხადა:

— გეყოფა სხვის კისერზე ჯდომა! უკვე გამოჯანმრთელდი, დროა საქმეს მოჰკიდო ხელი, ბოლოს და ბოლოს, მამა ხარ!

— აკი ვმუშაობ? — თქვა კანიშჩევმა.

მკერავმა ჩაიცინა და უშნო, დიდრონი კბილები გამოაჩინა.

— ოთხას მანეთად? კილო კარაქი კი ბაზარზე — რვაასი ღირს! მე უკვე შეთანხმებული ვარ, ხვალვე პურის საცხობში წახვალ. ჯერ შეგირდად იქნები, მერე ღუმელთან დაგაყენებენ.

— ამას რა აზრი აქვს, — უთხრა კანიშჩევმა, — იგივე მუშის წიგნაკი, ხელფასიც, ალბათ, მეტი არ იქნება.

— კმარა, თავს ნუ ისულელებ! ვითომ პატარა იყო. პურის ახლოს ტრიალებდე და პური ვერ ჭამო?

— მაშასადამე მოვიპარო? — კანიშჩევი ძლიერ მშვიდად ლაპარაკობდა და ერთბაშად მიხვდა, რომ

ახლა ყველაფერი გადაწყდებოდა, — კომკავშირელს ეგ არ შეეფერება!

— სხვისი პურის ყლაპვა კი შეეფერება? იქნებ გსურთ, მთელი ცხოვრება ჩემს ზურგზე გაატაროთ ცოლითა და ბავშვით? აი! — მან სამი თითის კომბინაცია უჩვენა და ზიზღით დაუმატა: — ოჰო, ესეც რაფაილი გამიჩნდა! — კანიშჩევი მიხვდა, რომ მისი მხატვრობით გატაცება, რასაც ასე გულმოდგინედ მალავდა ოჯახში, არა ერთხელ გამხდარა გესლიანი დაცინვის საბაბი.

კანიშჩევმა იცოდა, რომ ყველაფერი დღესვე, ახლავე დამთავრდებოდა. მიიხედ-მოიხედა, სიდედრი, როგორც ყოველთვის, მსგავს შემთხვევებში, მიიმალა, ცოლი კი იქვე იჯდა სავარძელში და ბავშვის პერანგს კერავდა. „დამშვიდებულია: იცის, რომ არსად წამესვლება“. ცოლის ამ სულმდაბლურმა რწმენამ ქმრის უსუსურობასა და სისუსტეში, თითქოს მასთან დამკავშირებელი უკანასკნელი ძაფები გასწყვიტა. მან რატომღაც ოთახის კუთხეში დაკიდულ სპილენძის გირებიან მძიმე კედლის საათს შეხედა. ეს საათი ყოველთვის თორმეტის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა. კანიშჩევმა ამ მოშლილი საათის დანახვისას, ისევე, როგორც სხვა დროს უნებლიედ თავის მაჯის საათზე გადაიტანა თვალი. ზუსტად თორმეტის თხუთმეტი წუთი იყო — „მკვდარი“ საათი პირველად უჩვენებდა სწორ დროს.

— რას იზამ, — თქვა კანიშჩევმა და ღიმილი მოერია — ქურდობას მე არ დავიწყებ.

— დედაკაცო! — დაიყვირა მკერავმა და თვითონაც დაიღრიჯა ბილწი ღიმილით. — მოართვი სიძეს მისი ტილიანი ფარაჯა და ჰაერი გაწმინდე, თორემ ამ სტუდენტებმა ცუდი სუნი დააყენეს!..

ამის გაგონებაზე კანიშჩევის გონება თითქოს ნისლმა დაბურა, მოეჩვენა, რომ სიდედრმა მართლაც მიუგდო ფარაჯა, სულელურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ერთბაშად თითქოს სახელოსაც ველარ მიაგნო; მის წასვლამდე მგონი ცოლსაც არ აუწევია თავი...

ყველაფერი ცხადად და გარკვევით ახსოვდა იმ წამიდან, როცა ის ქუჩაში აღმოჩნდა. გაქუცულ ფარაჯაში გამოხვეული ალალბედად გაჰყვა გზას. არაფერზე არ ფიქრობდა, არაფერს არ განიცდიდა, გარდა თავისუფლების გრძნობისა, რომელიც პირველ ყინვასავით ახალი და მსუბუქი იყო...

მან იცოდა, რომ ამიერიდან თავს არავის დააჯაბნინებდა. აქედან დაიწყო მისი ახალი გზა...

და ეს გზა მან წაუბორძიკებლად გაიარა. დაამთავრა ინსტიტუტი, შემდეგ ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; მისი შრომა, რომელიც მანამდე ჩრდილში მოქცეულ „მოძრავი მხატვრების“ შემოქმედებას მიეძღვნა, ცალკე წიგნად გამოიცა; ერთ ხანს იგი ლენინგრადის რუსულ მუზეუმში მუშაობდა, სადაც მოამზადა და გამოსცა წიგნი რუსულ პორტრეტზე, შემდეგ კი მოსკოვში მიიღო კათედრა. ლენინგრადიდან მარტო არ დაბრუნებულა. თან ჩამოიყვანა ცოლი, ლამაზი და კეთილი ქალი, რომელიც მის სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობდა.

ვაჟიშვილი კი უნახავი დარჩა. ყველაფერი მეტისმეტად იყო გართულებული. ჯერ იყო და საკუთარი თავი ვერ აიძულა, მკერავის სახლის ზღურბლი გადაელახა, მერე რამდენიმე წლით წავიდა, ხოლო როცა დაბრუნდა, ყოველი მისი ცდა ენახა ბავშვი, პირველი ცოლის ოლღას მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. მის წერილებზე ოლღა უპასუხებდა, არ არის საჭირო, ასე უკეთესია ჩემთვისაც და ბიჭისთვისაცო. ერთხელ მან ძვირფასი საჩუქარი იყიდა და თავის ყოფილ სახლს მიაშურა. დაავიწყდა, რომ მკერავის ბინის კარს ერთბაშად არ აღებდნენ. ყოფილმა სიდედრმა, მის დანახვაზე შეცბუნებულმა და გულშემოყრილმა, ოდნავ გამოღებულ კარიდან უთხრა, ბიჭი შინ არ არის და საერთოდაც ნუ მოაკითხავთო. „უმჯობესია აღარ მოხვიდეთ, — შესაბრალისად თხოვა მან, — თორემ უარესი იქნება“. საჩუქრის მიღებაზე სიდედრს უარი არ უთქვამს, ასე, რომ, სხვა თუ არაფერი, ვაჟიშვილი მისი არსებობის შესახებ მაინც გაიგებდა.

ამ მონაწილეობას ერთი არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა: მას აღმასრულებელი ფურცელი მოუვიდა. ეს სრულიად უსაფუძვლო და უაზრო შეურაცხყოფა იყო, რადგან კანიშჩევი ისედაც ბევრ ფულს უგზავნიდა ყოფილ ცოლს; ვაჟიშვილის მიმართ მამობრივი გრძნობა მას ახლა მხოლოდ ამით თუ შეეძლო გამოეხატა. კანიშჩევი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ აქ სიმამრის ხელი ერია, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, რით იყო ეს გამოწვეული — შურისძიებით მათ სახლში შეჭრის ჩაშლილი ცდისათვის, თუ უგუნური სიხარბით. ჩანს, რომ სიდედრზე მან ყველა საქმეში წარმატებული ადამიანის შთაბეჭდილება დასტოვა.

ასეა თუ ისე, მათ არაფერი მოუგიათ, პირიქით, კანიშჩევს გოგონა შეეძინა და ახლა ოლღა ნაკლებს ღებულობდა, ვიდრე — მაშინ, როცა კანიშჩევი ნებაყოფლობით უგზავნიდა ფულს. რასაკვირველია, მას შეეძლო დაეფარა განსხვავება, მაგრამ ისე იყო გაბოროტებული იმ ადამიანებზე, რომლებმაც შვილს დააშორეს, რომ ამბობდა: ასე მოუხდებათო!

ამავე დროს სწორედ ქალიშვილის გაჩენამ ახალი, უხილავი ძალით გაუათკეცა სევდა ვაჟიშვილის გამო. ეს სევდა არც კი იყო, ეს იყო რაღაც მძიმე და ღრმა წუხილი. როცა გოგონას უცქეროდა, რომელიც პირველი დღეებიდანვე დედის გონიერი მზრუნველობითა და ყურადღებით იყო გარემოცული, კანიშჩევი თავისთვის ამბობდა: „ვაჟიშვილს ეს არ ჰქონდა“, ან „ვაჟიშვილს ეს არ ექნებაო...“

ახლა მან არ იცოდა როგორ მიდგომოდა იმ ხალხს. ის დაჯდა ოლღასათვის ვრცელი წერილის მისაწერად — მაგრამ გრძნობდა, რომ ყოველი მისი მოსაზრება უსუსური აღმოჩნდებოდა იმ შეუვალი დამყაყებულობის მიმართ, რომლითაც თითქოს გაჟღენთილი იყო მთელი ჰაერი მკერავის სახლში.

ასე იტანჯებოდა და წვალობდა, სანამ ერთხელ ელენე დმიტრევნამ არ უთხრა:

— შეგიძლია ვაჟი მოინახულო, მე ყველაფერი გავარიგე.

— შენ?.. რანაირად?

— რა დიდი ამბავი ამას უნდოდა?! გავიგე მისამართი. წავედი. ვილაპარაკეთ და მე და ოლღა ივანოვნამ, ცრემლებიც გადმოვღვარეთ — ეს იყო და ეს...

— ჩემო ძვირფასო! — ეუბნებოდა კანიშჩევი ცოლს და კოცნიდა.

— სრულიადაც არ არის ცუდი ქალი! — ფრთხილად შენიშნა ელენე დმიტრევნამ, — მხოლოდ რაღაცნაირად გულჩათხრობილია. ბიჭმა იცის შენი ამბავი, შენი სურათიც კი აქვს...

ასე უბრალოდ გადაწყდა ამოცანა, რომელიც კანიშჩევს დაუძლეველად ეჩვენებოდა.

...კანიშჩევი ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, როცა ისინი თითქმის მიუახლოვდნენ სახლს, სადაც მისი ვაჟი ცხოვრობდა. მაგრამ ეს რა ამბავია, სახლი რომ არსადა ჩანს! აღარ იყო ის ორსართულიანი, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ყვითლად შეღებილი, გრძელი შენობა: მის ადგილას იდგა ახალი, მაღალი სახლი.

— როგორ, არ იცი განა? — გაიცინა ელენე დმიტრევნამ. — მათი სახლი ეზოს სიღრმეში გადაიტანეს. ახლა შესასვლელი აი იქიდან არის. კუთხიდან.

— არ ვიცოდი... — წაილუღლუღა კანიშჩევმა. ეწყინა, რომ სახლი, რომელშიც მისი ვაჟი ცხოვრობდა, ამ დიდ და მორთულ ქუჩიდან სადღაც გადაუდგამთ. მაშ, მე წავალ, — თქვა მან კუშტად.

— ეცადე ვაჟიშვილს თავი მოაწონო, — გაიღიმა ელენე დმიტრევნამ და უკან გაბრუნდა.

როცა კანიშჩევი ბნელ, ვიწრო, ჩამოგლეჯილ საფეხურებიან კიბეებზე ადიოდა, ნაცნობმა გრძნობამ შეიპყრო. აი ქეჩით აჭედილი ძველი კარი. კანიშჩევს მძლავრად უძგერდა გული. ჯაჭვით დახურული კარი ოდნავ გამოიღო, გამოჩნდა სიდედრის ჭაღარა თავი. კარი ისევ მიიხურა ჯახუნით, მერე კი ყურთამდე გაიღო. ის დერეფანში შევიდა. მას მოეჩვენა, რომ იქაურობა ხალხით იყო სავსე. თუმცა სიდედრს გარდა, რომელიც მაშინვე გაუჩინარდა, მხოლოდ ოლღა და ვიღაც ბიჭი ჩანდა.

— აბა, გამარჯობა, — თქვა მან და ხელის მაგივრად შეხვეული ნიგვზის ტორტი გაუწოდა ოლღას, თითქოს იგი საშვები ყოფილიყოს. კანიშჩევი მაშინვე მოეგო გონს და მტკიცე, მაგრამ ცივი ხელი გაუწოდა ოლღას.



ოლღა მობერებული და დაუშნოებული ჩანდა, სწორედ იმდენად და ისე, როგორც კანიშჩევი ვარაუდობდა. ოღონდ იმაზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე ამას კანიშჩევი მოელოდა.

იქნებ ამას შავი, სადა კაბა უწყობდა ხელს. მაგრამ მასში იგრძნობოდა რაღაც გარკვეულობა, რწმენა და თანამოსაუბრისათვის თვალის გასწორების უნარი.

კარი გამოიღო და დერეფანში მკერავმა გამოიხედა. ის რაღაცნაირად მობუნძღულიყო, თითქოს დაბერებულიყო კიდეც.

— ოჰ, რაფაელ! — თქვა მკერავმა, რომელიც ცდილობდა კვლავინდებურად მრისხანე გამომეტყველება შეენარჩუნებინა. პასუხს არც კი დაელოდა, ისე აჩქარებით მიიჯახუნა კარი.

— რატომ ვაჟიშვილს არ მიესალმები? — გაიგონა კანიშჩევმა ოლღას ხმა. ბიჭუნა მის წინ იდგა, ხშირ-ხშირად ფეხს ინაცვლებდა და მოსწავლის ქამრის აბზინდს აწვალებდა.

საოცარია, კანიშჩევს თითქოს მაშინვე უნდა ეცნო თავისი ვაჟი: ბიჭი გასაოცრად გავდა მას, ისევე როგორც გოგონა. მკვეთრად დამახასიათებელი ნიშნები, რაც კანიშჩევის გარეგნობაში იყო, მის ბავშვობასაც გადასცემოდა. კანიშჩევი ბოშას წააგავდა: მისი შავი თმა სხივს არ ირეკლავდა, შავგვრემანი, ოდნავ ფერმკრთალი სახე ჰქონდა და შავი, ძლიერ მოელვარე თვალები. ვაჟსაც იმავე ფერის თმა ჰქონდა, ნახშირივით შავი თვალები და ვარდისფრად შეფაკლული შავგვრემანი კანი.

— გამარჯობა, — უთხრა კანიშჩევმა.

— გამარჯობა...თ — უპასუხა ვაჟიშვილმა.

— მამა-თქო! უთხარი. — ზედმეტად მკვეთრად, როგორც ეს კანიშჩევს მოეჩვენა, თქვა ოლღამ.

— კარგი, — დახარა თავი ბიჭმა.

ოლღა ბავშვის სწავლის შესახებ რაღაცას უყვებოდა კანიშჩევს, რაღაც ორ სკოლაში დადისო, ძალიან დატვირთულიაო... კანიშჩევი ყურადღებით უსმენდა და მაინც თითქოს არაფერი ესმოდა. ისინი შევიდნენ ოთახში, რომელსაც მკერავის სახლში „ზალას“ უწოდებდნენ. წინათ ოთახის მთელ შუაგულს უზარმაზარი გასაშლელი მაგიდა იკავებდა. მაგიდის ნახევარზე სადილობდნენ, საუზმობდნენ და ვახშმობდნენ, მეორე ნახევარზე მკერავი მუშაობდა, იქ დახვავებული იყო ნაჭრები, ბალიშები ქინძისთავებით, ცარცი, არშინები, ყველა ზომის მაკრატლები; მაგიდის დაბრეცილი კუთხე უთოთი იყო ამომწვარი. მაგრამ ახლა მაგიდა არ იყო გაშლილი, ზედ სუფრა ეფარა. არსად ჩანდა სიმამრის ფეხის მანქანაც. არც ნაჭრის ყვავილების თაიგულები მოჩანდა, მხოლოდ მაღლა, კარადის თავზე ჭიქაში ეულად ამოჩრილიყო ჩითის პეონი. სამაგიეროდ აქ იყო კანიშჩევისათვის დაუვიწყარი კედლის საათი, რომელზედაც ახლა რვას ხუთი წუთი აკლდა. ძველი ჩვეულებისამებრ კანიშჩევმა მაჯის საათს დახედა: რვას ხუთი წუთი აკლდა. ის განაცვიფრა ამ თანხვდომამ, მაგრამ მაშინვე შენიშნა, რომ ქანქარა ნელა ქანაობდა, ძველი საათი მუშაობდა.

— მე თქვენ ცოტა ხნით დაგტოვებთ, — თქვა ოლღამ და ოთახიდან გავიდა. კანიშჩევი მადლიერი იყო ამ თავაზიანობისათვის, მაგრამ ამავე დროს გაიფიქრა: უკეთესი იქნებოდა არ წასულიყო. მას თითქოს აშინებდა ვაჟიშვილთან მარტო დარჩენა.

აი მის წინ ზის თვით მისივე ნაწილი, იდუმალი პატარა ადამიანი.

„ვინ ხარ შენ? — უნდოდა ეკითხა კანიშჩევს. — ვინ ხარ შენ, ჩემო უცნობო ვაჟიშვილო?“

მაგრამ ამის მაგივრად თქვა:

— აბა, მომიყევი, როგორ სწავლობ, როგორი ნიშნები გაქვს.

— ნიშნები საშუალო მაქვს, — უპასუხა ვაჟმა და წინასწარ მომზადებული დღიური გადასცა მას.

— რატომ, რა მოგივიდა? — იკითხა კანიშჩევმა, როცა ნიშნების სვეტი ჩაათვალიერა, სადაც სამები და ოთხები სჭარბობდა.

— მხოლოდ შეზღუდულ ბავშვებს შეუძლიათ ყველა საგანი ხუთზე ისწავლონ. ეს ნიშნავს, რომ მათ ნამდვილად არაფერი არ აინტერესებთ.

ბიჭი აშკარად სხვის ნათქვამს იმეორებდა.

— რა უფრო გაინტერესებს?

— ო-ო! ბევრი რამ! მე ვხატავ, გინდა ჩემი ნახატები ნახო?

— მიჩვენე! — ინტერესით დაეთანხმა კანიშჩევი. მას გაუელვა აზრმა: იქნებ, ის, რაც მასში, კანიშჩევში, არ გაიშალა შემოქმედებითად და სხვა მიმართულებით განვითარდა — სწორი შეფასებისა და გაგების სახით, ახლა მის შვილში პოულობდა სასურველსა და დასკვნით გამოხატულებას.

ვაჟიშვილმა ალბომების, ფურცლებისა და რვეულების მთელი გროვა მოიტანა.

კანიშჩევისთვის საკმარისი იყო ერთი თვალის გადავლება, რომ უმალვე იმედი გასცრუებოდა: ნახატებში არ ჩანდა თვით ბავშვებისთვისაც დამახასიათებელი სიმკვეთრე, სიცხადე და კონტრასტულობა ფერებისა. ულიმღამო, დაუდევრად შესრულებული ნახატები, როგორც ჩანდა, უსიყვარულოდ, ნაჩქარევად და დროს მოსაკლავად კეთდებოდა. „იცის ამ საქმისადმი ჩემი სიყვარული და ამიტომ ხატავს, ალბათ“: — გადასწყვიტა კანიშჩევმა. მიუხედავად ამისა მან გულმოდგინედ დაათვალიერა ფურცლები და ალბომები, არა იმისათვის, რომ სასწაულს მოელოდა. არა, ფიქრობდა, რომ ნახატების სიუჟეტები გაუადვილებდა ვაჟიშვილის სულიერ სამყაროში ჩაწვდომას. მაგრამ ძნელი იყო რაიმე საინტერესოს პოვნა ბავშვებისათვის ჩვეულ ნახატებში, რომლებშიც ნაჩვენები იყო: გუშაგი ჯიხურთან, მანქანები, მახინჯი კაცუნები, სახლები და გემები.

— ამას არა უშავს! — უთხრა კანიშჩევმა რომელიღაც გემზე, რომელიც მოძრაობაში ჩანდა მისი ხაზების დაბრეცილობის გამო, რაც რა თქმა უნდა წინასწარ განზრახვას არ მიეწერებოდა.

ვაჟი ოდნავ გაწითლდა, „მიჩვეულია და უყვარს როცა აქებენ“, გაიფიქრა თავისთვის კანიშჩევმა.

— მე საკლასო კედლის გაზეთის გაფორმება დამავალეს, — უთხრა შვილმა.

მან ვატმანის ქაღალდის დიდი ფურცელი მოიტანა, რომელზედაც ტუშის წითელი და ლურჯი ასოებით გამოყვანილი იყო სიტყვა „კოლო“.

— სათაური შენ დასწერე? — ჰკითხა კანიშჩევმა.

— არა, ბორისკინმა. ის ასოების წერაში ყველას სჯობს, მე კი მუსია ერახტინას კარიკატურა უნდა დამეხატა. სულ მელანში ითხუპნება.

— გინდა დაგიხატო? — შესთავაზა კანიშჩევმა.

— შესძლებ კი?

— ვსინჯავ. როგორი შესახედავია ის მუსია?

— ასეთი... საერთოდ წითურია.

— ნაწნავები აქვს? აჰა! ცხვირპაჭუა არის არა?..

— საიდან იცი? არა, ცხვირი გრძელი აქვს, — ვაჟიშვილმა გაიცინა. — ის ბურატინოს მიაგავს, „ოქროს გასაღებიდან“.

— გასაგებია!

კანიშჩევმა სწრაფად დახატა გრძელცხვირა, ნაწნავებიანი გოგონას პორტრეტი, ნისკარტის მსგავსი ცხვირი გოგონას სამელნეში ჩაეყო, ხოლო შუბლზე და ლოყებზე მელნის ლაქები აჩნდა.

— აი, ეს მესმის!.. — ჩაილაპარაკა ვაჟიშვილმა და კანიშჩევს შეხედა. მერე მან უხმოდ შეაგროვა თავისი ნახატები და მეორე ოთახში გაიტანა.

— ჭადრაკს თუ თამაშობ?! — იკითხა მან, როცა დაბრუნდა.

— ცუდად!

— მოდი, ვითამაშოთ! — აზარტულად უთხრა შვილმა. — მე სასკოლო ტურნირში ვმონაწილეობ!..

— აბა, როგორღა გაგიმკლავდები!.. თუ წინასწარ მომცემ ეტლს...

— ცხენს მოგცემ!..

ითამაშეს. კანიშჩევმა იოლად მოუგო.

— მოდი თანაბარი ძალებით ვითამაშოთ, — შესთავაზა მან.

დაიწყეს თანაბარი ძალებით თამაში... კანიშჩევი თითქმის არ ფიქრობდა სვლებზე, ის ბავშვობის შემდეგ არ გაკარებია ჭადრაკს და იცოდა, რომ ფიქრით ვერაფერს გააწყობდა. მიუხედავად ამისა ერთიმეორეზე დახოცა შვილის ყველა მსუბუქი და მძიმე ფიგურებიც. მას გაუკვირდა და მიხვდა, რომ შვილმა თამაში არ იცოდა. ბიჭს მხოლოდ მეფე და ოთხი პაიკი დარჩა კანიშჩევის ყველა ფიგურების წინააღმდეგ; მაგრამ იმის მაგივრად, რომ დანებებოდა, განაგრძობდა პაიკების უაზრო გადანაცვლებას, სანამ ისინიც არ დაკარგა.

— შამათი! — გამოაცხადა კანიშჩევმა.

ვაჟიშვილი ხელში ატრიალებდა მეფეს, თითქოს არ სჯეროდა, რომ ყველაფერი დამთავრდა. კანიშ-

გიორგი პალანდაძე

## როცა ოქუმში შეხვალ...

ოქუმის გზაზე გასაკვირველად
ცამდის აწვდილი თხმელები დგანან.
როცა ოქუმში შეხვალ, პირველად
შემოგანათებს სიმინდის ყანა.

იმ ყანის ნახვის სურვილი გვივლის,
გზა-გზა თხმელების სილურჯე გვფარავს,
ივნისის თვეში, მზიანი დილით,
გალიდან სამნი მივყვებით შარას.

გადავიარეთ ოქუმის წყალი,
სიმინდის გრილმა სურნელმა დაგვკრა.
ბაღში გამოჩნდა შავთვალა ქალი,
გაიელვა და უეცრად გაქრა.

სოფლის შარა-გზის მარჯვნივ და მარცხნივ
ღელავს, ბიბინებს სიმინდის ყანა,
ნიავი ძეწნის დალალებს ვარცხნის
და ყანის პირას ხეები დგანან.

შემოხვეოდა თხმელას „ადესა“,
დაჰკიდებოდა ტოტებს მტევნები;
რტოდან ბულბულის სტვენა ჩაგვესმა,
ბუნების ზეიმს თვალს ვადევნებდით.

და შრომის გმირი დაგვიდგა თვალწინ,
აგვინთო ცეცხლი აღმაფრენისა, —
იყო ოსტატი და მონაწილე
მოსკოვის დიდი გამოფენისა.

ის გვიღიმოდა და, როგორც ბავშვი,
ძლივს ახერხებდა საუბრის გაბმას.
მზე, ზღვის სილურჯე, ფოთლების ტაში, —
გვითხრობდნენ უხვი მოსავლის ამბავს.

და ვთქვით: ამ ყანამ სულ იშრიალოს, —
ვერ გაიხაროს აქ ნარ-ეკლებმა!
ყანა სიკეთის სიმბოლო არის,
ლექსში სინათლედ აირეკლება.

ფრიდონ ხალვაში

## სოფელი საზღვართან

ამ ჩემს სოფელში ვის არ უვლია,
აქეთ დარია, იქით ნისლია.
აქ ღამეების დასასრულია,
და ნათელი დღის დასაწყისია.

გაღმა გორაზე გადის საზღვარი
და სოფელში რომ მოქუხს ჩანჩქერი,
კლდეებს მოარღვევს დაფით, ნაღარით,
თითქოს ეძახის ბნელში ჩარჩენილთ.

მიყვარს ეს მიწა.
ამ მზეს ვაფასებ.
მსურს მშვიდობის მტერს გული გავუპო...
დავდგამ რადიოს ფანჯრის რაფაზე
დედაქალაქთან რომ ვისაუბრო.

ჩევმა თავი ასწია და დაინახა, რომ ბავშვი ძლივს იკავებდა ცრემლებს. ტუჩები უტოკავდა, და რომ არ ატირებულიყო, ჰაერის ყლაპვას უმატა. „თავმოყვარე ბიჭუნაა!“ — გაიფიქრა კანიშჩევმა და მაშინვე გაიხსენა, რომ თვითონაც ბავშვობისას, როცა რომელიმე თამაშს წააგებდა, ეზოში სადმე მიიმალებოდა, რომ ტირილით გული ეჯერებინა. „სასაცილოა, რომ ასეთი რამეც გადადის მემკვიდრეობით“.

ამის შემდეგ ვაჟიშვილმა დიდხანს ვერ მოახერხა დამშვიდება. მართალია ის მამას წიგნებსა და სათამაშოებს უჩვენებდა, მაგრამ ყოველივე ამას უხალისოდ აკეთებდა, თითქოს მოვალეობას იხდიდაო.

ამას მოყვა ჩაი ნიგვზის ტორტით და შინაური მურაბით. მაგიდასთან ბავშვი ზედმეტად წრიალებდა. პირში იჩრიდა კოვზს და ვითომ იხრჩობოდა, ფეხებს ისე იქნევდა, რომ მაგიდას ძაგძაგი გაქონდა, და დაამთავრა იმით, რომ ჩაი სუფრაზე დაღვარა... დედა აძლევდა შენიშვნას და კანიშჩევი ხედავდა, რომ მისი მოქცევა დედას ნამდვილად აწუხებდა.

— არ ვიცი რა დაემართა, საერთოდ ასე არ იქცევა ხოლმე...

როცა მაგიდიდან წამოიშალნენ, დედამ უთხრა:

— გამოემშვიდობე მამას და შენს ოთახში წადი.

ბიჭი მაშინვე გაისუსა და მუდარით წარმოთქვა:

— დედა!..

— ლაპარაკი არ იყოს! ჯერ გაკვეთილიც არ გაგიმეორებია!

ბიჭუნამ ამოიოხრა, მამასთან მივიდა.

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა, — უპასუხა კანიშჩევმა და ხელი გაუწოდა. კანიშჩევს უნდოდა, რომ ვაჟიშვილი კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ თავის თავს უფლება არ მისცა დედის საქმეში ჩარეულიყო.

ბიჭუნამ, ალბათ, გადაწყვიტა, რომ ასე უბრალოდ გამოთხოვება მამასთან, რომელიც მან პირველად ნახა, არ შეიძლება. საჭიროა უჩვენო, რომ მას ესმის ამ წუთის მნიშვნელობა. სანამ ოთახიდან გავიდოდა, წინ გაიწია და ლოყის მაგივრად ნიკაპზე აკოცა მამას უხერხულად.

საოცარია, მაგრამ ამ სასაცილო ჟესტმა კანიშჩევს აუტანელი ტკივილით შეუკუმშა გული, „საბრალო პატარა კაცუნა!“ — იმეორებდა თავისთვის კანიშჩევი ისე, რომ თავადაც ვერ მიმხვდარიყო, რისთვის ებრალებოდა ვაჟიშვილი.

იგი ფიქრებიდან გამოარკვია ოლღას მიერ სკამის გადაადგილებით განზრახ ატეხილმა ხმაურმა.

— აი რა მინდოდა შენთვის მეთქვა, — დაიწყო შუბლშეჭმუხვნილმა კანიშჩევმა, რადგან როგორც არ უნდა ილაპარაკო ამგვარ საგნებზე, ის მაინც ყოველთვის უხეშად ჟღერს. — მე შემიძლია მოგცე იმდენივე, რამდენსაც წინათ... ის ოდნავ შეკრთა და ამის გამო თავის თავზე გაბრაზებულმა, მკვახედ დაამთავრა, რამდენიც ჩემი გოგონას დაბადებამდე გეკუთვნოდა.

— არა, მაგდენი არ გვინდა, ახლა ხომ მეც ვმსახურობ, — უპასუხა ოლღამ, და ფერმკრთალი ყვრიმალები შეუფაკლდა. — თუ შეგიძლია ოთხასიოდე... მამაჩემი რომ არ გადაგვეკიდოს, ხომ იცი მისი ხასიათი..,

— მაშ ასე, — შეაწყვეტინა კანიშჩევმა, რადგან სურდა მალე დაემთავრებინა არასასიამოვნო საუბარი, — ამას გარდა, მხედველობაში გქონდეს, — განაგრძობდა ის უფრო რბილი ხმით, — რომ მისი სრულწლოვანება მე არ მათავისუფლებს ვალდებულებისაგან... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მომავალმა არ შეგაშინოს.

ოლღას ამაზე არაფერი უპასუხნია.

საჭირო იყო კიდევ რამეზე ლაპარაკი, მაგრამ სიტყვებს ველარ პოულობდნენ. ბინაში გულის გამაწვრილებელი სიწყნარე იდგა. მახლობელი დიდი ქუჩის ხმაური აქამდე ვერ აღწევდა. კანიშჩევი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია. ის დარწმუნებული იყო, რომ ახალმა სახლმა სრულიად დაფარა ქუჩა, მაგრამ მისდა გასაკვირველად აღმოაჩინა, რომ ვრცელი თაღის მიღმა, ფარნების შუქსა და რეკლამების მოვარდისფრო, მოლურჯო ელვარებაში აქედანაც მოჩანდა იგი. თაღის ამონაჭერში გაიელვებდა ხოლმე გამვლელთა ფიგურები. გეგონებოდათ, რომ ყველას სადღაც მიეჩქარებოდა.

იქვე, სულ ახლოს ჩაიკოვსკის „შემოდგომის სიმღერა“ დაუკრეს და კვლავ მშვიდმა, გაურკვეველმა ნაღველმა შეიპყრო კანიშჩევი.

რაღაც არ გამოვიდა, მაგრამ რა, თვითონაც არ იცოდა. იქნებ ამის მიზეზი იყო მათი შეხვედრის უბრალოება, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა იმ მღელვარებას, როგორითაც ის აქ მოდიოდა. ან იქნებ რაღაც გამოეპარა და ვერ გამოიცნო შვილში? ბიჭუნა კი საერთოდ მოეწონა. მართალია ის ცოტა ხუშტურიანი და ნერვიულია, რაც ხშირია ბავშვებში, რომლებიც მხოლოდ ქალის ხელში იზრდებიან, მაგრამ ეს არ არის მაინცდამაინც სავალალო.

„ღმერთმა იცის, რას არ ვფიქრობ, — ამბობდა თავისთვის კანიშჩევი. — ვაჟიშვილი დამიბრუნდა კარგი, ჯანმრთელი ბიჭუნა, ჭადრაკითაც კი არის დაინტერესებული, ხატავს, ყველაფერი რიგზეა; მითუმეტეს, ვიცი სადაც იზრდებოდა, უარესიც იყო მოსალოდნელი. ის არ ამჟღავნებს დამყაყებულობის და შეზღუდულობის ნიშანკვალსაც კი, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა: დაჭკვიანდნენ, თუ რა მოუვიდათ?“ — გაიფიქრა ყოფილ ცოლზე და მის ოჯახზე.

ოლღამ რაღაცა თქვა და ოთახიდან გავიდა.

მუსიკა მიწყდა. კანიშჩევს გული დაწყდა. მუსიკა წარმართავდა მის ფიქრებს და ახლა თითქოს უწინამძღოლოდ დარჩა. კვლავ, მოისმა მუსიკის ხმა, ახლა ის უფრო მძაფრად და მღელვარედ აჟღერდა.

— მასთან ვერაფერს ვერ გახდები, — თქვა ოთახში შემოსვლისას ოლღამ, — სავარჯიშოები უნდა გაიმეოროს, ხვალ ჩათვლა აქვს, ის კი სულ სხვა რამეს უკრავს, რაც მოეპრიანება!.. — და მოქანცულმა დაუმატა: ამ დროს იგრძნობა უკაცობა ოჯახში!..

— მერედა ბაბუა? — იკითხა კანიშჩევმა, რომ ამით რაიმე ეთქვა.

ოლღამ მხრები აიჩეჩა.

— ბაბუა მთელი სიცოცხლის მანძილზე ოჯახისათვის წელში წყდებოდა, — წარმოთქვა მწუხარებით ოლღამ, — მაგრამ თავის შვილიშვილთან ავტორიტეტი ვერ დაიმსახურა.

„სასიხარულოა!“ — გაიფიქრა კანიშჩევმა.

— შიტეს ექვსი ეტიუდი და ლეკლერკის სამი, როგორ უნდა დაუკრას ხვალ?.. — ამბობდა შეწუხებული ოლღა.

— შიტე, ლეკლერკი?.. მექანიკურად გაიმეორა გაოცებულმა კანიშჩევმა, რადგან ეს გვარები ოლღასაგან ესმოდა, და მხოლოდ შემდეგ მიხვდა თუ რა იმალებოდა მათ უკან.

— აბა რა! მუსიკალურ სასწავლებლებში ძალიან სთხოვენ! მესამე კლასში შოპენს აკვრევინებენ. აბა სად შეუძლია ბავშვს — შოპენი?..

კანიშჩევმა ახლა გაიხსენა: როცა მოვიდა, ჯერ კიდევ დერეფანში, ოლღამ უთხრა, ბიჭი ორ სკოლაში დადისო. მაგრამ მაშინ ეს სიტყვები მეორე ყურში გაუშვა. მაშასადამე „შემოდგომის სიმღერა“, რომელმაც მკერავის ნაღვლიანი სახლი სევდიანი მომხიბლაობით აღავსო, მისი ვაჟიშვილის შემოქმედება იყო! საოცარია, შვილმა არც კი უთხრა მუსიკას ვსწავლობო. იტრაბახა ნახატებითა და ჭადრაკის თამაშით. თუმცა მათი არა გაეგება რა ხოლო იმაზე არაფერი უთქვამს, რაც მთავარია... ჩანს, მიჩვეული იყო თავისი იდუმალი სამყაროს დაცვას უხეშ თავდასხმისაგან და არც უცნობი მამის შეშვება მოინდომა. კანიშჩევი გახარებული იყო, არა იმიტომ, რომ ის მაშინვე დარწმუნდა შვილის განსაკუთრებულ ნიჭში, მან იცოდა, რომ ამაზე ლაპარაკი ჯერნაადრევია. მაგრამ განა ამაშია საქმე! ამგვარმა საქციელმა დაანახა კანიშჩევს შვილის მორცხვი მამაკაცური ხასიათი, რომელიც დასაწყისში გამოეპარა, ვერ შენიშნა.

— შეიძლება ვნახო იგი? — იკითხა კანიშჩევმა.

— შეიძლება, მხოლოდ დაკვრას მაშინვე თავს დაანებებს. მას ჰგონია, რომ წახვედი... ასე ჯიუტია!

— ფრთხილად შევიდეთ...

მათ ჩუმად, თითქმის უხმაუროდ შეაღეს კარი. ვაჟიშვილი პიანინოსთან იჯდა, ზურგით კარისკენ. შავი თავის ორივე მხარეს ბავშვური დიდი ყურები გამოჩროდა. ახლა მას ყურები გასწითლებოდა, ალბათ ასევე უხურდა სახეც, რომელსაც კანიშჩევი ვერ ხედავდა. პატარა ხელს უჭირდა მთელი ოქტავის აღება, თითებით ინაცვლებდა, ეს კი მის დაკვრას მთრთოლვარე დაძაბულობის იერს აძლევდა.

კანიშჩევი უცქეროდა თავის ვაჟიშვილს და ახლა ყველაფერი ესმოდა მისი. ბიჭუნა იზრდებოდა იმის საპირისპიროდ, რითაც სახლში იყო გარემოცული. ის, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ვერ დასძლევდა ამ ბინის დამყაყებულ ხუნდს, მას რომ კანიშჩევისთვის უცნობი ბევრი ადამიანი არ დახმარებოდა. მათ შორის ის გულისხმობდა სკოლის პედაგოგებს, მუსიკის მასწავლებლებს და მის ამხანაგებს. უფრო მეტიც, ამას კანიშჩევი გონებით კი არ ხვდებოდა, არამედ გულით, ყველაზე სწორი და საიმედო საშუალებით. — უცხო ადამიანები, რომლებმაც მისი ვაჟიშვილის არსებობაც კი არ იცოდნენ, რომელთა ბნელი ფიგურები ახლახან კიაფობდნენ თაღის მიღმა მის თვალწინ, მილიონები, რომლებიც აკეთებდნენ, ამსხვრევდნენ და გარდაქმნიდნენ ცხოვრებას, ისინიც ეხმარებოდნენ მის ვაჟს. უთვალავია მათი რიცხვი, ვინც ინსტრუმენტთან მჯდომ ბიჭუნას უხილავად ხელს უწყობდა. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც მკერავის სახლს ლამაზი შენობა ჩამოაფარა; ვინც ამ ქუჩაზე ნაირფერი ცეცხლი აანთო და ისინიც, ვინც ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებულა, ისინიც, რომლებიც დაბრუნდნენ და ხალისით მოჰკიდეს ხელი მუშაობას — ყველა ისინი ეხმარებოდნენ და ეხმარებიან მის ვაჟს ადამიანად გახდომაში. და ის, რასაც მან თავის ყოფილ ოჯახში „დაჭკვიანება“ უწოდა, სულ სხვა რამ იყო: ეს იყო გარემოცვის გავლენა, ეს იყო დროის ძალუმი გავლენა.

კანიშჩევმა უხმოდ გამოხურა კარი.

დერეფანში გამომშვიდობებისას ოლღას სთხოვა:

— კვირას გამოუშვი ჩემთან.

მთელი საღამოს განმავლობაში ოლღას თავი ყოჩაღად ეჭირა, ახლა კი აღელდა:

— არ ვიცი, უხერხული იქნება... იქ ის გოგონა...

— ფიქრი ნუ გაქვს, — გაიღიმა კანიშჩევმა.

კვირა დღეს ვაჟიშვილი მივიდა კანიშჩევთან. მათ ერთად ისაუზმეს, შემდეგ ტრეტიაკოვის გალერეაში იყვნენ, მერე ისადილეს, თითო ჭიქა ალუბლის ნაყენი დალიეს, ჭადრაკიც ითამაშეს, კვლავ შვილმა წააგო და რომ არ ატირებულიყო, დიდხანს მოუნდა ჰაერის ყლაპვას. მაგრამ მალე გამხნევდა, როცა მამამ ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის ფირფიტები აჩუქა. ბოლოს კანიშჩევის გოგონამ გაიღვიძა და ვაჟიშვილი გაეცნო დაიკოს.

მან ყურადღებით შეათვალიერა ბადიანი საწოლის სიღრმეში მწოლარე პაწაწინა არსება, რომელიც დაუღალავად ამოძრავებდა ხელ-ფეხის ყველა თითებს და სერიოზულად თქვა:

— მე უფრო ვგავარ მამას. მას დეიდა ლენასავით ლამაზი ნესტოები აქვს, ვარდისფერი და მრგვალი. საერთოდ ძალიან კარგი გოგონაა...

მერე კანიშჩევმა ელენე დმიტრევნასთან ერთად გააცილა ვაჟიშვილი. ბიჭუნა საყელოაწეული პალტოთი მიდიოდა, მკერდზე ფირფიტების ყუთი მიეხუტებინა. ტვირთი მძიმე იყო, ყოველ წუთში ინაცვლებდა ხელს, მაგრამ არაფრის გულისათვის არ თანხმდებოდა, რომ ფირფიტები მამას ეტარებინა.

თარგმნა **მაყვალა ახალაძემ**





# ყოველ 3 წუთში

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მინანქარს ყველგან შეხვდებით — ახალი შენობის ფასადზე, მეცნიერის ლაბორატორიაში, სამზარეულოში თუ სააბაზანოში, სპორტსმენის სამკერდე ნიშანზე. მრავალი სხვადასხვა ნივთია დაფარული ამ მბრწყინავი და მტკიცე სამოსით. გარეგნულად მინანქარს ყველა იცნობს და ადვილი მისახვედრია, რომ ეს ნივთიერება შუშას ენათესავება, თუმცა შუშა არ ეკრობა ლითონის ზედაპირს, მინანქარი კი, პირიქით, ისე მტკიცედ უკავშირდება



ბრიგადირი სერგეი იაბლოკოვი ელექტროგამოსაწვავ ღუმელთან მუშაობისას.

ლითონს, რომ მისი მოშორება მეტად ძნელია. როდესაც რკინის ან თუჯის ნაკეთობას მინანქრის „ტანსაცმელში“ გამოაწყობენ, მეტალის ნივთი აღარ განიცდის კოროზიას, ამასთან ერთად იგი ლამაზდება და გაცილებით დიდხანს ძლებს.

თბილისის მინანქრის ქარხანა მხოლოდ მესამე წელია, რაც ამუშავდა. მაგრამ ახალგაზრდა კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ მოკლე დროში აითვისეს მინანქრის რთული ტექნოლოგია. ალბათ, ამან გააოცა კუიბიშევის ქარხნიდან ჩამოსული რუსი სპეციალისტები: „ჯერ არ გვახსოვს, რომ ახალამუშავებულ ქარხანას, ასე მოკლე დროში, ასეთი კარგი ხარისხის მინანქარი დაემზადებინოს“, განაცხადეს მათ. თუმცა ეს არც გასაკვირი იყო, რადგან თბილისის ქარხნის მრავალმა მუშამ: საწნეხი საამქროს უფროსმა ვ. ალფაიძემ, ტექნოლოგმა კაზაროვამ და სხვებმა, კუიბიშევის, ვოროშილოვგრადის და რუსეთის სხვა ქარხნებში შეითვისეს მომინანქრების სპეციალობა, აიმაღლეს კვალიფიკაცია, გაეცნენ მუშაობის ახალ მეთოდებს.

თბილისის მინანქრის ქარხანა ურალიდან ღებულობს სპეციალურ ფურცლოვან რკინას. საწნეხ საამქროში რკინის ფურცლებს სათანადო ფორმას აძლევს უზარმაზარი, მძლავრი წნეხები. ზოგან რკინის ჯამები, რძის ბიდონები და ჯერ კიდევ უყურო ქვაბებია დაგროვილი, სხვა წნეხი ტაშტებად და ვედროებად აქცევს რკინის ფურცლებს. მერე შემდუღებელი აპარატი ქვაბს ყურებს აბამს, სასმისებს — სახელურს. მაგრამ მოძინანქრებისათვის ჯერ კიდევ მზად არ არის მეტალი. საწნეხ საამქროდან მომწამვლელ საამქროში გადადის პროდუქცია, აქ გოგირდის მჟავას აბაზანებში მეტალი იწმინდება ყოველგვარი ჭუჭყისაგან, ჟანგისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მინანქარს არ მიიკარებს. შემდეგ ჭურჭელს ფარავენ სპეციალური გრუნტით, რომელიც კარგად აკავშირებს ერთმანეთთან მეტალსა და მინანქარს. გამოწვავენ ელექტროღუმელში, მინანქარში ამოავლებენ და ხელმეორედ გამოწვავენ. პროდუქცია მზად არის!

ჭურჭლის გამოწვას ელექტროღუმელში სამი წუთი სჭირდება. ყოველ სამ წუთში თბილისის მინანქრის ქარხანა საშუალოდ 10-12 ნაკეთობას ამზადებს. ათასობით ფართო მოხმარების საგანი ეგზავნება ყოველდღიურად ქალაქის მაღაზიებსა და სოფლის კოოპერატივებს, მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საბჭოთა ოჯახების კეთილმოსაწყობად. ამ სასარგებლო საქმის კარგი ხელმძღვანელობისათვის აირჩია ხალხმა თბილისის მინანქრის ქარხნის დირექტორი ვ. გრიგალაშვილი საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. დირექტორი კმაყოფილი არ არის მიღწეული წარმატებებით — ქარხანა საჭიროებს რეკონსტრუქციას, უნდა გაშენდეს ქიმიური ლაბორატორიის კორპუსი, რათა თვით ქარხნის ქიმიკოსებმა შეიმუშავონ მინანქრის სხვადასხვა რეცეპტურა, უფრო გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და საშუალება ჰქონდეთ შემოქმედებითი მუშაობისა. მხატვრული მინანქარი! აი, რაზე ოცნებობენ ქარხნის ქიმიკოსები. ლაბორატორია შენდება. უნდა გაფართოვდეს საამქროები, გაშენდეს ახალი სასადილო, კლუბი, საერთო საცხოვრებელი, რათა უფრო კარგი პირობები შეექმნეთ მუშებს. 1952 წელთან შედარებით ქარხანამ დაახლოებით ექვსჯერ გაზარდა ფართო მოხმარების საგნების დამზადება. ოცი სხვადასხვა სახის ჭურჭლეული კეთდება აქ. ამჟამად საიარაღო და საწნეხი საამქროები ითვისებენ კიდევ ახალი სახის ჭურჭლეულის დამზადების ტექნოლოგიას.

მინანქრიანი ჭურჭლეულობის ქარხნის დირექტორი ვარვარა გრიგალაშვილი (ცენტრში) ზ. ანჯაფარიძესთან, მ. ბასილაშვილთან და ს. ფანიაშვილთან ერთად იხილავს ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტს.



# ყეენობა თელავში 1905 წელს

გ. ბუხნიკაშვილი

1905 წლის 28 თებერვალს თელაველებმა ყეენობა გამართეს, მაგრამ ამ ხალხურმა სანახაობამ, რევოლუციური მოძრაობის გავლენით, სულ სხვა ხასიათი მიიღო, ვიდრე ჩვეულებრივი ყეენობა იყო ხოლმე.

ცნობილია, რომ ცარიზმის მოხელენი ალმაცერად უყურებდნენ ქართველი ხალხის ძველ სანახაობას— ყეენობას, რადგან ის, თავისი შინაარსით, ნათლად გამოხატავდა ხალხის ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ. პოლიცია მუდამ შიშობდა, ყეენობა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო, რადგან ამ სანახაობაში დიდძალი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ამიტომ პოლიციის მოხელენი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ყეენობის გამართვისათვის. სდევნიდნენ აგრეთვე ყეენობის შემდეგ დაწესებულ კრივის მოწყობას. მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა და ყველიერის კვირის შემდეგ, დიდმარხვის პირველ დღეს — „შავ ორშაბათს“, თბილისში და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში არა ერთხელ გამოჩენილა ვირზე ან აქლემზე მჯდარი ყეენი, წოწოლა ქუდით, ჭყვიტინა ზურნისა და ხარკის ამკრეფის თანხლებით.

თელავში 28 თებერვალს გამართულ ყეენობას გაზეთი „ცნობის ფურცელიც“ გამოეხმაურა. კორესპონდენტი წერს, ამ დღეს ბაზარში გამოსვლისას არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი შევნიშნეო. შიშისაგან გაფითრებული მედუქნეები თურმე სწრაფად კეტავდნენ თავიანთ სავაჭროებს. „როცა ორს-სამს შევეკითხე, რა ამბავია, რათ ჰკეტავთ-მეთქი, ბუნტიაო — მიპასუხეს“...

„...გავიგე, რომ მაწანწრელებს (თელავის ერთ-ერთი უბანი იყო) ყეენი მოჰყოლებიათ. ნახევარი თელავი—ძველი თელავი მშვიდობით გამოუვლიათ; როცა სდომებიათ გადმოსვლა რიყესი, რომელიც ჰყოფს ძველსა და ახალ თელავს, დახვედრია თელავის ბოქაული საერობო დარაჯებით და აუკრძალავს ყეენობა. მოყეინეთ მოუნდომებიათ წინ წამოსვლა, ამათ არ გამოუშვიათ, დაუწყიათ ცემა. მოყეინეთ ქვით მოუგერიებიათ და ბოქაულისათვის აუდვიათ. საერობო დარაჯთ, ცემის გარდა, იარაღიც უხმარიათ, ერთი დაუჭრიათ ფეხში, წვივის კუნთში გაუვლია ტყვიას, ორიც მსუბუქად ტყვიას გაუკაწრავს“.

გაზეთი „ივერია“ ასე აგვიწერს ამ შეტაკებას „...როდესაც ყეენი მორთეს, გამოჩნდა ბოქაული, მოხადა ყეენს შაქრის ქაღალდისაგან გაკეთებული ქუდი და დაუხია. ხალხმა ეს ძალიან ითაკილა, მიეხვია ბოქაულს და დაუწყო ცემა. ეს ამბავი მოხდა თელავის რიყეზე. სეტყვასავით დაუშინეს ქვა ბოქაულს, რომელმაც ძლივს დააღწია თავი აღელვებულ ხალხს და ერთ ნავთის საწყობში შეიმალა“...

ამის შემდეგ მოხდა სწორედ ის, რის შიშიც პოლიციას მუდამ ჰქონდა —ყეენობა პოლიტიკურ დემონსტრაციად იქცა.

„...ხალხი წითელი ბაირაღით ბაზრისაკენ გაემართა. — ვკითხულობთ „ივერიაში“ — „დაკეტეთ დუქნები, თავისუფლებას გაუმარჯოს!“ ყვიროდა ხალხი. მედუქნეებმა ძლივს მოასწრეს დუქნების დაკეტა... დემონსტრანტებს ხალხი თანდათან ემატებოდა. ხალხში ევროპიული ტანსაცმელიც მოსჩანდა, აზიურიც, კაკარდიანი ქუდებიც, შლაპებიც, ნაბდის ქუდებიც და ბუხრის ქუდებიც“.

დემონსტრაცია ქალაქის ბაღთან შეჩერდა. პოლიცია შეეცადა ხალხის გაფანტვას, ორჯერ ესროლეს კიდეც ხალხს. ერთად შეჯგუფულ დემონსტრანტებს რომ ვერა დააკლეს რა, ცხენოსანი საერობო დარაჯები სხვა ქუჩებს მოედვნენ და ყველა შემხვედრს უწყალოდ სცემდნენ. გამოჩნდა ჯარის ნაწილიც, რომელსაც დემონსტრაცია უნდა დაეშალა. ხალხი მაინც არ შედრკა და ქალაქის ბაღიდან ისევ რიყისაკენ გაემართა მწყობრად. შეჩერდნენ რიყეზე და ყვირილით მოითხოვეს ყეენის დასმის ნება. დაიწყო მოლაპარაკება მაზრის მმართველობასა და ხალხს შორის. მმართველობა იძულებული შეიქნა ხალხის სურვილი შეესრულებინა, რადგან შეატყო, რომ დემონსტრაციის დასაშლელად და რეპრესიების მისაღებად საკმაო ძალა არ გააჩნდა. „მოქალაქეებმა მაზრის უფროსს აუხსნეს ხალხის ჩვეულება, — წერს „ცნობის ფურცელი“, — სთხოვეს მიეცა ნება ყეენობის თამაშობისა და მშვიდობიანობის და წესიერების დაცვის თავდებობა თვითონ იკისრა ათმა კაცმა“. მაზრის უფროსმა დართო ნება. მყისვე გაჩნდა დილანდელი ყეენი თავისი სამკაულით, „თავზე ქაღალდის ქუდი ჩამოაცვეს, მისცეს ხელში ვაშლ წამოცმული ჯოხი და დაიწყეს სიარული“. აუარება ხალხი გაჰყვა ყეენს და დაფა-ზურნით გაემართა ქალაქის ქუჩებით. ხალხი ერთი ყეენით არ დაკმაყოფილდა. გზადაგზა „ახალი ყეენები გამოდიოდნენ და უკვე მოსულებს სალამ-კალამს აძლევდნენ და ჰკოცნიდნენ“ — ვკითხულობთ „ივერიაში“.

პროცესია ნადიკვარზე გავიდა (თელავის ერთ-ერთი უბანი), აქ ცოტა შეისვენა, შემდეგ უკან დაბრუნდა და კვლავ მთელი ქალაქი გაიარა.

ყეენობის დამთავრების შემდეგ კრივი გაიმართა, თუმცა კრივი ოფიციალურად აკრძალული იყო.

საღამოზე ხმა გავრცელდა, რომ ყეენობის ერთ-ერთი ინიციატორი „არლანჩიკი“ დათა პოლიციამ დაიჭირაო. მყისვე მოზღვავდა ხალხი პოლიციის შენობასთან. თუმცა ხმა ტყუილი გამოდგა — დაჭერილი არავინ აღმოჩნდა, მაგრამ აღელვებულმა ხალხმა მაინც ჯავრი იყარა პოლიციაზე: პოლიციის შენობის ფანჯრები ქვით ჩალეწა. „პოლიციას ხელი აღარ შეუშლიაო“ — დასძენს „ივერია“. ხალხი მხოლოდ ღამის ცხრა საათზე დაწყნარდა და სახლებში წავიდ-წამოვიდა.

ამ ყეენობის რევოლუციური ხასიათი თვით მთავრობის ოფიციოზმა გაზეთ „კავკაზმაც“ კი აღნიშნა. 10 მარტს გაზეთი — მოკლედ იტყობინებოდა: «28 февраля в гор. Телаве произошли уличные беспорядки, выразившиеся в том, что толпа около 500 человек пыталась проникнуть на базарную площадь с криками «свобода» и «единство», имея намерение, под предлогом обычного в прежние годы в первый день великого поста «кейноба», т. е. карнавала произвести антиправительственную демонстрацию. Из толпы раздавались выстрелы и летели камни. Сборище было рассеяно только благодаря появлению вызванной роты солдат».

გაზეთი დასძენდა, რომ შეტაკების დროს დაშავდა ბოქაული კუმჩიბაშევი და ფეხში დაიჭრა წინანდლელი გლეხი ვასილ პირლიაშვილიო.

ამ ინფორმაციით ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს პოლიციამ გადამჭრელი ზომები მიიღო და დაშალა დემონსტრაცია. ეს სიცრუე მთავრობას ავტორიტეტის დასაცავად და გასამხნევებლად ესაჭიროებოდა. სინამდვილეში კი თელავის მმართველნი შეშინდნენ და იძულებული იყვნენ ხალხის ნება-სურვილს დამორჩილებოდნენ.

ასე გამოიყენა ხალხმა ახალ ვითარებაში, ახალი შინაარსის მიცემით, თავისი საყვარელი ძველი სანახაობა.

ყეენობა თელავში.
(დაცულია საქართველოს თეატრალურ მუზეუმში)

ნახატი დ. ჭავჭავაძისა



# ერთი ლექსისა და მისი ავტორის შესახებ

ა. სანადირაძე

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ორიოდე წიგნაკი სერიიდან „Универсальная библиотека“, რომელიც ჩვენი საუკუნის ათიან წლებში გამოდიოდა მოსკოვში. როგორც ჩანს, ეს იაფფასიანი სერია საკმაოდ მრავალფეროვანი და პოპულარული ყოფილა (ამ ორი წიგნაკის რიგითი ნომერი ხუთასს აღემატება).

№ 574-ით გამოცემულ წიგნაკს ეწოდება „Песни каторги“, რომელშიაც მოთავსებულია ციმბირელ კატორღელთა და მაწანწალათა სიმღერების ტექსტები. ამ კრებულში 22 გვერდზე არის ლექსი «Там, где бьется Каспийское море». ეს ერთ-ერთი ჩვეულებრივი ლექსია ამ წიგნაკიდან, მაგრამ გამოირჩევა შედარებით უკეთესი პროფესიული ოსტატობით. აი, ეს ლექსიც:

**«ТАМ, ГДЕ БЬЕТСЯ КАСПИЙСКОЕ МОРЕ»,**

**(Тобольская каторга)**

„Там, где бьется Каспийское море
О подножие каменных гор.
Эту песню про узника горя
Написал **Циклаури Егор**.

Пятый год за решёткой томлюся,
Пятый год я в тюрьме уж сижу.
Скоро я из тюрьмы удалюся
И людям о тюрьме расскажу.

Так, свалившись на голые нары,
Я пред сном про себя размышлял
В каземате далеком, в Петровске,
Где свой срок я тогда отбывал.

В эту ночь будто сон мне приснился:
Из тюрьмы я на волю пошел,
И на радостях пьяный напился
И товарища где-то нашел.

როგორც ხედავთ, ლექსში პირდაპირაა აღნიშნული მისი ავტორი — **Циклаури Егор.** თავისთავად ეს ფაქტი მეტად საინტერესოდ გვეჩვენა და შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვეშუქებია ეს პატარა, მაგრამ საგულისხმო დეტალი.

ჩვენის აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ამ სიმღერის ავტორი და ერთი მივიწყებული პოეტი-რევოლუციონერი გიორგი წიკლაური ერთი და იგივე პიროვნებაა (რუსული **Егор** იგივე გიორგია).

დღეს გიორგი წიკლაურის სახელი ჩვენში თითქმის აღარავის ახსოვს. იგი წარმოშობით გუდამაყრის ხეობიდან იყო. რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, აქვე გამოქვეყნდა მისი ლექსები. 1903 წელს გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც ხუთი წლის შემდეგ, 1908 წელს, ბერის ტანსაცმელგადაცმული გაიქცა საზღვარგარეთ. უცხოეთში მან შემოიარა ბევრი ქვეყანა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გიორგი წიკლაურმა საზღვარგარეთ თავისი ლექსები და პოემები დაბეჭდა ესპერანტოზე (საერთაშორისო ენაზე), იგი დაეხმარა გამოჩენილ უნგრელ მწერალს, აკადემიკოს ბელა ვიკარს უკვდავ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში, რომელიც ბუდაპეშტში გამოიცა 1917 წელს „ტარიელის“ სახელწოდებით. აი, რას წერს თვით ბელა ვიკარი ამ წიგნის წინასიტყვაობაში:

„მე გადავწყვიტე ამ სიძნელის (ლაპარაკია ქართული ენის შესწავლაზე. ა. ს.) გადასალახავად გამომეძებნა მშველელი თვით რუსთაველის სამშობლოდან და მყოლოდა იგი გვერდით. და მე ამას მივაღწიე. ეს იყო გიორგი წიკლაური — ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც რამდენიმე უცხო ენა იცოდა და შეეძლო იმ ამოცანის შესრულება, რომელიც მე მას დავაკისრე. თავდაპირველად ჩვენ ერთად ვთარგმნეთ ხალხური ლეგენდები და ბოლოს რუსთაველის პოემა“ — (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“ 1934 წ. № 29).

„ეს ქართველი ემიგრანტი იყო, — განაგრძობს ვიკარი. — ის მე 1909 წელს ვნახე ბუდაპეშტში და მალე დავმეგობრდით, მან მშვენივრად იცოდა ესპერანტო და აი, ამ კაცის დახმარებით ვთარგმნე „ვეფხისტყაოსანი“. თარგმნაზე ვმუშაობდი ორწელიწადნახევარს. თვეში გასამრჯელოს 200 კრონს ვაძლევდი. შემდეგ, 1912 წელს, ბულგარეთის ომი დაიწყო და იგი მოხალისედ წავიდა ბულგარეთში, ბევრი ვურჩიე არ წასულიყო, ერთხელ სიტყვაც კი მომცა, არ წავალო, მაგრამ შემდეგ ჩუმად გაპარულიყო, ისე, რომ არც მნახა, — ალბათ, იფიქრა, არ დამტოვოსო. კარგი ადამიანი და დიდად განვითარებული კაცი იყო“.

1917 წლის შემდეგ გიორგი წიკლაურის შესახებ აღარ მოიპოვება არავითარი ცნობები; არ ვიცით, რა ბედი ეწია მას.

ზემომოყვანილი ლექსი სწორედ გიორგის ციმბირში ყოფნის დროსაა დაწერილი. ლექსში გადასახლების ადგილიც ზუსტადაა ნაჩვენები: ტობოლსკის გუბერნია, ქ. პეტროვსკი და იქ ყოფნის დროც — 5 წელი. საფიქრელია, რომ ამ ლექსის დაწერის შემდეგ წიკლაური ძალიან ჩქარა გაიქცა კატორღიდან (სიმღერაშიაც არის გადაკვრით ლაპარაკი ამაზე).

ამ სიმღერების შემკრები ვ. ნ. გარტველდი წინასიტყვაობაში წერს, რომ მან 1908 წელს იმოგზაურა ციმბირში და რამდენიმე ასეულ სიმღერიდან კრებულში მოათავსა კატორღელთა შორის უფრო გავრცელებული და დამახასიათებელი სიმღერების ტექსტები. ზუსტად ემთხვევა ტექსტების ჩაწერისა და გ. წიკლაურის მიერ ამ ლექსის შექმნის თარიღები ერთმანეთს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი ვარიანტი შეიძლება დავუშვათ: ან თვითონ შემკრებმა ვ. გარტველდმა პირადად ჩაიწერა გიორგი წიკლაურისაგან ეს ლექსი, ანდა, წიკლაურის ამ სიმღერამ თავიდანვე დაიმსახურა კატორღელთა სიყვარული და სულ რაღაც თვეების მანძილზე ისეთ უძველეს სიმღერებთან ერთად, როგორიცაა „Ах ты доля“, „Славное море, священный Байкал“, „Песня Кормелюка“ და სხვ. გავრცელდა მათ შორის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში ციმბირში ბლომად იმყოფებოდნენ პოლიტკატორღელები, რომელთა სიმღერებიც საფუძვლიანად განსხვავდებოდა რეციდივისტების სიმღერებისაგან. ამ გარემოებამაც შეუწყო, ალბათ, ხელი გ. წიკლაურის ლექსის სწრაფ გავრცელებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიმღერის ბოლო ორი სტრიქონი არაა დამახასიათებელი რევოლუციური ლექსებისათვის და შესაძლებელია ის შემდეგ მიუმატა რომელიმე მაწანწალა კატორღელმა.

არც თავის დროზე იყო ცნობილი ფართო მასებისათვის გიორგი წიკლაური და დღეს ხომ სულ დავიწყებასაა მიცემული სრულიად უსამართლოდ, მაშინ, როცა იგი აქტიური რევოლუციონერი, კარგი პოეტი და ფრიად თავისებური ადამიანი ყოფილა! ამავე დროს უნგრულად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მონაწილე, „რამდენიმე უცხო ენის მცოდნე“ და „დიდად განათლებული“.

# მე ვნახე ჰამლეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰანს ამადეოს პუმპერნიკალი არ ვიყო, იმ პირქუში ახალგაზრდის თუნდაც ერთი სიტყვა თუ შევცვალო. ბონის რეპორტიორთა მეფესაც შეუძლია თავის სიცოცხლეში ერთხელ თავს ნება მისცეს და სიმართლე თქვას.

მე დავალებული მქონდა მენახა ჰამლეტი, დანიის უფლისწული. ვიცოდი სადაც იქნებოდა. ახალწლის წინ ელსინორში ჩავედი და პირდაპირ ძველ სასაფლაოსკენ გავეშურე. აქ შორეულ კუთხეში დავინახე, რომ ჰამლეტი საფლავის ქვაზე იჯდა და მთვარის შუქზე რაღაცას კითხულობდა. მერე როგორ ფიქრობთ, რას? დიახ, სალამოს გაზეთს „დას ფირტე რაიხს“, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი მეც გახლავართ.

მივესალმე უფლისწულს და თავი დავუკარი.

„ჩემი უმდაბლესი სალამი უფლისწულს“.

ჰამლეტს თავიც არ აუღია, ისე წარმოთქვა რაღაც.

„ბატონო ჩემო, რას კითხულობთ?“

„სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს...“

„დიახ, ვხედავ, მაგრამ მე გეკითხებით, რა სწერია გაზეთში“.

„ცილისწამება, სერ“.

„ვხედავ, რომ პოლიტიკით ხართ დაინტერესებული. შეგიძლიათ რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხოთ? „დას ფირტე რაიხის“ მკითხველებს და რედაქტორებს აინტერესებთ თქვენი აზრი“.

შევამჩნიე, რომ პრინცს ეამა ეს. გაზეთი გადადო.

„რას ფიქრობს თქვენი უმაღლესობა პარიზის შეთანხმებებზე?“

„თაგვების მახე...“

მე შევეკითხე, სწვევია თუ არა ოდესმე ის ბონის სასახლეს. დასტურად თავი დამიქნია.

„თქვენი აზრი, პრინც? რა ნახეთ იქ?“

„... ბალი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი“.

„დიახ, მაგრამ თქვენ რას ურჩევდით გერმანელ ხალხს?“

„... ნუ აპატივებ, — უფრო ძლიერ არ გაღონივრდეს“.

„რას იტყოდით თქვენ, ბატონო ჩემო, რომ ევროპის კავშირი შეცვლილიყო აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკით?“

„...მომზადებული დასამარხად საჭმელ-სასმელი, ცივად მიართვეს ქორწილის დღეს“.

„მაგრამ დასავლეთ ევროპის კავშირი ხომ ერთადერთი შანსია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომ მოაგვარონ ყველა თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური დაბრკოლება. ეს არის ყველა სნეულებათა მალამო“.

„...ეს სანუგეშო საცხებელი მაგ შენს იარას მხოლოდ თხელ კანსა გადააკრავს და შიგნიდამ კი გარყვნილებისა ბილწი გესლი გულს ჩაგაკვდება“.

„თქვენი შეხედულება ძალის პოზიციაზე“?

„... იშრომონ: საამოა, როს მემანქანეს მისგან ნამზადი იარაღი მაღლა აფეთქებს“.

„ხატოვანი ლაკონიურობა თქვენი სიტყვისა სწორედ რომ სახარბიელოა, ბატონო ჩემო. კიდევ ერთი უკანასკნელი შეკითხვა: თქვენი აზრით, რა არის მთავარი საკითხი, რომელიც დგას ევროპის წინაშე 1955 წელს“.

„ყოფნა?... არ ყოფნა?... საკითხავი აი ეს არის“.

მე მადლობა გადავუხადე ჰამლეტს მიღებისათვის. დავემშვიდობე და წავედი. არა გჯერათ ჩემი? ჰანს ამადეოს პუმპერნიკელი არ ვიყო, თუ... მაგრამ მოითმინეთ, თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ ყოველი სიტყვა, რაც მისმა უმაღლესობამ თქვა, შექსპირის რომელიც გნებავთ გამოცემაში.

რადიოგადმოცემა ჩაწერილია **ს. დატლინის მიერ.**

(ჟურნალი „News“ 1955 წ. № 1).

**თარგმნა გ. კასაბაშვილმა**

საჯარო ბიბლიოთეკა



# ავსტრიელი მწერლები საქართველოში

1876 წლის მიწურულში პარიზიდან დაბრუნებულ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანსა (მინგრელსკის) და მის მეუღლეს მარიამ ადლერბერღის ასულს, ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ჩამოჰყვნენ. ესენი იყვნენ ჯერ კიდევ დამწყები ავსტრიელი მწერლები: არტურ გუნდაკარ სუტნერი და მისი ახალშერთული მეუღლე ბერტა, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა თავისი პაციფისტური რომანით „ძირს იარაღი“.

თავისებური იყო ამ ორი ადამიანის საქართველოში გამოჩენა, მათი შემოქმედებითი ღვაწლი და ცხოვრება. ბარონესა ბერტა ფონ-სუტნერი (ასე იცნობენ მას ევროპაში), მშობლების გვარით კინსკი, დაიბადა 1843 წ. დეკემბერს, ქ. პრაგაში. მამამისი ავსტრიის ჯარების სარდალი იყო, პაპა — მეფის სასახლეში მიღებული დიდი მოხელე. დედის მხრივ განთქმულ მეომარსა და პოეტს ტეოდორ კერნერს უნათესავდებოდა ბერტა. ასე რომ მომავალ მწერალს წრე და ოჯახური ტრადიცია ხელს არ უწყობდა ომის საწინააღმდეგო მიმართულებისათვის.

სამოციანი წლების პარიზის არისტოკრატიულ საზოგადოებაში ნიჭით და სილამაზით დაჯილდოებულმა ბერტამ მრავალი ახალგაზრდის ყურადღება მიიპყრო. მის მოტრფიალეთა შორის იყვნენ აგრეთვე ქართველებიც: ირაკლი ბატონიშვილი (მეფე ერეკლეს შვილიშვილი) და სამეგრელოს მთავრის ძე ნიკოლოზ დადიანი. მაგრამ მამის ოჯახის უცაბედმა დაქვეითებამ ქალი აიძულა დაეტოვებინა ეს საზოგადოება და საკუთარი შრომით ეძებნა საარსებო სახსარი. ის დგება გუვერნიორად ვინმე ბარონ ფონ სუტნერის ოჯახში. აქ ის შეუყვარდება ბარონის ვაჟს არტურს, მაგრამ ამ ქორწინებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან ორივეს მშობლები. შეყვარებულები მაინც შეუღლდებიან და საქართველოსაკენ გამოსწევენ.

აქ მათ ეგულებოდათ გულკეთილი მეგობრები — სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე და მისი ქალი სალომე მიურატისა. როგორც ცნობილია, ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, დაქვრივების შემდეგ კარგა ხანს ცხოვრობდა პარიზში შვილების აღსაზრდელად. ეკატერინეს ქალი სალომე და ბერტა კინსკის ასული ტოლები იყვნენ და დამეგობრდნენ. ამ მეგობრობამ ევროპიდან ლტოლვილი ახალგაზრდა სუტნერები ზუგდიდში ჩამოიყვანა, სადაც ისინი გულთბილად მიიღეს. ხუთი წლის განმავლობაში სუტნერები ზუგდიდში ცხოვრობდნენ. არტური ერთ ხანს მინგრელსკის მამულების მმართველად იყო. ბერტა — ფრანგულ და გერმანულ გაკვეთილებს აძლევდა. 1882 წ. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, ისინი თბილისში გადავიდნენ. აქ ისინი ცხოვრობდნენ ახლანდელი კამოსა და სანაპირო ქუჩებს შუა ე. წ. სასწავლო შესახვევში („უჩებნი პერეულოკ“). თბილისში არტური მუშაობდა ბერნეტსის ავეჯის ქარხანაში მხატვარ-გამფორმებლად, ბერტა აქაც ენებისა და მუსიკის გაკვეთილებს აძლევდა.

მწერლობით გატაცებულმა სუტნერებმა საქართველოში სრული ათი წელიწადი იცხოვრეს. ისინი გაეცნენ ძველ და ახალ ქართულ მწერლობას. დაუახლოვდნენ თითქმის ყველა ჩვენს ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს და ქართულ მწერლობაშიც სასარგებლო მონაწილეობა მიიღეს.

ამ მხრით აღსანიშნავია მათი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში. 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე ისინი ისხდნენ სოფ. ცაიშში იონა მეუნარგიასთან და საბოლოო რედაქციას უკეთებდნენ ი. მეუნარგიასეულ ფრანგულ თარგმანს; ამავე დროს პოემას თარგმნიდნენ გერმანულ ენაზედაც. ი. მეუნარგიას ფრანგული თარგმანის გაცნობის შედეგად არტურ სუტნერმა ვრცელი ფელეტონები მოათავსა გაზეთ „კავკაზში“ (№ 265-68 — 1884 წ.) სათაურით „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. შემდეგ ეს ფელეტონები გაზეთმა „დროებამ“ (№ 258-60 — 1884 წ.) და ჟურნალმა „ივერიამაც“ გადმობეჭდეს. სუტნერის აზრით რუსთაველი რომანის ჟანრის პირველი გამომგონებელია. „მიუდგომლობა მაიძულებს, — აღნიშნავს ის, — გენიოსი ვუწოდო რუსთაველს, რადგან მან შექმნა რომანი იმ დროს, როცა ეპიური პოეზიის ეს ჟანრი ჯერ არ არსებობდა ევროპაში“. რამდენად უკვირდება და ღრმად იჭრება არტურ სუტნერი „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროში, იმდენად იხიბლება მისი მხატვრული აზრის ელვარებით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართველებს შეუძლიათ იამაყონ, მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა, იგი პირველიდან უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთაველურია და მხოლოდ რუსთველისებური“.

პირადად არტურ სუტნერს საქართველოს თემაზე მრავალი საგულისხმო მხატვრული ნაწარმოები შეუქმნია. 1891 წ. დრეზდენში გამოცემულ მის მოთხრობათა პირველ კრებულში, რომელსაც ჰქვია „ძენი კავკასიისანი“, მოთავსებულია: „ჩემი მეგობარი გუჯა“, „მეზობლები“, „ბატონი გრიგოლი“, „საწყალი ვარდი“, „ქეთევანი“ და სხვ. კრებული მთლიანად მიძღვნილია საქართველოს ცხოვრებისადმი. ცალკეულ მოთხრობაში ან ნარკვევში ასახულია საქართველოს ესა თუ ის კუთხე. მაგ. „გუჯა“ და „ქეთევანი“ აღებულია სამეგრელოს ცხოვრებიდან. უკანასკნელ მოთხრობაში გამოყენებულია ცნობილი ხალხური სიმღერები: „მა დო სქვამი ცირა“ და „სი ქოული ბატა“. მის მეორე კრებულში მოთავსებული მოთხრობა „აჭარა“ ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით ავტორს გადაუცია სათარგმნელად იმ ხანებში ევროპაში მყოფ მწერალ თედო სახოკიასათვის, მაგრამ სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო ეს განზრახვა ვერ შესრულებულა. ილია ჭავჭავაძის გაზეთის „ივერიის“ დახასიათებით, ამ თხზულებათა ავტორს ეტყობა ქართველი ხალხის ცხოვრების ცოდნა, თუმცა არა საკმაოდ; მაგრამ ზოგიერთ ევროპელ მეზღაპრე მოგზაურთან შედარებით, სუტნერები საქართველოს იმდენად მაინც იცნობენ, რომ კესლერის მოგზაურობაში აღწერილი ფანტასტიკური სურათები არ გაიმეორონ. „ივერიის“ შეფასებით სუტნერის ამ მოთხრობებს და ნოველებს მნიშვნელობა აქვთ: მათი შემწეობით ევროპელები ცოტად თუ ბევრად ეცნობოდნენ ქართველებსა და მათს ყოფა-ცხოვრებაზე სწორ წარმოდგენას იღებდნენ.

ბერტა სუტნერს სახელი გაუთქვა რომანმა „ძირს იარაღი“. ეს ნაწარმოები თავის დროზე ევროპის ყველა ენაზე ითარგმნა. ის თარგმნეს აგრეთვე იაპონურადაც. 1905 წ. ჟურნ. „მოამბის“ მე-11 წიგნში დაიბეჭდა აგრეთვე ამ რომანის ნაწყვეტი „ომის მსხვერპლის“ სათაურით, რომლის თარგმანი ეკუთვნის ცნობილ ქართველ მწერალს ი. აგლაძეს.

საქართველოში ცხოვრებამ სუტნერებს შეაყვარა ქართველი ხალხი და მისი მწერლობა. მათს კალამს ეკუთვნის ნარკვევები, ეტიუდები და მოთხრობები, რომელთაც ისინი პრაგაში ჟურნალ „პრესსეში“ ბეჭდავდნენ და ამით რუსთაველსა და მის სამშობლოს უცხოეთის კულტურულ საზოგადოებას აცნობდნენ.

1888 წ. ბერტა სუტნერი ორატორის ტრიბუნიდან და პრესის ფურცლებიდან მხურვალედ უჭერდა მხარს ზოგ მოწინავე მოღვაწეთა ინიციატივას, რომელნიც მოითხოვდნენ ევროპის რომელიმე ცენტრალურ ქალაქში დაარსებულიყო ყოველწლიური კონფერენცია ომიანობის მოსპობის საკითხების გარშემო. 1889 წ. მართლაც პირველად პარიზში მოეწყო ამგვარი ყრილობა ბ. სუტნერის აქტიური მონაწილეობით. ამ წელსვე გამოჩნდა მისი განთქმული რომანიც.

ევროპელი კრიტიკოსები ბ. სუტნერის ამ რომანს ადარებდნენ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხს“. ამ „რომანში ომის საშინელებასთან ერთად დახატულია საუცხოო სურათებიც მშვიდობიანი ცხოვრებისა. თითქოს ჯოჯოხეთთან სამოთხეც უნდა აჩვენოს გზადაბნეულ ხალხს და ამით უფრო ადვილად დაიყოლიოს და დააყრევინოს იარაღი, მოაშლევინოს სისხლის ღვრა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა“ („ივერია“).

ბერტა სუტნერის უკანასკნელ ვრცელ შრომას წარმოადგენს წიგნი, რომელიც მან გამოსცა 1909 წ. ამ წიგნში ავტორს მოთხრობილი აქვს თავისი საინტერესო თავგადასავალი, რომელშიც საქართველოს, მის მწერლობასა და მწერლებს საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია. ამ წიგნმაც თავის დროზე დიდად აახმაურა ევროპის მოწინავე პრესა.

ამგვარად, სუტნერების ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მრავალი საგულისხმო ცნობა და აზრებია შემონახული საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

ქართულ პერიოდულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „იმერეთი“ და სხვ.) გულთბილად არის აღნიშნული ამ ჩვენი ქვეყნისა და მწერლობის მეგობრების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები.

**სოლომონ ცაიშვილი**

# თეატრში

თელავის სახელმწიფო თეატრმა მიმდინარე სეზონში დადგა ბომარშეს ცნობილი კომედია „ფიგაროს ქორწინება“.

თელავის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლ. შატბერაშვილმა შექმნა ცხოველმყოფელი, ამაღელვებელი სპექტაკლი, რომელმაც მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. სპექტაკლის გამარჯვება იმით აიხსნება, რომ რეჟისურა და მსახიობები პიესის სცენურობის ცალმხრივობამ, სიუჟეტური დინების გარეგნულმა ეფექტებმა კი არ გაიტაცეს, მათ მთელი ყურადღება გადაიტანეს პიესის სოციალურ არსზე. აქ ყოველი სახის, ყოველი მოვლენის მამოძრავებელ მარცვლად მონახული და ხაზგასმულია სოციალური უთანასწორობით გამოწვეული მანკიერება და უკუღმართობა.

გრაფი ალმავივა განასახიერებს მე-18 საუკუნის რეაქციულ არისტოკრატიას, რომელიც პიესაში მოცემულ კონკრეტულ კონფლიქტში ანზოგადოებს თავისი კლასის სულისკვეთებას — რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს და განამტკიცოს შერყეული უფლებები; ფიგარო და სუზონი კი იმდროინდელი საზოგადოების მესამე წოდების წარმომადგენელნი არიან, რომელთა სიყვარულისათვის ბრძოლაც ანზოგადოებს მესამე წოდების სულისკვეთებას — ბრძოლას უფლებების მოსაპოვებლად.

მსახიობ ალ. კუპატაძის ფიგარო — ჭირ-ვარამისაგან გამობრძმედილი და ელასტიური, სიყვარულის თავისუფლებისათვის ვნებიანი და მხიარული მებრძოლია, იმ რწმენით, რომ მისმა სიმართლემ უეჭველად უნდა გაიმარჯვოს. თ. ბურბუთაშვილის სუზონი მახვილი გონებისა და ალალი გულის ადამიანია, რომლის მძლავრ სიყვარულს ფიგაროსადმი მაღალი ზნეობრიობა ახასიათებს. პ. ახვლედიანის გრაფი ალმავივა არ არის თავისი კლასის პრიმიტიული ილუსტრაცია — უჭკუო, უძლური, ჩერჩეტი. პირიქით, იგი ნებიერ ცხოვრებისგან გალამაზებული არამზადაა, რომლის ალვირახსნილ ცხოველურ ინსტინქტების წინააღმდეგ, ფიგაროსა და სუზონს უხდებათ დაძაბული, ენერგიული, „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“.

მარსელინასა და ფიგაროს დედაშვილობაში, რეჟისორსა და მსახიობებს კომედიის ხლართის დაბოლოება და მისი მხოლოდ კომედიური მხარე კი არ აინტერესებთ, არამედ მისი სოციალური არსი. უამისოდ ამ სცენამ შეიძლება მაყურებლის ხარხარი ან ზიზღის გრძნობა გამოიწვიოს. ამ სპექტაკლში არც ერთია და არც მეორე. აქ ერთსულოვანი მიღებაა ამ სცენის სწორი რეჟისორული გააზრებისა, — მაყურებელი ცრემლით თანაუგრძნობს საცოდავ დედას და შვილს, რომელნიც არსებულმა სოციალურმა უკუღმართობამ კინაღამ ცოლ-ქმრად აქცია. ასეთმავე მიდგომამ მიიყვანა რეჟისორი მოსამართლეთა სახეების და საერთოდ, სასამართლოს სცენის გროტესკულ გადაწყვეტამდე. ხარბ და გაიძვერა მოსამართლეებს ამოძრავებთ მხოლოდ ერთი მიზანი — რაც შეიძლება მეტი ქრთამი აიღონ. ამას არც არავისგან მალავენ და არც არავის უკვირს მათი ეს საქციელი, ვინაიდან, ეს ტიპიური და ბუნებრივი მოვლენაა მათთვის, რომელთაც საკმაო თანხა დაუხარჯავთ ამ თანამდებობის შესაძენად. მოსამართლეთა მერხის უკან გრაფის მაღალი სავარძელი დგას, საიდანაც გრაფი სასამართლოს მსვლელობას ისე წარმართავს, როგორც კარგი მეეტლე ცხენებს.

სპექტაკლის წარმატებას თანაბრად იზიარებენ მსახიობები მ. ურუშაძე (გრაფინია როზინა), გ. მამუჩაშვილი (ბართოლო), ლ. ნიკოლოზიშვილი (ბაზილი), ქ. მაჭავარიანი (მარსელინა), დ. სხირტლაძე (ქერუბინო), ე. მოსესოვი (დონ გუსმან ბრიდუაზონ), თ. მატარაძე (ფანშეტი) და განსაკუთრებით ანტონიოს სრულყოფილი სახის ოსტატური შემქმნელი ვ. ჩილთისპირელი.

სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს მხატვარი ი. პეტრაიტისის კარგად და გემოვნებით მოფიქრებული გაფორმება. თეატრის პატარა სცენამ ნიჭიერ მხატვრის ხელში დაჰკარგა სიმცირე. ელვისებური სისწრაფით სცვლის სურათი სურათს, რაც სპექტაკლის მსვლელობას აძლევს დინამიურობას და საზეიმო, ცხოველმყოფელ რიტმს.

სპექტაკლის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს მუსიკა. აქ გამოყენებულია სამი კომპოზიტორის — როსინის, მოცარტის და რუბინშტეინის ნაწარმოებები, რაც აშკარა სხვადასხვაობას ჰქმნის.

თელავის თეატრმა წარმატებით გადასჭრა დასახული ამოცანა. ეს კი ცხადად მეტყველებს ამ კოლექტივის კარგ გემოვნებაზე და აქტიორული შესაძლებლობის სიმდიდრეზე.

**ვახტანგ ტაბლიაშვილი**

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

# უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალების გამოხმაურება აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის წიგნებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა




ოცი წლის წინათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსის ნიკო მუსხელიშვილის მონოგრაფიული ნაშრომის — „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა" — მეორე გამოცემა. ხსენებული ნაშრომისათვის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია. ამის შემდეგ აღნიშნული წიგნი კიდევ ორჯერ გამოვიდა რუსულ ენაზე.

აკად. ნ. მუსხელიშვილის კლასიკური მონოგრაფია დრეკადობის თეორიაში უკვე დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის მეცნიერული საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულია საბჭოთა მათემატიკური სკოლის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებად. ამ ნაშრომის საფუძველზე სსრ კავშირში დაიწერა ასობით სამეცნიერო გამოკვლევა მათემატიკური ფიზიკის დარგში.

ბოლო წლებში აკად. ნ. მუსხელიშვილის ამ ფუნდამენტალურმა ნაშრომმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთის მეცნიერთა შორისაც, რასაც დიდად შეუწყო ხელი მისი ინგლისური თარგმანის გამოშვებამ 1953 წელს ნოორდჰოფის ცნობილი გამომცემლობის მიერ ჰოლანდიაში. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ჟურნალებში უკვე დაიბეჭდა რამდენიმე რეცენზია, რომლებიც მიესალმებიან ინგლისურ ენაზე ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნის გამოსვლას და ბრწყინვალე შეფასებას აძლევენ თვით ნაშრომს. ქვემოთ მოგვყავს ამ რეცენზიათა შინაარსი შემოკლებულად, უმთავრესად — ამონაწერების სახით, ისეთ სპეციალურ მათემატიკურ მსჯელობათა და დახასიათებათა გამოტოვებით, რომლებიც ფართო მკითხველისთვის ძნელად გასაგები და ნაკლებ საინტერესო იქნებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ფართოდ გავრცელებული სამეცნიერო ორგანო „გამოყენებითი მექანიკის მიმოხილვა" („Applied Mechanics Reviews") გასული წლის ივლისის ნომერში ათავსებს რეცენზიას აკად. ნ. მუსხელიშვილის წიგნის ხსენებულ ინგლისურ თარგმანზე. რეცენზენტი წერს:

„ლიავის მონუმენტალური გამოკვლევის შემდეგ (ლაპარაკია გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის მ. ლიავის დრეკადობის თეორიის კურსზე, რომელიც პირველად 1892-93 წლებში გამოვიდა. — მ. ა.) არ გამოსულა არც ერთი ნაშრომი, რომელიც მას შეედრებოდეს თავისი ფართო გაქანებითა და შესრულების მხრივ. ახლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ დრეკადობის თეორიაში დაიწერა ახალი ტრაქტატი. მუსხელიშვილის ნაშრომი მკითხველს აცნობს ყველაზე უახლეს გამოკვლევებს ამ დარგში, 1915 წლიდან (როცა მისი ორიგინალური გამოკვლევა გამოვიდა) 1945 წლამდე. ამ წლების მანძილზე რუსულ ჟურნალებში გამოქვეყნდა რამდენიმე ასეული სტატია მუსხელიშვილის მიღწევების გამოყენებით".

შემდეგ რეცენზენტი განაგრძობს: „ამჟამად მუსხელიშვილის ნაშრომის გავლენა აშკარად შეიმჩნევა არარუსულ ლიტერატურაშიც, სადაც მრავალმა ავტორმა პირველად მხოლოდ ახლა აღმოაჩინა ეს ნაშრომი... თუმცა ამ წიგნში მხოლოდ იზოტროპული სხეულებია გამოკვლეული, მაგრამ რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მკვლევარებმა მუსხელიშვილის ამ ნაშრომის შედეგები არაიზოტროპულ შემთხვევებზედაც გაავრცელეს".

რეცენზიაში ამას მოსდევს აკად. ნ. მუსხელიშვილის წიგნის შინაარსის ანოტაციური გადმოცემა. რეცენზიაში არა ერთგზის საგანგებოდაა ხაზგასმული წიგნის მაღალი თეორიული, ზოგად-მათემატიკური ღირებულება. ამავე დროს მითითებულია, რომ დრეკადობის თეორიის ზოგადი მეთოდების, მისი ძირითადი ამოცანების ამომწურავად დამუშავება-გადაწყვეტასთან ერთად წიგნში დაწვრილებითაა გამოკვლეული მთელი რიგი სპეციალური და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები. რეცენზენტი აღფრთოვანებულია აკად. მუსხელიშვილის წიგნით:

„თქმა არ უნდა, რომ ნაშრომის შინაარსი და სტილი ბრწყინვალეა, — ვკითხულობთ აღნიშნულ რეცენზიაში. — წიგნი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს უკლებლივ ყველა იმათთვის, ვისაც აქვს სათანადო მათემატიკური მომზადება და ფიზიკურ მეცნიერებათა დარგში მუშაობს და ვისაც სურს შეისწავლოს დრეკადობის მათემატიკური თეორია ისე, როგორც ის უნდა იყოს შესწავლილი. ეჭვი არაა, რომ მეორე ასეთი მნიშვნელობისა და ესოდენ ფართო გაქანების წიგნის შექმნას კიდევ ერთი თაობა მაინც დასჭირდება".

იმავე 1953 წელს ნოორდჰოფის გამომცემლობამ ჰოლანდიაში გამოუშვა აკად. ნ. მუსხელიშვილის მეორე მონოგრაფიული ნაშრომის — „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი" — ინგლისური თარგმანი, რომლის რუსულ დედანს (მოსკოვი, 1946 წ.) აგრეთვე სტალინური პრემია მიენიჭა.

ინგლისის ავტორიტეტულმა სამეცნიერო ჟურნალმა „ბუნებამ" („Nature") ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოაქვეყნა რეცენზია, რომელიც მიძღვნილია აკად. ნ. მუსხელიშვილის ორივე ზემოხსენებული ნაშრომის ინგლისური თარგმანებისადმი. უწინარესად, რეცენზენტი მიმოიხილავს ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნს. იგი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად თვლის ამ წიგნის ინგლისური თარგმანის გამოსვლას და ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს თვით ნაშრომს. ეს მკაფიოდ ჩანს რეცენზიის სათაურიდანვე — „მობრუნების პუნქტი დრეკადობის თეორიაში".

რეცენზენტი ხაზგასმით მიუთითებს აკად. ნ. მუსხელიშვილის განსაკუთრებულ როლზე დრეკადობის თეორიის დამუშავებაში. იგი აღნიშნავს, რომ ნ. მუსხელიშვილმა თავის მრავალრიცხოვან შრომებში უაღრესად განავითარა ეს თეორია.

შემდეგ რეცენზენტი, განიხილავს რა აკად. ნ. მუსხელიშვილის ორივე ზემოხსენებულ წიგნს, წერს: „მუსხელიშვილის ნაშრომებმა არ შეიძლება უაღრესად ღრმა შთაბეჭდილება არ მოახდინოს მკითხველზე თავისი მკაფიობით, სასიამოვნო დარბაისლური სტილით და ყოველი დეტალისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. ათასამდე გვერდზედ ვერსად შეხვდებით ისეთ ადგილს, რომელიც უყურადღებოდ იყოს შესრულებული. ყველა არსებითი საკითხი ახსნილია, მსჯელობა უმაღლეს დონეზეა აყვანილი თვით დამატებებშიაც კი... თუ რაიმე მხრივ შეიძლება სინანული გამოითქვას, მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ ავტორი თავის შეხედულებებს მექანიკაზე სრული სახით მარტოოდენ წმინდა მათემატიკური თვალსაზრისით გადმოგვცემს. საგანი გაშუქებულია მხოლოდ ერთი მხრივ, მაგრამ რაოდენ ბრწყინვალედ!"

გასული წლის დეკემბრის ნომერში აკად. ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნზე საყურადღებო რეცენზია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთმა ცნობილმა სამეცნიერო ორგანომ — „გამოყენებითი მექანიკის ჟურნალმა" („Journal of Applied Mechanics").

„თუმცა ამ ნაშრომის პირველი რუსული გამოცემა ოცი წლის წინათ გამოჩნდა, — წერს დასაწყისში რეცენზენტი, — დროის ამ მონაკვეთში ინგლისურ ენაზე ისეთი არაფერი დაბეჭდილა, რაც თავისი გაქანებით შესაძლებელი ყოფილიყო მისთვის შეგვედარებინა. წიგნის ძირითადი ღირსება ისაა, რომ მასში პრინციპები სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული და კომპლექსური ცვლადები გამოყენებულია დრეკადობის მათემატიკური თეორიის ორგანზომილებიანი ამოცანებისათვის. ეს მეთოდები უაღრესად განავითარეს საბჭოთა მათემატიკოსებმა, განსაკუთრებით კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა".

გადმოგვცემს რა აკად. ნ. მუსხელიშვილის წიგნის ანოტაციურ შინაარსს, დასასრულ რეცენზენტი დაასკვნის:

„ეს ნაშრომი შეიცავს არა მარტო უამრავ ახალ მასალას რუსულ ენას დაუუფლებელ მეცნიერთათვის, არამედ ამავე დროს იგი გამოირჩევა კლასიკური თეორიის გადმოცემაში ახსნა-განმარტების თავისი ნათელი სტილით, რისთვისაც მადლობა უნდა გადავუხადოთ როგორც ავტორს, ასევე მთარგმნელსაც. ამ წიგნით სარგებლობა შეიძლება ენთუზიაზმით ვურჩიოთ მოცემული დარგის ყოველ მკვლევარს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს წიგნი ჯეროვან ადგილს დაიჭერს შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში, როგორც სახელმძღვანელო".

აკად. ნ. მუსხელიშვილის ხსენებული წიგნების ინგლისური გამოცემები ფართო გამოხმაურებას პოულობს სხვა ქვეყნებშიც. ასე, მაგალითად, გერმანიის სამეცნიერო ჟურნალ „მათემატიკის" ცენტრალური ფურცლის" („Zentralblatt für Mathematik") და შვეიცარიის სამეცნიერო ჟურნალ „მათემატიკის საერთაშორისო უწყებების" („Nouvelles mathematiques internationalles") ახლახან გამოსულ ნომრებში დაბეჭდილია რეცენზიები, რომლებიც ასევე მაღალ შეფასებას აძლევენ ამ წიგნებს და მიესალმებიან მათ გამოსვლას ინგლისურ ენაზე.

მ. ახალკაცი

# კეტსალი



გვატემალის ხალხის ისტორია არის მუდმივი ბრძოლა თავისუფლებისათვის. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ძველთაგანვე გვატემალელთა თავისუფლების სიმბოლოს

## ბუნებისმეტყველის ბლოკნოტიდან

წარმოადგენს ფრინველი კეტსალი.

გვატემალელ ხალხში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს კეტსალი, რომელიც უდაბურ ტყეებში ცხოვრობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით. მსოფლიოს ეს იშვიათი და ულამაზესი ფრინველი მტრედის ოდენაა. მისი ზურგი და ფრთები ზურმუხტ-მომწვანო ფერისაა, მკერდი ალისფერი, ხოლო ფეხები და ნისკარტი — ყვითელი. თავზე დიდი და ლამაზი ფაფარი აქვს. მაგრამ კეტსალს ყველაზე შესანიშნავი კუდი აქვს, რომლის სიგრძე ხშირად ერთ მეტრს აღწევს.

მსოფლიოს არც ერთ ზოოპარკში არ არის კეტსალი, რადგან იგი მონობას ვერ იტანს. არასოდეს, არავის უნახავს კეტსალი გალიაში დამწყვდეული. გვატემალის ერთმა პრეზიდენტმა თურმე მოისურვა, ამაყი და თავისუფლებისმოყვარე კეტსალი მისი ტყვე გამხდარიყო. მისი განკარგულებით საუკეთესო მონადირეები გაიგზავნა ამ ფრინველის დასაჭერად. მონადირეებმა დიდი გაჭირვებით დაიჭირეს ცოცხალი კეტსალი, მაგრამ როდესაც გალია სასახლეში მოიტანეს, კეტსალი უკვე მკვდარი აღმოჩნდა.

კეტსალი ღვთიურ ფრინველად მიაჩნდათ ძველი მექსიკისა და გვატემალის ხალხებს — მაიას, ტოლტეკებს აცტეკებს. იგი მათი ბელადებისა და ქურუმების სამკაულს წარმოადგენდა. გვატემალის სახელმწიფო ღერბსა და დროშას კეტსალის სურათი ამშვენებს. მისი სახელი ეწოდება ფულის ერთეულს გვატემალაში.

კეტსალი გვატემალის ხალხისათვის იყო და დარჩა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. ყვავილი, 4. მსგავს ან ერთგვაროვან საგანთა რიგი, 9. ნადირობის ქალღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, 10. მდინარე აზიაში, 12. წყალში ხსნადი ჰიდროჟანგი, 13. შენიშვნა წიგნის არეზე, 14. სასწორის გამაწონასწორებელი საწონი, 17. ნავსადგური სსრკ-ში, 20. უნგრელი კომპოზიტორი, 21. ტრანსპორტის სახე, 22. საერთაშორისო საგნად აღიარება, 24. გერმანიის იმპერიალისტური სწრაფვა ავსტრიისაკენ, 27. ინგლისელი ეკონომისტი, 28. ფიზკულტურული ღონისძიება, 33. ელექტრო ჩასართავ-გამომრთველი ავტომატი, 34. ქართველი ოქრომქანდაკებელი, 35. გამოჩენილი სომეხი რევოლუციონერი, 38. პერიოდული გადასვლა ერთი საფეხურიდან მეორეზე, 39. კუნძული სსრკ-ს აზიურ ნაწილში, 40. საღვთო ხარი ძველ ეგვიპტეში, 41. სახელმწიფო აზიაში.

### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან, 2. ხალხთა ეთნოგრაფიული ერთეული, 3. ჯუჯა სახელმწიფო, 4. ქართული ცეკვა, 5. ცნობილი ნატურალისტი და მკვლევარი, კავკასიის (ამჟამად საქართველოს) მუზეუმის დამაარსებელი. 6. ცირკის დახელოვნებული ტანმოვარჯიშე, 7. გერმანელი ფილოსოფოსი, 8. ქალის სამკაული, 11. განშტოება კარპატების მთათა სისტემაში, 15. პირი, რომელიც სამეცნიერო მუშაობისათვის ემზადება, 16. გადაშენებული ცხოველი, 18. ცნობილი ტაჯიკი ქიმიკოსი, ექიმი და ფილოსოფოსი, 19. მამელუკების სახელგანთქმული სულთანი ეგვიპტეში, 23. ქიმიური ნაერთი, 25. ოპტიკური მინა, 26. ქიმიური ელემენტი, 29. ორანძიანი იალქნიანი ხომალდი, 30. მოქმედების ან ქცევის აღმძვრელი მიზეზი, 31. თვითმფრინავის მრუდე ხაზით ფრენა, 32. ჩრდილოეთის ქარის ღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, 36. ხარისხის მაჩვენებელი ერთეული, 37. ტიბეტურ-მონღოლური ბუდისტური სექტის მსახური.

## ფეხბურთი

ადრიანი გაზაფხული ფეხბურთის გუნდებსაც დაეხმარა; შავი ზღვის სანაპიროებზე გულმოდგინედ და ენერგიულად ემზადებოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები.

ფეხბურთის მრავალმა ვეტერანმა შესწყვიტა თამაში და საწვრთნელ სამუშაოზედ გადავიდა. სამაგიეროდ მათი ადგილები ნიჭიერმა ახალგაზრდობამ დაიკავა. ახალგაზრდა ფეხბურთელებით შეივსო თბილისის „დინამოს" გუნდის რიგებიც. ერთი წლის შესვენების შემდეგ თამაში განაახლა დაცვის ცენტრმა ძიაპშპამ. გუნდში დაბრუნდა სპორტის დამსახურებული ოსტატი უფროსი მწვრთნელი ანდრო ჟორდანია. ქართველ ფეხბურთელებს წელს ყველა შესაძლებლობა აქვთ საპატიო ადგილის მოპოვებისათვის. მხოლოდ საჭიროა, რომ არასოდეს დაავიწყდეთ თითქოს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი კანონი სპორტული ასპარეზობისა: ყოველი მატჩის 90-ვე წუთი ითამაშონ მთელი შესაძლებლობით, პასუხისმგებლობით, თავდაუზოგავად და თავდავიწყებითაც კი, მიუხედავად იმისა, დიდი ანგარიშით იგებენ, თუ აგებენ, ძლიერ მოწინააღმდეგეს ხვდებიან, თუ — სუსტს.

გათამაშების დებულება წელს ოდნავ შეიცვალა: მატჩის განმავლობაში გუნდს არც ერთი მოთამაშის გამოცვლა არ შეუძლია, გარდა მეკარისა. „ა" კლასის ოსტატთა დუბლიორები ერთმანეთს ხვდებიან ძირითად შემადგენლობათა მატჩის დღეს, მათ თამაშამდე. დანარჩენი უცვლელი დარჩა, უცვლელია ფეხბურთის კარის ზომებიც, მხოლოდ წელს მასში გატანილი ბურთების რაოდენობა უნდა შეიცვალოს.

წინ არის საინტერესო შეხვედრები, საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩები.

## ჟურნალ „დროშის" № 4-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. ბამბა. 5. სახალინი. 7. საქსაული. 9. იმამი. 10. რადა. 12. მუნი. 14. გირეი. 15. უაიტი. 16. კლიმატი. 18. ერგი. 20. ავზი. 22. კორა. 24. ხახვი. 26. ეივე. 28. იბისი. 29. გორდა. 30. ფასანაური. 31. ფლატე. 32. ურალი. 34. იზაი. 35. აქცია. 36. იავა. 37. ბაია. 39. ფირი. 41. ქამანჩა. 44. მასნე. 46. ალამი. 47. ოთხი. 48. იორი. 49. ოდიში. 51. ისიკკული. 52. ესტონეთი. 53. აზატი.

### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ბონი. 2. აბაი. 3. სარაი. 4. კარნუ. 5. სემინარი. 6. „იმედი". 7. „სმენა". 8. იმიტაცია. 10. რენე. 11. აპკი. 12. მაია. 13. იაკი. 17. მახინაცია. 19 გრიფელი. 21. ვეგიუსი. 22. კულტი. 23. აბელი. 24. ხოსტა. 25 იაუზა. 26. ედილი. 27. ეკალა. 31. ფარნაოზი. 33. იასამანი. 37. ბრნო. 38. აქტი. 39. ფარი. 40. იელი. 42. მონდი. 43. ნიცშე. 45. ეთიკა. 46. არზნი. 49. ოლგა. 50. ისლი.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: მტრედები და პეონები.

აბრეშუმზე ამონაქარგი (ჩინეთი).

აღმოსავლეთის კულტურის სახელმწიფო მუზეუმი.

მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: ბათუმი. მიმოზები.

ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა

40 ათასი მაყურებლიდან არც ერთი არ ღელავს ისე, როგორც მწვრთნელი, →
არავინ არ განიცდის გუნდის წარმატებასა თუ მარცხს ისე, როგორც მწვრთნელი.

მწვრთნელი შეიძლება შევადაროთ დირიჟორს, რომელმაც ისე გაწვრთნა ორკესტრი, რომ კონცერტის დროს ხელმძღვანელობა აღარ სჭირდება. სამაგიეროდ მას არ გამოეპარება მოთამაშის პატარა შეცდომაც კი, რომლის გამო დაირღვა გუნდის აწყობილი თამაში.

ასეთ მწვრთნელთა რიცხვს ეკუთვნის სპორტის დამსახურებული ოსტატი ანდრო ჟორდანია. იგი განსაკუთრებით ღელავდა თბილისის დინამოელთა პირველ მატჩზე. „გააუმჯობესეს თუ არა თბილისელებმა თამაში? როგორ იყენებენ წვრთნის დროს შეძენილ ტექნიკურ და ტაქტიკურ ჩვევებს? გამოდგება თუ არა ასეთი შემადგენლობა მინსკის სპარტაკელებთან მეორედ შეხვედრისას?" ასეთი და კიდევ მრავალი კითხვა ებადებოდა მწვრთნელს მატჩის მსვლელობისას.



რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ნ. ჩერნიშკოვმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-95-38.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-55 წ. გამომც. № 45. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ნაბეჭდი ფურც. 3 1/2. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 248. უე 03239.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке)



თბილისის „დინამოს“ სტადიონზე წელს მე-17-ჯერ აღიმართა ალამი.

„ერთი თავდამსხმელი და სამი მეკარე“—ასე შეიძლება ვუწოდოთ ფოტოსურათს, რომელიც მეტყველებს, თუ რა თავგამოდებით იცავდნენ მინსკის სპარტაკელები თავიანთ კარს. კარგი იქნებოდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებსაც მიებაძათ მათთვის.

ფოტო ო. თ. თურქიასი.





ეროვნული ბიბლიოთეკა